

თბილისს მეურნე ხელი სჭირდება

A5



"თქვენი აფხაზეთი"

A6



სამს ორი ბრინჯაო გამოაკლდა

C1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 27 სექტემბერი, 2006 წელი. №213 (1365) | ფასი 50 თეთრი


# ალტერნატივა სუამი-საგან

*სუამის ქვეყნები, კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, სამოქალაქო პოლიციის ერთობლივ კონტინგენტს ჩამოაყალიბებენ. საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მიერ შექმნილი "დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია" თანდათანობით პოლიტიკური ბლოკის სახეს იძენს და პოტსაბჭოთა სივრცეში პროცესებზე სერიოზული ზეგავლენის ამბიციას ამჟღავნებს. სუამ-ის პირველი გენერალური მდივანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი გახდა.*

დიმიტრი ავალიანი

ორშაბათს ნიუ-იორკში შეკრებილმა სუამ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სუამ-ის ქვეყნების სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის გამოყენების შესაძლებლობა განიხილეს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სხდომაზე მინისტრებმა ერთობლივი ღონისძიებების კონკრეტული გეგმა შეიმუშავეს, რაც სპეციალური რეზოლუციის მომზადებას და საერთაშორისო მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

სუამ-ის მინისტერიალი დაეთანხმა ქართული მხარის პოზიციას საქარველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების ფორმატის შეცვლის აუცილებლობის თაობაზე, როგორც მოლაპარაკებათა პროცესის, ასევე სამშვიდობო ოპერაციის თვალსაზრისით.

ნიუ-იორკში "დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ის" პირველ გენერალურ მდივნად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სუამ-ის ეროვნული კოორდინატორი ვალერი ჩეჩელაშვილი აირჩიეს.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა სუამ-ის სრულფასოვან რეგიონულ ორგანიზაციად ჩამოყალიბების საქმეში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მინიჭებული, უკრაინის პირველი ხარისხის ორდენი - "დამსახურებისთვის" გადასცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# როდის დაიწყება დიდი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა?

თურქეთ-აზერბაიჯანის ბრალდებები და პროექტის პერსპექტივები

B

მარიამ ჯაჭვაძე

*ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას საქართველო განგებ აჭიანურებს, - ასეთი ბრალდება თურქეთის საგარეო პოლიტიკის უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჩვენი ქვეყნის მთავრობას წაუყენა. მოგვიანებით კი თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მარშრუტის ამოქმედებისთვის საჭირო მილიონების შესახებ მოლაპარაკებას მხარეები ოქტომბრის ბოლოს დაიწყებენ.*



# ჯაზური მაგია

ჩიკ კორეასა და გარი ბარტონის ჯაზის გაკვეთილი




# საქართველო რისკების წინაშე

პრეზიდენტ სააკაშვილის ბრიფინგი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე სოხუმის დაცემის მე-13 წლისთავზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ **"ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა წინა ხელისუფლების უუნარო, ღალატის ზღვარზე მყოფი პოლიტიკა"**. პრეზიდენტმა გაიხსენა წინა ხელისუფლების მიერ გაფორმებული საბედისწერო სამშვიდობო ხელშეკრულებები, მასობრივი ძალადობა და ეთნიკური წმენდა, რომელიც სოხუმის დაცემას მოჰყვა.

**"ჩვენ არაფერი დაგვვიწყებია და არასოდეს დავივიწყებთ,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**"რამდენიმე დღის წინ ჩვენ დავიწყეთ სამშვიდობო ძალების ჩანაცვლების პოროცესი და ეს მანქან უკვე დაიძრა. ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა და გაგება სამშვიდობო ინიციატივებში ჩვენი ძირითადი პარტნიორების მხრიდან,"** - განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტის აზრით, ასევე ნიშანდობლივია ინტენსიური დიალოგის დაწყება ნატო-სთან, რაც ცოტა ხნის წინ საქართველოს მოწინააღმდეგეთათვის წარმოუდგენელი იყო.

მიხეილ სააკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საფრთხეს, რომელსაც საქართველოს რუსეთის მხრიდან კოსოვოს საკითხით მანუპულირება უქმნის. **"საქართველო დიდი რისკების წინაშე დგას. მიდის კოსოვოს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი,"** - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ეს უნიკალური პროცესია, ვინაიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ გაითვალისწინა იქ მომხდარი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და პრაქტიკულად დაიწყო დამოუკიდებლობის ცნობის პოროცესი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე:

# ძლიერ და კონსტრუქციულ ოპოზიციას ვისურვებდი

*პარლამენტის თავჯდომარეს ნატოს-თან ინტენსიური დიალოგის ფორმატში გადასვლის ამბავმა ბერლინში, ბერტელსმანის მეათე საიუბილეო ფორუმზე მოუსწრო. ამ მეტად ავტორიტეტულ ევროპულ ღონისძიებაში საპატიო სტუმრებისა და მომხსენებლების სტატუსით მიწვეულნი იყვნენ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ევროკომისიის თავმჯდომარე, უნგრეთის პრემიერი, ფინეთის პარკლამენტის თავმჯდომარე, გერმანიის და პოლონეთის თავდაცვის მინისტრები. აგრეთვე ჰანს დიტრიხ გენშერი და ჰენრი კისინჯერი. ზემოხსენებული ახალი ამბავი ძალიან დროული იყო, რადგან კონფერენციაზე იხილებოდა სწორედ ენერგეტიკული და საერთოდ გლობალური უსაფრთხოების საკითხები, ახალი რეალობები, ძველი და ახალი სამეზობლო ქვეყნები ამ რეალობაში. თუმცა, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ამ ინტერვიუში მხოლოდ საქართველოსადმი დასავლეთის დაინტერესებაზე არ საუბრობს. წინ ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული ტესტი - ადგილობრივი არჩევნებია.*

მაია ჭალაგანიძე

- ეს ფორუმი თავისი მნიშვნელობით ყოველთვის გამოირჩევა. წელს ის მეათე საიუბილეო იყო. ფორუმის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ ის გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა გახსნა. კონფერენციაზე, სადაც მთელი მსოფლიოს პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერების ავტორიტეტული წარმომადგენლები იყვნენ.

ერთ-ერთი დღის წამყვანი მომხსენებელი უნდა ვყოფილიყავი და ჩვენი აზრი უნდა გვეთქვა ევროპისა და საერთოდ გლობალური უსაფრთხოების შესახებ. ერთ-ერთი თემა ასეთი იყო - "ახალი ძალა, ძველი წესრიგი". ერთი სემინარი მთლიანად რუსეთისა და ევროპის ურთიერთობებს მიეძღვნა.

ამ თემაზე სიამოვნებით ვისაუბრებდი პოზიტიურ კონტექსტში, მაგრამ ობიექტური რეალობა ამის საშუალებას არ იძლევა. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ევროპელი მეგობრებისთვის მშვიდად აგვეხსნა, რა არის ჩვენი შეშფოთების საგანი, რა პრობლემები აქვს საქართველოს, როგორც ევროპის ნაწილს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ქართული და რუსული მაფიის გენერლის" დაუსწრებლად გასამართლება

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დამთავრდა ქართული და რუსული მაფიის ლიდერის, ცნობილი "კანონიერი ქურდის", შაქრო კალაშოვის მიმართ აღძრული საქმის გამოძიება. გენერალური პროკურატურის განცხადებით, "გამოძიებით დადგენილია, რომ კალაშოვი სისტემატიურად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა კრიმინალურ გარჩევაში. როგორც "კანონიერი ქურდი", იგი ამჟამდაც აღიარებს ქურდულ ტრადიციებს და მონაწილეობს ე.წ. ქურდულ გარჩევებსა და შეკრებებში".

შაქრო კალაშოვი გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებულად 2006 წლის 15 სექტემბერს გამოაცხადა. ქართველმა სამართალდამცველებმა "კანონიერი ქურდი" საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით დაადანაშაულეს - 2231-ე მუხლის II ნაწილით - "კანონიერი ქურდობა" და 144-ე მუხლის "ა", "ე" და "ვ" პუნქტებით - მძევლად ხელში ჩაგდება, ანგარებით და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

შაქრო კალაშოვის მიმართ საქმის გამოძიება ამერიკელი ბიზნესმენის ალექსანდრე კრეინის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულ მურმან ფაილოძის დაკავების შემდეგ დაიწყო. მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო "კანონიერი ქურდის" შაქრო კალაშოვისა და შს ყოფილი მინისტრის კახა თარგამაძის პარტნიორულ ურთიერთობებსა და კრეინის დატყვევებასთან მათ კავშირზე ალაპარაკდა.

გამოძიების ინფორმაციით, საქმეში ფიგურირებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ოფშორულ ზონებში თანხების გადარიცხვის ფაქტები. ამ კუთხით მნიშვნელოვანი დეტალებია გადასამოწმებელი რუსეთის ფედერაციაში, რაშიც ქართულ მხარეს დახმარებას FBI უწევდა.

გაგრძელება A4 გვერდზე


"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 27/09 | 28/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 26 | 23 |
| ბათუმი | 22 | 26 |
| სოხუმი | 22 | 25 |
| ქუთაისი | 22 | 26 |
| გორი | 20 | 21 |
| ონი | 16 | 19 |
| ზუგდიდი | 22 | 26 |
| ახმეტა | 25 | 23 |
| სამტრედია | 22 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7375 |
| ევრო | 2.2150 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2988 |
| რუბლი | 0.0650 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# "სამართლიან არჩევნებს" სარჩელი შეაქვს

*სახელისუფლებო პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიისას, ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობა, საარჩევნო ადმინისტრაციის პროცედურული დარღვევები - ეს ის ნუსხაა, რომელიც "სამართლიანმა არჩევნებმა" 5 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის დროს აღმოაჩინა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)" მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს 5 ოქტომბრის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს. ორგანიზაციის ხელმძღვანელი აჭარის რეგიონში მაია პაპიძე აცხადებს, რომ მონიტორინგის დროს მისმა ორგანიზაციამ არაერთი დარღვევა აღმოაჩინა.

"სამართლიანი არჩევნების" ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხათუნა ბერიძე კონკრეტული დარღვევების შესახებ საუბრობს: **"19 სექტემბერს ქალაქის მერმა ირაკლი თავართქილაძემ, რომელიც არის მმართველი პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერი, ბათუმის მეორე საჯარო სკოლის პირველკლასელებს საჩუქრად გადასცა რვეულები. აღნიშნულთან დაკავშირებით მან გაზეთ "აჭარისათვის" ასეთი განცხადება გააკეთა: "დღეს მერიის მხარდაჭერითა და "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით, პირველკლასელებს ახალი ფრანგული რვეულები ვაჩუქეთ". ეს ადასტურებს, რომ ხდება ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისათვის გამოყენება. მერიამ არჩევნების წინა დღეებში აამოქმედა ის პროგრამები, რომლებიც დაგეგმილი იყო ბიუჯეტიდან და ისინი გაიგივებულია "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიასთან. ასევე დაფიქსირდა დარღვევები საარჩევნო ადმინისრაციებში. საარჩევნო უბნები დაიკეტა ვადამდე ადრე. 12 სექტემბერს დაკეტილი იყო 14, 32 და 50 უბნები. დაკეტვის მიზეზად დასახელებული იყო წვიმა და მისასვლელი გზების წყლის გუბეებით გადაკეტვა. 32 უბანზე არის ორი მკვდარი სული, რომელიც რეგისტრირებულია 8 სექტემბერს. ერთ-ერთი, სულხან ლაღიძე, რომელიც ვაჟა ფშაველას 104-ში ცხოვრობდა, 5 წლის წინ გარდაიცვალა".**

"სამართლიანი არჩევნების" იურისტის ემზარ პაქსაძის განცხადებით, მმართველი პარტია არა მარტო არღვევს საარჩევნო კანონს, არამედ ამ დარღვევებს საჯაროდ, გაზეთ "აჭარის" მეშვეობით აფიქსირებს კიდეც: **"მოქმედი კანონმდებლობით წინასაარჩევნოდ მოსახლეობაზე ნებისმიერი საჩუქრის გადაცემა აკრძალულია, გარდა საagitაციო მასალებისა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ამონარიდები გაზეთ "აჭარიდან". ჩვენდა გასაკვირად აქ პირდაპირ წერენ, რომ "ნაცმოძრაობის" კანდიდატებმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს მოსახლეობას გადასცეს საჩუქრები, დაეხმარენ სოციალურად დაუცველებს, დაწყებინეს სამუშაო, დაყარეს "ხრეში" და ა.შ. მინდა გავაფრთხილო მმართველი პარტია, რომ ჩვენ მოქმედი კანონდებლობა, როგორც დამკვირვებლებს, გვაძლევს საშუალებას, უახლოეს დღეებში მივმართოთ სასამართლოს და ასეთი კანდიდატები მოხსნილი იქნან არჩევნებიდან. ასევე მათ აეკრძალოთ მომავალში არჩევნებში მონაწილეობა".**

"სამართლიან არჩევნებთან" ერთად განცხადებას აკეთებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი პაატა შარაძეც: **"მე არაერთხელ მივმართე "აჭარის" რედაქტორს, რომელიც სახელმწიფო გაზეთით ცალმხრივად უწევს სახელისუფლო პარტიას რეკლამას. დავით ჩხარტიშვილმა განმიცხადა, რომ ეტყობა მე კარგად არ ვიცი გაზეთის ფუნქცია. მე იძულებული ვარ, მას ოფიციალური წერილით მივმართო და სასამართლოშიც შევიტანო მის წინააღმდეგ სარჩელი".**

არასამთავრობო ორგანიზაციები ბათუმის საარჩევნო ოლქში უჩვეულოდ გაბერილი სიების გადამოწმებაზე იმუშავებენ. **"საარჩევნო კომისიებმა გადამოწმების შედეგად 800 კაცი ამოიღეს სიიდან, სამაგიეროდ 8-ჯერ მეტი ჩაწერეს ამ სიებში,"** - აღნიშნავს შარაძე. პაქსაძის განცხადებით კი, გარდაცვლილი ადამიანის სიაში შეყვანა შეცდომა კი არა, მიზანმიმართული დანაშაულია.

# უკრაინული საკვირაო სკოლა ფოთში

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

უკრაინის საელჩოს, საკონსულოსა და ასოციაცია "ზოლოტუ რუნის" ინიციატივით 24 სექტქმბერს ფოთში უკრაინული საკვირაო სკოლის პრეზენტაცია გაიმართა. მსურველებს შაბათ-კვირას უკრაინული ენის შესწავლის, მეგობარი ქვეყნის წარსულისა და თანამედროვეობის გაცნობის საშუალება მიეცათ. სკოლას ტარას შევჩენკოს სახელი მიენიჭა. ფართის გამოყოფა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ითავა.

**"საკვირაო სკოლაში სწავლის სურვილი უკვე 52-მა ბავშვმა გამოთქვა. ისინი უკრაინულ ენას შეისწავლიან, მომავალში კი უკრაინის გეოგრაფიის, ისტორიისა და კულტურის გაკვეთილები ჩაუტარდებათ. სწავლების მეთოდიკა უკრაინის განათლების სამინისტროსთან შეთანხმდა,"** - განაცხადა საქართველო-უკრაინის ასოციაციის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჯამბურიამ.

ამ ეტაპზე მშობლებს სიმბოლური თანხის - 3 ლარის გადახდა მოუწევთ, რაც პედაგოგის სახელფასო ანაზღაურებას მოხმარდება. უკრაინის საელჩოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ფინანსური დახმარება ჯერ მხოლოდ განხილვის სტადიაშია.

**"საკვირაო სკოლაში, აქ მცხოვრებ უკრაინელებთან ერთად, ქართველი ბავშვებიც შეისწავლიან ჩვენი ქვეყნის კულტურას, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მიღწევებს. მათ ექნებათ შანსი, სახელმწიფოს მხარდაჭერით, სწავლა უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას უკრაინის კონსულმა საქართველოში ვლადიმერ ბონდარენკომ.

არაოფიციალური ინფორმაციით, ფოთში 1200-მდე უკრაინული ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს.

# თავისუფალი სიტყვა

ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას. სტუდიის სტუმრები არიან გერმანე ფაცაცია და პაატა დავითაია. გადაცემის თემაა აფხაზეთი.

**ინგა გრიგოლია:** 27 სექტემბერს პოლიტიკური მოძრაობა "ჩვენ თვითონ", რომლის ლიდერიც პაატა დავითაიაა, გეგმავს გრანდიოზულ მიტინგს პარლამენტის შენობასთან. იქნებ სჯობდა ბ-ნო პაატა, რომ ეს მიტინგი პარლამენტის შენობის ნაცვლად, კოდორის ხეობაში, ან ენგურის ხიდთან გაგემართათ?

**პაატა დავითაია:** ვერ დაგეთანხმებით ამ მოსაზრებაში. პარლამენტის წინ იმიტომ დაიგეგმა, რომ ჩვენი მოთხოვნები, რაც წავაყენეთ აგვისტოში იპოდრომზე, ჩამოყალიბებული იყო სამ პუნქტად. პირველი მოთხოვნა იყო ის, რომ გაიცეს კომპესაციები და მიექცეს მეტი ყურადღება იქაურ მოსახლეობას. იქნება დასაქმების პრობლემა თუ სხვა. ძირითადი მოთხოვნა არის ის, რომ დაიწყოს გამოძიება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც აფხაზეთში სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს და მოხდეს იმ მოვლენების სამართლებრივი შეფასება. თუ ჩვენ დღეს ვამბობთ, რომ ეს იყო ანექსია, მაშინ რატომ არ ვიძიებთ ამ ყველაფერს და არ ვაძლევთ სამართლებრივ შეფასებას? რატომ არ ვცემთ სანქციებს გალის მილიციის უფროსზე, რომელიც ხალხს ხოცავდა? მე საკმაოდ ბევრი მტკიცებულებები გამაჩნია, ამიტომაც ჩვენი პოლიტიკური მოძრაობის მოთხოვნაა გაიცეს სანქციები.

**ინგა გრიგოლია:** ბ-ნო გერმანე, თქვენ ეთანხმებით პაატა დავითაიას მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს ხელისუფლების მიმართ? თუ გავიხსენებთ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას გაეროში მაშინ პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ეს რეგიონები ანექსირებულია რუსეთის მიერ. რა შეფასებას მისცემთ ამ ყველაფერს?

**გერმანე ფაცაცია:** ხელისუფლება დღეს არის "მაკიაჟირებული". ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას რა გვჭირს და რა დაგვემართა. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ნებისმიერ პროტესტს ფასი. გასულია 13 წელი, მაგრამ კიდევ მრავალი წელი გავა და შეიძლება გაორმაგდეს კიდეც. ჯერ არ არის ერის მზაობა და თუ არ იქნა, ველარასდროს დავიბრუნებთ.

**ინგა გრიგოლია:** ცოტა ზოგადი მეჩვენა თქვენი შეფასება. ალბათ მხოლოდ ერის ნება და მზაობა არ არის საკმარისი, თუ ხელისუფლებამ არ მიიღო გადაწყვეტილება. დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს?

**გერმანე ფაცაცია:** რა თქმა უნდა ნიშნავს... მე უბრალოდ გამოვეხმაურე თქვენს მოსაზრებას მიტინგის კოდორის, ან ენგურის ხიდთთან გამართვის შესახებ. ანუ, ნებისმიერ პროტესტს აქვს გამართლება. დღეს უკვე ძალიან დაღლილი ადამიანი ვარ და გაუთავლებლად მიწევს საუბარი ერთსა და იმავეზე.

# სამშვიდობოებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საკუთარი უმოქმედობა

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა. პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ფრისთან, "უაზის" მარკის საკუთარ ავტომანქანაში ამავე სოფლის მკვიდრი, 38 წლის ხვიჩა ნიკორაშვილი აფეთქდა. აფეთქების შედეგად ავტომანქანა მთლიანად დაიწვა. ხვიჩა ნიკორიშვილის სიცოცხლის გადასარჩენად თბილისის დამწვრობის ცენტრის ექიმები იბრძვიან.*

ნათია მსხილაძე

რუსი მშვიდობისყოფელები კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებენ. ქართულმა მხარემ კი, რუსი სამშვიდობოები მისიის შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

**"მომხდარმა ინციდენტამა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად მკვეთრია კონტრასტი ცხინვალის რეგიონში რეალურად არსებულ ვითარებასა და ჩვენი ოპონენტების მიერ სხვადასხვა ტრიბუნებიდან გაჟღერებულ უაპელაციო განცხადებებს შორის, ცხინვალის რეგიონში "სამშვიდობო" ოპერაციის უნიკალური ხასიათისა და მისი უალტერნატივობის შესახებ. ჩვენი აღშფოთების მთავარ ადრესატს ამჟამადაც რუსეთის მხარე წარმოადგენს, რომლის "სამშვიდობოებიც" შესაშური აკურატულობით გვიმყარებენ არსებული ფუნქციადაკარგული ფორმატებითა და ე.წ. სამშვიდობო ოპერაციით უკმაყოფილების საფუძველს. რუსეთის მხარისა და რუსი "სამშვიდობოების" ქმედებებმა შეუძლებელი გახადეს ვირწმუნოთ, რომ მათ შესწევთ უნარი და აქვთ ნება კონფლიქტის ზონაში თუნდაც მინიმალური წესრიგის დასამყარებლად. აღარაფერს ვამბობთ მთლიანად სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობაზე. დატრიალებული ტრაგედიაც მოწმობს, რომ რუსი "სამშვიდობოები" ან არ, ან ვერ ახერხებენ თუნდაც უშუალოდ მათი პოსტების მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოების ელემენტარული ნორმების უზრუნველყოფას,"** - აცხადებენ სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

სამინისტროს შეფასებით, რუსი სამშვიდობოების საგუშაგოდან 200 მეტრში მომხდარი ინციდენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და სამშვიდობო ოპერაციის არსებულმა მექანიზმებმა ამოწურეს თავიანთი პოტენციალი და აუცილებელია მათი დაუყოვნებლივი ჩანაცვლება იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოაყალიბა საქართველოს პრეზიდენტმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე.

ქართული მხარე, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს, რათა აღნიშნულ ინციდენტს სათანადო შეფასება მისცენ. **" მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება კონფლიქტის ზონებში ადამიანის ფუნდამენტური უფლების, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის საკითხზე, რომელიც, აგრეთვე, მთავარ ლაიტმოტივად გასდევდა საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიაზე: "არასოდეს დაგვავიწყდეს, რომ ამ კონფლიქტების რეალური მსხვერპლი ხალხია და შიში, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება - ყოვლისმომცველია. მათ ტანჯვას ბოლო უნდა მოეღოს,"** - ნათქვამია კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაში.

# ბრიტანული "მასტერ-კლასი" ქართველი დეპუტატებისთვის

*დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ეშფორდის მაჟორიტარი დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან დემიენ გრინი თავის ქართველ კოლეგებს "მასტერ-კლასს" უტარებს. საქართველოში მისი ვიზიტი IABP-ის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ტარდება და ქართველი კანონმდებლებისთვის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. დემიენ გრინის ლექცია-სემინარისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ თემთა პალატაში იგი ოპოზიციის წარმომადგენელია და პარალელურად, მიგრაციის საკითხებში ჩრდილოვანი მინისტრის პორტფელსაც ფლობს.*

გიორგი ასანიშვილი

ბრიტანელი სტუმრის გუშინდელი მსმენელების უდიდეს ნაწილს მაჟორიტარი დეპუტატები შეადგენდნენ. ეს არც არის გასაკვირი: სემინარი, ძირითადად, პარლამენტარისა და ამომრჩევლის ურთიერთობის ასპექტებს შეეხება. ქართველი დეპუტატებისთვის ყველაზე საინტერესო დემიენ გრინის გამოსვლის ის ნაწილი გამოდგა, რომელშიც ბრიტანელი პარლამენტარი საკუთარ საქმიანობაზე საუბრობდა.

თემთა პალატის წევრის განცხადებით, ინგლისელ კანონმდებელთა უმეტესობის მსგავსად, მასაც ორი ოფისი აქვს: ერთი, - თემთა პალატაში, მეორე კი, - საარჩევნო ოლქში. გრინის თქმით, ამომრჩევლებთან მისი ურთიერთობის ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. ესენია: ადგილობრივი სკოლების, საავადმყოფოების და საწარმოების მონახულება და მათი საქმიანობის განხილვა; ადგილობრივ გაზეთებში სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების შესახებ; საკუთარი ვებ-გვერდის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება საკუთარ საქმიანობასა და შეხედულებებზე; ცნობის ფურცლებისა და ბუკლეტების გამოშვება, რომლითაც ამომრჩეველი ეცნობა დეპუტატის საქმიანობას საარჩევნო ოლქში და მის გარეთ...

**"ჩვენ უნდა ვიყოთ ადვილად დასანახი, ადვილად მოსაძებნი და ადვილად დასაკავშირებელნი",** - ასეთია მთავარი რჩევა, რომელსაც ბრიტანელი პოლიტიკოსი იძლევა.

დემიენ გრინის განცხადებით, თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად, იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 84 ათას ფუნტს იღებს (ამის გაგონებაზე ქართველ მაჟორიტარებს ოხვრა აღმოხდათ), გარდა ამისა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციიდანაც უხვად ფინანსდება. ყოველივე ეს დეპუტატს საშუალებას იძლევს, თემთა პალატის ოფისში და საარჩევნო ოლქში რამდენიმე თანამშრომელი იყოლიოს.

**"საკმაოდ სოლიდური ფინანსური ხელშეწყობა რომ არ მქონდეს, ჩემი მუშაობა ნაკლებადეფექტური იქნებოდა",** - გულწრფელად აღიარებს ბრიტანელი პარლამენტარი.

მის ქართველ კოლეგებს განსაკუთრებითა აინტერესებდათ სტუმრის შეხედულებები დეპუტატის ბიზნეს-ინტერესებთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით დემიენ გრინი აცხადებს, რომ მას საჯაროდ აქვს დეკლარირებული, თუ რომელ სფეროებში გააჩნია ბიზნეს-ინტერესები და შესაბამისად, როდესაც ამ სფეროებში ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღება, იგი ამ პროცესში არ მონაწილეობს. თემთა პალატის წარმომადგენლის მტკიცებით, დიდ ბრიტანეთში დეპუტატის ბიზნეს-ინტერესები მკაფიოდ არის გამიჯნული პარლამენტარის საკანონმდებლო საქმიანობისგან.

**"ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტარები საკუთარი ბიზნეს-ინტერესების ლობირებაში მხილებულნი არ ყოფილან. თუმცა, წინა პარლამენტში ასეთი შემთხვევები იყო. კანონდამრღვევების მიმართ საკმაოდ მკაცრი სასჯელი გამოიყენება: ფინანსური სანქციებიდან დაწყებული და საპარლამენტო საქმიანობის ორი კვირით შეჩერებით დამთავრებული",** - აცხადებს დემიენ გრინი. თუმცა, მის მიერ სასჯელად გამოცხადებული "საპარლამენტო საქმიანობის ორი კვირით შეჩერება" სემინარში მონაწილე ზოგიერთი ქართველი მაჟორიტარისთვის ღიმილისმომგვრელი აღმოჩნდა...

ბრიტანული "მასტერ-კლასი" მხოლოდ დემიენ გრინის ლექცია-სემინარით არ ამოიწურება. მალე ამ საქმეს ეშფორდის მაჟორიტარზე უფრო მაღალი რანგის პოლიტიკოსი გააგრძელებს: ოქტომბრის დასაწყისში თბილისში ჩამოდის გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის ვიცე-სპიკერი სილვია ჰილი, რომელიც ქართული პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიან ფიგურას შეხვდება.

# დეპუტატობის კანდიდატმა პენსიონერი ქალი სცემა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩაში მცხოვრები პენსიონერი ქალბატონი, ყოფილი პედაგოგი ნარგიზა წიქორიძე ამავე სოფლის მაჟორიტარ კანდიდატს რომან დათუაძეს პოლიციაში ხულიგნობის ფაქტზე უჩივის. წიქორიძე ამბობს, რომ დათუაძემ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

**"საღამოს საათები იყო. შვილიშვილთან ერთად ნათესავის სახლში მივდიოდით, როცა უწმაწური სიტყვებით გინება გავიგონეთ. იგინებოდა რომან დათუაძე, რომელიც კენჭს იყრის საკრებულოში. მაშინ მე ხმამაღლა ვუთხარი: ადრინდელ დროში შენისთანა კი არა, ათას კაცში ამოსარჩევი უნდა ყოფილიყო დეპუტატი-მეთქი, რომელიც ჩვენნაირი გაჭირვებული ხალხის მოსმენას მაინც შეძლებდა. შენნაირი რომ მოვიდეს, იმას ძვლებში დავამტვრევ და კისერს მოვტეხავო, მიპასუხა. მაშინ მეც გავეცი სათანადო პასუხი, რის გამოც მომვარდა და ცემა დამიწყო. სახეში და თავში მირტყამდა. მთელი სამი დღე ვერ მოვედი აზრზე. სამი დღის მერე წავედი საავადმყოფოში და პოლიციაში,"** - იხსენებს 59 წლის ნარგიზა წიქორიძე.

**"ავადმყოფს აღენიშნებოდა ხანდაზმული ჰემატომა, ანუ სისხლჩაქცევა სახის მარცხენა არეში, ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნი და ცხვირის არეში, ასევე, ხანდაზმული ჭრილობა,"** - ამბობს ბაღდათის სამედიცინო ცენტრის მორიგე ექიმი ლენგო კოჩაძე.

დეპუტატობის კანდიდატის მიმართ ცემის ფაქტზე საჩივარი ნარგიზა წიქორიძემ ბაღდათის რაიონულ პოლიციაში შეიტანა.

**"კახა კოტრიკაძე არის ჩემი საქმის გამომძიებელი და მან ჩამომართვა ახსნა-განმარტება. მე არ მოვითხოვ დათუაძის დაპატიმრებას, უბრალოდ, პოლიციამ იგი უნდა გააფრთხილოს, რომ მეტად აღარ გამცეს ხმა,"** - ამბობს ნარგიზა წიქორიძე.

ბაღდათის რაიონულ პოლიციაში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებენ. შესაბამისად, უცნობია, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე დეპუტატობის კანდიდატის მიმართ და რა ბედი ეწია დაზარალებული ქალბატონის განცხადებას. ჩვენთან შეხვედრა არც თავად რომან დათუაძემ ისურვა.

რომან დათუაძე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატია. მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიას ბაღდათში მისი ბიძაშვილი, იმერეთის მხარის yofili ვიცე-გუბერნატორი შალვა დათუაძე ხელმძღვანელობს. ოპოზიციის წარმომადგენლები შალვა დათუაძისა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატების მხრიდან ზეწოლისა და ანგარიშსწორების სხვა ფაქტებზეც საუბრობენ.

**"შალვა დათუაძე და მისი ხალხი - გამგებელი და გამგებლის მოადგილე აწარმოებენ ბაღდათში კანდიდატების დაშანტაჟებას: რამოდენიმე კანდიდატს მოახსნევინეს კანდიდატურა, რადგან აშინებენ ახლობლების თანამდებობიდან გათავისუფლებით და სხვა მეთოდებით. მოსახლეობის მიმართაც იგივეს აკეთებენ, აიძულებენ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ იმუშაონ. მთელი რაიონი ჰყავთ ტერორში, ახლა კიდევ შალვა დათუაძის ბიძაშვილმა დააგვირგვინა პენსიონერი ქალის ცემით. საქმე არის აღძრული ბაღდათის პოლიციაში და ჩვენ ველოდებით სამართლიან გადაწყვეტილებას ბაღდათის პოლიციისგან,"** - ამბობს სალომე ზურაბიშვილის "საქართველოს გზის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბაღდათში მევლუდ კიკნაველიძე.

ოპოზიციის ბრალდებებს პროვოკაციას უწოდებს იმერეთის ვიცე-გუბერნატორი შალვა დათუაძე. **"მეც დავინტერესდი ამ ფაქტით და ჩემი მოკვლევით დავადგინე, რომ ამ ქალბატონმა თავისი პირადი კონსულტაციებისთვის მიმართა საავადმყოფოს, სადაც დახვდა ექიმი ლენგო კოჩაძე, რომელიც დეპუტატობის კანდიდატია და საკუთარი მეზობლებიც არ უჭერენ მხარს. საუბარი მიდის იმაზე, რომ მან ამ ქალს გადაუხადა ფული, რომ დაეწერა საჩივარი. ალბათ, ეს ქალი ფსიქიურად უნდა შეამოწმოს გამოძიებამ,"** - აცხადებს შალვა დათუაძე.

დეპუტატობის კანდიდატისგან ნაცემი ქალბატონი, რომელსაც სახლი 2001 წელს, წყალდიდობის შედეგად დაენგრა და დღემდე ქოხში ცხოვრობს 15 წლის შვილიშვილთან ერთად, პოლიციისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს.

# ტონი ბლერი გადადგა

## ლეიბორისტები საპარლამენტო არჩევნებში მეოთხედ გამარჯვებისთვის ემზადებიან

დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური ძვრები ლეიბორისტული პარტიის კონფერენციის დასრულების შემდეგ დაიწყო. ყოფილ პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს გადადგომისკენ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე აქტიურად მოუწოდებდნენ და მისგან გადადგომის კონკრეტული ვადის დასახელებას ითხოვდნენ. როგორც თავად ბლერი აცხადებდა, იგი ამ გადაწყვეტილებას ერთი წლის მანძილზე მიიღებდა, მაგრამ მოვლენები გაცილებით უფრო სწრაფად განვითარდა და ბლერმა გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის პოსტზე ათწლიანი მუშაობის შემდეგ მიიღო.

**"გადადგომა არც ისე ადვილია, მაგრამ მე ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადავდგა ქვეყნისა და პარტიის გამო,"** - განაცხადა ტონი ბლერმა, მაგრამ იქვე ისიც აღნიშნა, რომ შემდგომ არჩევნებში გამარჯვება მისი ერთადერთი მიზანია, რომლის მიღწევასაც ისურვებდა.

თანაპარტიელებს მანჩესტერში ჩატარებულ კონფერენციაზე ტონი ბლერმა საპარლამენტო არჩევნებში მეოთხედ გამარჯვებისთვის ძალების მოკრებისკენ მოუწოდა. მან საკმაოდ წარმატებული პოლიტიკოსი უწოდა ფინანსთა მინისტრს გორდონ ბრაუნს, რომელსაც ბევრი ბლერის უშუალო პოლიტიკურ მემკვიდრედ მიიჩნევს, მიუხედავად ამ ორ პოლიტიკოსს შორის ბოლო ხანს დაწყებული უთანხმოებისა.

**"ვიცი, რომ ახალი ლეიბორიზმის იდეა არასოდეს იქცევა რეალობად, მაგრამ ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში სამჯერ ვერ მივაღწევდით წარმატებას გორდონ ბრაუნის გარეშე. იგი შესანიშნავი ადამიანია, თავისი ქვეყნის დაუღლელი მსახური,"** - აღნიშნა ტონი ბლერმა.

პოლიტიკური რევერანსის გაკეთება თანაპარტიელისა და აწ უკვე მეტოქე ბლერისადმი არც გორდონ ბრაუნს დავიწყებია. დარბაზში მყოფი ბრიტანელი ჟურნალისტები კი ამტკიცებენ, რომ გარკვევით გაიგეს მისის ბლერის ლაკონური რეპლიკა გორდონ ბრაუნის მისამართით, როდესაც ფინანსთა მინისტრი ბლერთან, როგორც ლეიბორისტული პარტიიდან ყველაზე წარმატებულ პრემიერ-მინისტრთან, თანამშრომლობის დადებით ატმოსფეროზე საუბრობდა. **"იგი ტყუის,"** - თქვა შერი ბლერმა. მისის ბლერის ამ მოკლე წინადადებამ ბრიტანული გაზეთების ფურცლები, რადიო თუ ტელეეთერი უამრავი კომენტარით ააჭრელა. ამას შედეგად ბრიტანული იუმორისთვის დამახასიათებელი მანერით ტონი ბლერის გამოსვლაც მოყვა, რითიც მან ცოლის მისამართით გამოთქმული კრიტიკის გაქარწყლება სცადა.

**"ყოველ შემთხვევაში, მე საფუძველი მაინც არ მაქვს იმისთვის, რომ ვიღელვო ცოლი მეზობელ ბინაში მცხოვრებ ყმაწვილთან ერთად არ გაიქცეს,"** - აღნიშნა ღიმილით ტონი ბლერმა. ტრადიციულად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი მეზობლად ცხოვრობენ დაუნინგ სტრითის 10 და 11 ნომრებში.

მანჩესტერში კონფერენციაზე ტონი ბლერის მოხსენებამდე 50 ვიდეორგოლი აჩვენეს, სადაც ლეიბორისტების წარმატებები იყო ასახული, ხოლო ტრიბუნისკენ მიმავალი ბლერი ფეხზე მდგომმა თანაპარტიელებმა აპლოდისმენტებით მიაცილეს. კულუარებიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მრჩეველებმა ბლერს ურჩიეს, არ მოეწყო "მასშტაბური გამომშვიდობება", არამედ აქცენტები მხოლოდ პარტიის მომავლის საკეთილდღეოდ გაეკეთებინა, რაც ლეიბორისტებს საპარლამენტო არჩევნების მეოთხედ მოგებაში დაეხმარება.

**"სიმართლე მხოლოდ ისაა, რომ მე არ ვარ შეუცვლელი და ეს ასეც უნდა იყოს. მომავალ თვეებში მე დავინახავ ცვლილებებს, რომლებზედაც ასე თავაუღებლად ვმუშაობდი. მე ყველანაირად დავეხმარები პარტიას ძლიერი პლატფორმა შეიქმნას, რათა ის ერთადერთი მეკმკვირდეობა გადაიბაროს, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, კერძოდ, ლეიბორისტებმა ზედიზედ მეოთხედ მოვიგოთ საპარლამენტო არჩევნები, რაც ჩვენ ბრიტანეთის უკეთესი მომავლის შექმნაში დაგვეხმარება. მე კი გონს მოსვლა მჭირდება, ბოლო კვირა საკმაოდ დაძაბული იყო ჩემთვის მთელი ამ ჭორებისა თუ სიმართლის გამო,"** - აღნიშნა ტონი ბლერმა.

თანაპარტიელებთან ლიდერის როლში დამშვიდობებისას კი ტონი ბლერმა კიდევ ერთხელ შეახსენა დელეგატებს ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის მიღწევები, რაც მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში განხორციელდა. მან განათლების, ჯანდაცვის და დანაშაულთან ბრძოლის სფეროებზე ისაუბრა და კიდევ ერთხელ დაიცვა დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა.

**"ტერორიზმი ჩვენი დანაშაული არ არის, იგი ჩვენ არ შეგვიქმნია. ეს არ არის ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგი, პირიქით, ეს ჩვენი ცხოვრების წირზე შემოტევაა. ამიერიდან შესაძლოა, მე ბევრი ვერც ვერაფერი გავაკეთო ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის წინ წაწევისთვის, მაგრამ მე მაინც ვეცდები, რადგან ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა მხოლოდ ტერორიზმის დამარცხებით შეიძლება დამყარდეს,"** - თქვა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

*24 საათი*

## მოკლედ

### 3 ოქტომბერს "ლეიბორისტები" აქციას გეგმავენ

საქართველოს ლეიბორისტული პარტია" წინასაარჩევნოდ მასშტაბური აქციის გამართვას გეგმავს. ამის შესახებ განცხადება "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. ნათელაშვილის თქმით, ხელისუფლებამ ოპოზიციას არ მისცა იმის საშუალება, რომ ნორმალური საარჩევნო კამპანია ეწარმოებია. ამიტომ, "ლეიბორისტების" ლიდერი საზოგადოებას სამშაბათს, 3 ოქტომბერს, 15.00 საათზე პარლამენტის შენობასთან მშვიდობიან აქციაზე შეკრებისაკენ მოუწოდებს. "ხელისუფლებამ არჩევნები დეკემბრიდან ოქტომბრის თვეში იმიტომ გადმოიტანა, რომ პარტიებს წინასაარჩევნო მზადება ვერ მოესწროთ", - აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

### ბაღაფში სამხედრო წრთვნებს კოდორის მოვლენებს არ უკავშირებს

თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, რომელიც გუშინ ქვემო კოდორის ხეობაში სამხედრო ძალების სამდღიანი ფართომასშტაბიანი წრთვნების დახურვას დაესწრო, განაცხადა, რომ ჩატარებული სამხედრო ღონისძიება კოდორის ხეობის ირგვლივ შექმნილ რთულ ვითარებას არ უკავშირდება. "ეს გეგმიური წვრთნებია. ჩვენ უნდა გვყავდეს შეიარაღებული ძალა, რომელიც მზად იქნება ნებისმიერი აგრესიის მოსაგერიებლად მთიდან, ზღვიდან თუ ჰაერიდან", - აცხადებს ბაღაფში. კითხვაზე, რას მოიმოქმედებს სოხუმი, თუ ქართული მხარე ქვემო კოდორის ხეობის დაკავებას შეეცდება, ბაღაფშმა განაცხადა: "ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ისინი ღირსეულ წინააღმდეგობას შეხვდებიან". ბაღაფშმა სამხედრო წრთვნებს დადებითი შეფასება მისცა. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

### ირინა სარიშვილი "ნაციონალების" ბუკლეტების საჯაროდ დაწვას აპირებს

პოლიტიკური მოძრაობა "იმედი" 6 სექტემბერს შსს-ს მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას იგორ გიორგაძის გზიდან ჩამოცილების მცდელობად აფასებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება ბოლო დროს გიორგაძის მომხრეების რაოდენობის გაზრდამ შეაშინა. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ლიდერმა ირინა სარიშვილმა განაცხადა, ძალოვანი უწყებები დაპატიმრებული 12 ადამიანისგან აღიარებითი ჩვენების მიღებას მოითხოვენ, სანაცვლოდ კი გათავისუფლებას ჰპირდებიან. მისივე თქმით, მოძრაობა "ანტისოროსის" ლიდერს მაია ნიკოლეიშვილს აღიარებითი ჩვენებები სხვა არარსებულ ფაქტებთან დაკავშირებითაც აქვს მიცემული, რომელთა გამოყენებასაც ხელისუფლება უახლოეს მომავალში გეგმავს. "ჯერჯერობით აღიარება მხოლოდ ქალბატონი ნიკოლეიშვილისგან მიიღეს. დანარჩენებს ამ დრომდე სთხოვონ აღიარონ ის, რაც არ ყოფილა. ამ ხერხით ხელისუფლება ცდილობს იგორ გიორგაძეზე შექმნას კომპრომატები, რომელიც 12 წლის განმავლობაში ვერსად აღმოაჩინეს. მათ გიორგაძის წინააღმდეგ, არც ფაქტები აქვთ, არც მოწმეები ჰყავთ. მცდელობის მიუხედავად, ხელისუფლებამ ჯერ ვერ მოახერხა მისი საქმის სასამართლომდე მიტანა",- აღნიშნა სარიშვილმა. მან ასევე დასძინა, რომ წინასაარჩევნოდ გამოქვეყნებული პარტიათა რეიტინგები ერთადერთ მიზანს ემსახურება - "ხალხი წინასწარ შეეგუოს "ნაციონალური მოძრაობის" ყალბ გამარჯვებას, შემდეგ კი პარტათა მომხრეები ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყონ". სარიშვილი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ "ნაციონალური მოძრაობის" სარეკლამო ბუკლეტები, პატიმრობის და გირაოს თავიდან აცილების მიზნით, მშვიდად ჩაიბარონ, შემდეგ კი "იმედის" ოფისში მიიტანონ. მისივე განცხადებით, 5 ოქტომბრამდე დაიგეგმება და მოეწყობა "ქალაქის დასუფთავების ღონისძიება", სადაც მოგროვებულ ბუკლეტებს საჯაროდ დაწვავენ. **ინტერპრესნიუსი**

### კოფი ანანის მოწოდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (მსო) მოუწოდებს "მესამე სამყაროს" ქვეყნებისთვის მსოფლიო ბაზარზე შესვლის გზები გაამარტივოს და სასწრაფოდ განაახლოს მოლაპარაკებები დოხის რაუნდის ფარგლებში.

"თუ ჩვენ გვსურს ათასწლეულის მიზნები 2015 წლამდე განვახორციელოთ, მსოფლიო ვაჭრობაში ბარიერების მოხსნა - არსებითია", - ნათქვამია კოფი ანანის მსო-ისადმი მიმართვაში. მისი განცხადებით, დოხის მოლაპარაკებები საშუალებას იძლევა მსოფლიო ვაჭრობის ბალანსი ღარიბების სასარგებლოდ განაწილდეს. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მსო-ის წევრებს მოლაპარაკებების უმოკლეს ვადებში განახლებისკენ მოუწოდა. 2001 წელს დაწყებული დოხის მოლაპარაკებების რაუნდი სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო საქონელზე ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირებას ითვალისწინებს. თავდაპირველად დაწესებული გრაფიკის თანახმად, ეს პროცესი უკვე 2006 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ნინო ბურჯანაძე: ძლიერ და კონსტრუქციულ ოპოზიციას ვისურვებდი

პირველი გვერდიდან



პირველად დავინახე, რომ ევროპამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი თავის საზღვრებზე, იმაზე, თუ რეალურად სად მთავრდება ევროპის საზღვარი. სერიოზულად ფიქრობენ გაფართოების შემდგომ სქემაზე და ახალი ქვეყნების როლზე ამ გაფართოებაში. იქ მეც გავუსვი ამას ხაზი და სხებისთვისაც არ არის შეუმჩნეველი, რომ რუსეთი ევროპულ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას სულ უფრო და უფრო აქტიურად ცდილობს.

საერთოდ, იმ ორმა ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელიც საქართველოსა და უკრაინაში წარმოიშვა, ზოგადად, კარგი სამსახური გაგვიწია. რა თქმა უნდა, თავისთავად ცუდი იყო ის ფაქტი, რომ ზამთარში გაზის გარეშე დავრჩით და უკრაინასაც დიდი პრობლემები შეექმნა, მაგრამ რუსეთის ამ გადაწყვეტილებამ ევროპა სერიოზულად ჩააფიქრა და ახლა ბევრად უფრო აქტიურად ფიქრობენ ენერგორესურსების დივერსიფიკაციის შესაძლო გზებზე და მათ შორის საქართველოს და კავკასიის გამოყენებით, ვიდრე ეს ორი ან სამი წლის წინ იყო.

**- რამდენად დიდია რუსეთის გავლენა ეუთო-ზე? რუსული სამშვიდობო ფორმატის შეცვლის მოთხოვნა იმოქმედებს თუ არა ეუთო-ს მისიაზე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში?**

- მოგეხსენებათ, ეუთო-ს მონიტორინგი სამხრეთ ოსეთში სამშვიდობოების პარალელურად ხორციელდება, ხოლო "იუნომიგი" აფხაზეთში მუშაობს. ამ ორი მისიის მანდატი შეზღუდულია და ისინი ეფექტურნი ვერ იქნებიან. სწორედ ამიტომ ვითხოვთ მანდატის შეცვლას. ამ ცვლილებით უნდა მოხდეს რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება, საერთაშორისო მანდატის გაფართოება. ბუნებრივია, მანდატის შეცვლით ეუთო-ს მანდატსაც შევცვლით.

ისიც იცით, რომ "იუნომიგი"-ს მანდატი რუსი სამშვიდობოების მანდატს მნიშვნელოვანწილად მიბმულია. ჩვენ ყველგან ვაფიქსირებთ, რომ საქართველოს ინტერესებში არ შედის კონფლიქტის ზონიდან "იუნომიგის" გასვლა. არ გვინდა, რომ კონფლიქტის ზონაში ვაკუუმი შეიქმნას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს გადაწყვეტილებებზე არ არის დამოკიდებული.

დეკემბერში ეუთო-ს მინისტერიალი გაიმართება და ცხადია, დღის წესრიგში ყველა იმ საკითხს დავაყენებთ, რომელიც იმ პერიოდისთვის იქნება მნიშვნელოვანი ჩვენთვის.

საერთაშორისო არენაზე ძალზე სერიოზული ახალი მოთამაშე გამოვიდა, სუამი-ს სახით. ეს ორგანიზაცია დიდი ხნის განმავლობაში ბევრს უშლიდა ნერვებს, რის გამოც მის დაბლოკვას მაქსიმალურად ცდილობდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში სუამი-ს აქტიურობამ ყველას კარგად დაანახა ამ ქვეყნების ერთიანობა და ისიც, რომ ეს პერსპექტიული ორგანიზაციაა.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში სუამი-ს დაჟინებული მოთხოვნით და აქტიური მუშაობით, პირველად შევიდა საკითხი, რომელიც სუამი-ს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებს ეხებოდა. კარგად მახსოვს ჩემი გამოსვლა გაერო-ს უშიშროების საბჭოზე - როდესაც ამ თემაზე დისკუსია არ გაგრძელებულა. მაშინვე ვთქვი, რომ არ შეიძლება ისეთი ორგანიზაცია, როგორიც გაეროა, მწვავე დისკუსიის შიშით, თვალს ხუჭავდეს ამ პრობლემებზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქცია სწორედ ის არის, რომ სხდომათა დარბაზში, თუნდაც, არასასიამოვნო დისკუსიის შედეგად რაიმე გადაწვეტილება მიიღოს.

ბერლინში იყო საუბრები ნატო-სა და ევროკავშირის ურთერთობებზე, ეს ძალზე სერიოზული პრიორიტეტია. იქაც მაღალი შეფასება დაიმსახურა საქართველოს ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის ფაზაში გადასვლამ. სერიოზული საუბარი გაიმართა ნატო-სა და საქართველოს ტიპის ქვეყნების ურთიერთობებზე ევროკავშირთან.

**- როგორ უყურებენ საქართველოს მონაწილეობას ერაყში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში ის ევროპული ქვეყნები, ვინც ერაყში აშშ-ს პოლიტიკას არ ეთანხმება?**

- არ ვთვლი, რომ ევროპელები სერიოზულად არ უყურებენ ჩვენს მონაწილეობას ერაყში მიმდინარე პროცესებში. შეიძლება ისინი არ ეთანხმებიან ამა თუ იმ გადაწყვეტლებას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამხედრო კონტინგენტი ერაყშია წარმოდგენილი და არა იმ თვალსაზრისით, რომ თუნდაც კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი ქართველი ბიჭები რაიმე გარდატეხას შეიტანენ, არა. აქ მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ საქართველო არ არის და არც უნდა იყოს ნატო-ს ან ევროკავშირის უსაფრთხოების მხოლოდ მომხმარებელი ქვეყანა. ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა ვიყოთ ამ ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და თუნდაც მცირე წვლილი შევიტანოთ იმ საქმეში, რომელსაც ეწევიან ნატო, ანტიტერორისტული კოალიცია და ევროკავშირი.

ევროკავშირში, ნამდვილად შეიძლება გვქონდეს საერთაშორისო თანამეგობრობის, ბალტიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იმედი. მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც ამას სკეპტიკურად უყურებს, ნატო-სთან ინტენსიური დიალოგი ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების დიდი მიღწევაა.

ნახეთ ალბათ, რა კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეტა მინისტრმა ლავროვმა, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს ინტენსიური დიალოგი. მან თქვა, რომ ეს სრულიად ცვლის რეალობას და საქართველოსთან ნატო-ს ურთიერთობა ახალ ფაზაში გადადის.

**- ამასთან, რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაც...**

- რა თქმა უნდა, რუსეთთანაც.

ცხადია, ბევრი ევროპელი კოლეგის იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ, თუნდაც გერმანია არის ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ აქტიური მუშაობა უნდა განვაგრძოთ ისევე, როგორც საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან, რათა ამ ქვეყნების მუდმივი მხარდაჭერა გვქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბევრი გააკეთა და ინტენსიური დიალოგის სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანწილად შესრულდა, ევროპული სახელმწიფოებისგან მაინც იყო კითხვები და ფრთხილი დამოკიდებულება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ დიდი ბრიტანეთში ჩვენმა საპარლამენტო ვიზიტმა ნამდვილად მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა ამ სახელმწიფოს დამოკიდებულებაში. გულწრფელად ვსაუბრობდით ჩვენს ქვეყანაში რეალურად არსებულ პრობლემებზე, არავისთვის არ გვითქვამს, რომ საქართველო ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა მთელს მსოფლიოში და ყველა სხვა სახელმწიფომ ჩვენგან უნდა ისწავლოს ან დემოკრატია, ან სასამართლოს დამოუკიდებლობა. ღიად ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ეს პრობლემები უნდა გადაწყდეს და ჩვენ ევროპელი მეგობრები და საქართველოში ნატო-ს სტანდარტების უფრო მეტად დამკვიდრება გვჭირდება.

აქტიური მუშაობის შედეგად გერმანელმა კოლეგებმა, რომლებიც ბოლომდე ფრთხილად ეკიდებოდნენ ამ საკითხებს, საბოლოოდ მხარი დაგვიჭირეს.

გარდა ამისა, ბევრი მნიშვნელოვანი გამოსვლა და შეხვედრა მქონდა გავლენიან ექსპერტებთან. შევხვდი ბატონ ილჰამ ალიევს, ასევე გერმანიის კანცლერის მრჩეველს საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ეს ადამიანი წამყვანი ფიგურაა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განასაზღვრაში. შეხვედრა ნახევარი საათის ნაცვლად საათსა და თხუთმეტ წუთს გაგრძელდა, რაც იშვიათად ხდება და მიანიშნებს, თუ რაოდენი დაინტერესებაა საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი.

**- ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის მოულოდნელმა თემამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. რამდენი ხანია, რაც ჩვენს ხელისუფლებაში ეს აზრი მომწიფდა?**

- ეს თემა ჩემგან ნამდვილად არ წამოსულა. იმ სხდომაზე საუბარი იყო ზოგადად ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. ბუნებრივია, დღეს აქტიურად ისმის რუსეთზე, ირანის ბირთვულ პროგრამაზე და როგორც მე ვხვდები, რაღაც ფრაზა ითქვა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებაც. სწორედ ეს გახდა აჟიოტაჟის საგანი. საქართველოს ხელისუფლებაში კი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ სერიოზული განხილვა ნამდვილად არ მიმდინარეობს. უბრალოდ, ბერლინში ზოგადად მკითხეს, რას ვფიქრობდი ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების შესახებ და ვთქვი, რომ არაფერი სენსაციური არ იქნება, თუ ოდესმე ყოველმხრივ მზად ვიქნებით გასაკეთებლად. ეს არის ენერგიის გამოყენების ცივილიზებული ფორმა და ამ მიზნით ენერგიის გამოყენება ცივილიზებულ სახელმწიფოში კითხვებს არ იწვევს. ასეთი იყო ჩემი ზოგადი კომენტარი. ნამდვილად არაფერს არ მალავს საქართველოს მთავრობა და რატომ გამოიწვია ამან ასეთი აჟიოტაჟი, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

**- ნატოს-თან ურთერთობის ახალ ფაზაში შესვლა რა ახალ რეალობას წარმოშობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და ელით თუ არა ამ მხრივ რაიმე პოზიტიურს?**

- ჩვენ ნებისმიერი სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების გათვალისწინებისთვის ვართ მზად და ეს არაერთხელ აღგვინიშნავს სხვადასხვა დონეზე. კანონიერ ინტერესებში კი ის ნამდვილად არ შედის, რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო აკონტროლოს, ჩვენს მოსახლეობას პასპორტები დაურიგოს და რეფერენდუმები ატაროს. რუსეთის კანონიერი ინტერესებია ის, რომ დარწმუნებული იყოს მისი საზღვრების და ტერიტორიების უსაფრთხოებაში. საქართველოს მხრიდან ამას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ჩვენ ამის გარანტიას ყოველთვის ყველა ქვეყანას ვაძლევდით, რადგან საქართველოს მშვიდობიანი საგარეო და საშინაო პოლიტიკა აქვს.

განცხადებები, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება რუსეთისთვის სტრატეგიულ საფრთხეს შეიცავს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, რადგან რუსეთს სერიოზული და ღრმა ურთიერთობები აქვს ნატო-სთან. ერთი მხრივ, რუსეთი ნატო-სთან ერთად, ლამის ერთობლივ წვრთნებს მართავს და მეორე მხრივ, აცხადებს რომ ნატო მისთვის საფრთხეს წარმოადგენს - ეს ორმაგი სტანდარტის კლასიკური მაგალითია. ნატო-სთან დაახლოვებით ჩვენ არაფრის გაუარესებას არ ვაპირებთ. რაც შეეხება რუსეთს - მისი მხრიდან პირდაპირ გაისმა, რომ ნატოს-თან ინტენსიური დიალოგის რეჟიმი შეცვლის მის ურთიერთობებს საქართველოსთან და არა უკეთესობისკენ.

**- რუსეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოები, ასე თუ ისე, თანამშრომლობდნენ. ახლა ვითარება უკიდურესად დაძაბულია. რა ურთიერთობები აქვს საქართველოს პარლამენტს დუმასთან?**

- რუსეთის დუმის წარმომადგენლებთან შესახვედრად ყოველთვის მზად ვართ. ჩემი კოლეგა, ბატონი გრიზლოვი ჩენთან ნებისმიერი შეხვედრის შესაძლებლობას აქტიურად არიდებს თავს. ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი ბატონ მირონოვზე. საერთაშორისო ფორუმებზე ჩვენ იმ თემებზე ვსაუბრობთ, რომელზეც განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ როგორც მინიმუმ, ვსაუბრობთ.

14 ნოემბერს მოსკოვში კავკასიური ოთხეულის შეხვედრაა დაგეგმილი - ამ ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები შეხვდებიან. მე თანხმობა განვაცხადე ამ ფორმატით მუშაობაზე. შევეცდები, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც და სხვა მაღალ ეშელონებში შედგეს შეხვედრები და თუ დიალოგის სურვილი აქვთ, ამის შესაძლებლობა ექნებათ.

**- იურიდიული კომიტეტიას თავმჯდომარეს არჩევნების დარღვევების მონიტორინგი დაავალეთ. როგორ მოხსენებას ელით ბეჟაშვილისგან და საერთოდ, რას იტყვით მიმდინარე საარჩევნო პროცესზე?**

- არართელ განმიცხადებია და ახლაც ვიმეორებ, რომ არჩევნების პროცესის გამჭვირვალობისთვის და სამართლიანობისთვის მაქსიმალურად გავაკეთებ ყველაფერს. რამდენიმე თვის წინ კოლეგებს დამკვირვებლების გამოგზავნა წერილობით ვთხოვე, რაზეც ნაწილობრივ გამომეხმაურნენ, დამკვირვებლები იქნებიან. ბატონმა ლევან ბეჟაშვილმა და სხვა იურისტებმა მოამზადეს დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის ჩამოთვლილი საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული პრეტენზიები.

**- რა ტენდენციებს ხედავთ? სამართლიანია საყვედურები, რომელიც მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიმართ გამოითქმება?**

- ამ საარჩევნო კოდექსს ჩვენი კოლეგები იწუნებენ და სამარცხვინოს უწოდებენ. ევროპელ ექსპერტებთან პირადად გადავამოწმე აზრი ამ კოდექსის შესახებ და მწვავე შეფასებები მათი მხრიდან ნამდვილად არ მომისმენია. ყველა მათი რეკომენდაცია გავითვალისწინეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არჩევნების პოცესში რაიმე ხარვეზი არ აღმოჩნდება. თუნდაც ის, რომ ცესკო-ს თავჯდომარეს რამდენიმე მუხლის განმარტება და დამატებითი აქტის გამოცემა მოუწია. ვფიქრობ, რომ არჩევნების შემდეგ უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ხარვეზებსა და პრეტენზიებს გააანალიზებს. კანონი ცოცხალი ორგანიზმია და არც ერთ ქვეყანაში არ უთქვამს არავის, რომ იდეალური კანონები აქვთ.

**- ოპონენტებს ერთმანეთის სარეიტინგო მონაცემებისა არ ჯერათ... თქვენ რას ფიქრობთ?**

- საფუძვლიანი კვლევების ჩატარება სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ნათლად დაინახო, როგორი მხარდაჭერა აქვს სახელისუფლებო პარტიას. რამდენადაც კრიტიკულნი არ უნდა იყვნენ, ადამიანები უმეტესად ხედავენ იმას, თუ რა გაკეთდა. თუმცა, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია და ფორმებიც დასახვეწია. სახელისუფლებო პარტიას დიდი მხარდაჭერა აქვს და ეს სრულიად გასაგები და ბუნებრივია.

რაც შეეხება, ოპოზიციურ პარტიებს - ნამდვილად ვწუხვარ და მიმაჩნია, რომ საპარლამენტო ბოიკოტიდან დაწყებული, უკანასკნელ პერიოდში მათ ბევრი შეცდომები დაუშვეს. თავი დავანებოთ იმას, სამართლიანი იყო თუ არა მათი მოთხოვნა - წმინდად პრაგმატულად არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა გაუკეთოს საკუთარ თავს ისეთი საქმე, რომ საპარლამენტო პარტიამ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ტრიბუნა დაკარგოს და მთლიანად გამოეთიშოს საკანონმდებლო პროცესს. შეიძლება, არც გასულიყო მათი წინადადებები, მაგრამ საპარლამენტო დებატების დროს თემების გააქტიურება ხომ შეიძლებოდა?!

**- თქვენი აზრით, რა მთავარი შეცდომა დაუშვა ოპოზიციამ საარჩევნო პროცესისას?**

- მათ გაერთიანება ვერ შეძლეს. დაქსაქსულ ოპოზიციას გამარჯვებისთვის საჭირო პროცენტის დაგროვების ბევრად ნაკლები შანსი აქვს და ეს მათი სერიოზული შეცდომა იყო.

სამწუხაროდ, ვერ გადავეჩვიეთ, რომ მთელი საარჩევნო კამპანია ლანძღვა-გინებასა და შეურაცხყოფაზე არ იყოს აგებული. თქვენ მოისმინეთ რომელიმე პარტიის სერიოზული პროგრამა და პლატფორმა?

**- არც ხელისუფლებას წარმოუდგენია ასეთი რამ...**

- ხელისულებამ საკუთარ თავს შეიძლება მისცეს ამის უფლება. თუმცა, გეთანხმებით, შეიძლება ხელისუფლებასაც უფრო ნათლად უნდა ეთქვა ამის შესახებ. მაგრამ, პრიორიტეტები და ცალკე პროგრამა ადგილობრივი არჩევნებისთვის ხელისუფლებას აღარ ჭირდებოდა, რადგან ის დღეს სწორედ ამ პროგრამით მოქმედებს.

**- როგორ საპარლამენტო არჩევნებს მივიღებთ ორი წლის შემდეგ?**

- შეიძლება, სულ სხვა რეალობა იყოს და იმედი მაქვს, იმ დროისთვის ორივე მხარეს მეტი პოლიტიკური კულტურა ექნება.

პირველ რიგში ხელისულებას ვუსურვებ, საპარლამენტო არჩევნები იყოს დემოკრატიული და ნაკლები ხარვეზებით.

პოლიტიკოსების გულწრფელობაში ხშირად ეჭვი ეპარებათ ხოლმე, მაგრამ ნამდვილად გულწრფელად ვამბობ - რაც არ უნდა ძლიერი და წარმატებული იყოს ხელისუფლება ორი წლის შემდეგ, ძლიერ და კონსტრუქციულ ოპოზიციას ვისურვებდი. ამგვარი ოპოზიცია ყველა გონიერ ხელისუფალს სურს.

**- საბურთალოს რაიონის ამომრჩეველი ბრძანდებით. იცნობთ თქვენს მაჟორიტარებს?**

- პირადად არც ერთს არ ვიცნობ და უფრო თამამად იმ ადამიანებს ვუჭერ მხარს, ვისაც ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ისინი ნდობას გაამართლებენ.

იმაზე კი, რომ ნამდვილად მმართველ პარტიას უნდა დავუჭირო მხარი, კითხვის ნიშნები არ არსებობს.

# ალტერნატივა სუამი-საგან

პირველი გვერდიდან

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გაიმართა შეხვედრა სუამ-აშშ-ს ფორმატით, რომელშიც სუამ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დევიდ კრამერი მონაწილეობდნენ.

სუამ-ის აქტიურობას რუსეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. **"საქართველო ცდილობს, სუამ-ის სამხედრო პოტენციალი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლების მიზნით გამოიყენოს,"** - განაცხადა რუსეთის ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

მისი მტკიცებით, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლება სუამ-ისთვის სწორედ სამხედრო-პოლიტიკური მიმართულების მიცემას ცდილობს და ამაში მას **"ზოგიერთი დასავლური სახელმწიფოც ეხმარება"**. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ არ **"ათამაშოს კუნთები"**, **"როგორც ეს კოდორის ხეობაში მოხდა"**.

ის ასევე არ გამორიცხავს "კუნთებით თამაშს" აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მაგრამ, **"თუ ეს ასე მოხდება, რუსეთი გამონახავს ადეკვატურ ზომებს სიტუაციის ამგვარი სცენარით განვითარების თავიდან ასაცილებლად"**. ამასთან, სერგეი ივანოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ რუსეთი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას უჭერს მხარს.

სუამ-ის ქვეყნების მინისტერიალი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 61-ე სისიის მიმდინარეობისას შედგა. სწორედ ამ სესიაზე სუამ-ის ქვეყნებმა, ერთობლივი ძალისხმევით, "გაყინული კონფლიქტების" საკითხის დღის წესრიგში შეტანას მიაღწიეს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ანექსიაში დაადანაშაულა და სამშვიდობო ფორმატის შეცვლა მოითხოვა. ყველაფერი ეს კი ნატო-ს მინისტერიალის გადაწყვეტილებას დაემთხვა, საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ.

რუსეთის პოზიციებზე ასეთი კარგად კოორდინირებული პოლიტიკური შეტევა აშშ-ს თუნდაც არა დეკლარირებული მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. მართალია, საქართველოში არსებული კონფლიქტების ზონებში სამშვიდობო პროცესებზე რუსეთის მონოპოლიის დარღვევა, ან თუნდაც სამოქალაქო პოლიციის ფორმატის გამოყენება ერთი გადაწყვეტილებით ვერ მიიღწევა, მაგრამ საქართველომ და მისმა პარტნიორებმა შეძლეს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საკუთარი შეუვალი პოზიცია და, იმავრდოულად, კონფლიქტურ ზონებში ამჟამინდელი სიტუაციის შესაძლო ალტერნატივა დაეფიქსირებინათ.

# საქართველო რისკების წინაშე

**"პირდაპირი მუქარა გაისმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ ისინი მზად იქნებიან, კოსოვოს ცნობის პარალელურად ცნონ საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

**"ყოველგვარი მცდელობა საქართველოს ხარჯზე დიდი თამაშის წარმოებისა, ჩვენი ტერიტორიების გაცვლის და გადანაწილების ყოველი მცდელობა წააწყდება წინააღმდეგობას ჩვენი ძირითადი პარტნიორების მხრიდან და, რაც მთავარია, ამას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება ქართველი ხალხი,"** - სწამს პრეზიდენტს. **"საფრთხე არის უკვე უახლოეს პერიოდში, მაგრამ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის, რაც დავიწყეთ. ჩვენ ნამდვილად არ ვართ უმწეო ქვეყნის მდგომარეობაში და ვინც არ უნდა გადაწყვიტოს რაიმე ჩვენს ხარჯზე, აქ ვერავინ ვერ გამოისეირნებს და ვერ ჩამოგვაჭრის ჩვენი ტერიტორიის ბუნებრივ სისხლხორცეულ ნაწილს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

*24 საათი*

# დატყვევებული თუ გაფრენილი ტრაქტორები

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გუშინ ხმაური იყო გურჯაანის რაიონის პოლიციის ეზოში. "რესპუბლიკელი" თინა ხიდაშელი და "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგური ერთი საათის განმავლობაში ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რატომ იდგა პრეზიდენტის მიერ გლეხებისთვის ნაჩუქარი ტრაქტორები პოლიციაში. სოფლის მეურნეობის მინისტრი კი მათ ხუმრობით პასუხობდა - გაფრინდნენ, ბატონებო, ტრაქტორები და ახლა სადაც გინდათ ეძებეთო.*

ერთსაათიანი ძებნის მიუხედავად, ზვიად ძიძიგურმა და თინა ხიდაშელმა მაინც ვერ იპოვეს ის ათი ტრაქტორი, რომლებიც მათ ვიზიტამდე რამდენიმე წუთით ადრე გურჯაანის პოლიციის ეზოში იყო დატყვევებული. პოლიციის უფროსი ხედაშელს და ძიძიგურს განუმარტავდა, რომ ტრაქტორები გაიყიდა, სოფლის მეურნეობის მინისტრი კი ოხუნჯობის ხასიათზე იყო და აცხადებდა, რომ ტრაქტორები გაფრინდნენ. სწორედ აღნიშნული განმარტებები აძლევდა ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებს შემდეგი განცხადებების გაკეთების საფუძველს: **"ნაჩუქარი ტრაქტორები გაგანია რთველში უნდა ყოფილიყვნენ და არა პოლიციაში, მაგრამ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ათი ტრაქტორი, რომელიც პოლიციაში იდგა, გაიყიდა. გარდა ამისა, არის ინფორმაცია, რომ ტრაქტორები, შესაძლოა, აქ ოქრუაშვილის ნაკვეთების დასამუშავებლად თუ ბიზნესისთვის არის განკუთვნილი,"** - აცხადებს ზვიად ძიძიგური.

საგულისხმოა, რომ პოლიციაში დატყვევებული ტრაქტორების შესახებ ამ ცოტა ხნის წინ "24 საათიც" წერდა. მაშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი აცხადებდა, რომ ეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, ტენდერის მიხედვით, ობიექტურად გაიცა. თუმცა, კახელი გლეხები ამბობდნენ, რომ ტრაქტორებს მაშინ ხედავენ ქუჩაში, როცა პრეზიდენტი რომელიმე რაიონში გეგმავს ბრიფინგს. გლეხების ნათქვამს გუშინ უკვე თინა ხიდაშელი იმეორებდა. **"სიმართლე გითხრათ, ტრაქტორები, როგორც წითელი ავტობუსები, ყალბი პიარის და საპრეზიდენტო აფიორის ნაწილია. ეს ტრაქტორები ისე დადიან, რა მარშრუტითაც პრეზიდენტი. ამბობენ, სექტემბრის ბოლოს ახალი პარტია მოდისო. ახალი კი არა, პრეზიდენტმა იმავე ტრაქტორებთან უნდა ჩაატაროს ბრიფინგი,"** - ამბობს ხიდაშელი.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი კი ჟურნალისტებთან საუბარში განმარტავს, რომ ყველა ტრაქტორი, რომელიც პრეზიდენტის პროგრამით იყო დარიგებული, მოქმედებაშია.

ოპოზიციის წარმომადგენლები მიხეილ სვიმონიშვილის ასეთმა განცხადებამ მაინც ვერ დააშვიდა. თინა ხიდაშელმა მიხეილ სვიმონიშვილს დამშვიდობებამდე მაინც გენერლობა უსურვა და ტრაქტორების გაცემის შესახებ მონიტორინგის ჩატარების სურვილი გამოთქვა. საპასუხოდ კი მიხეილ სვიმონიშვილმა ძიძიგური და ხიდაშელი რთველში მიიწვია.


დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

მოკლედ

### თემურ თათარაშვილი ნარკოდანაშაულის ფაქტზე დააკავეს

ცნობილ ქართველ მომღერალს თემურ თათარაშვილს ბრალს ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის მუხლით წაუყენებენ. თემურ თათარაშვილი გუშინწინ, ნარკოტიკების გაყიდვის მცდელობის დროს დააკავეს. საუბარია "სუბუტექსის" რეალიზაციის ფაქტზე.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გამოძიებით დადგინდა, რომ თემურ თათარაშვილს ნარკოტიკული ნივთიერება საფრანგეთიდან ჩამოჰქონდა და მის რეალიზაციას ახდენდა. "თათარაშვილმა ბოლო პერიოდში 50 აბი "სუბუტექსი" ჩამოიტანა, მისი ნაწილის გასაღება მოასწრო, ნაწილი კი ამოვიღეთ", - განმარტავენ შსს-ში. შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის შოთა ხიზანიშვილის ინფორმაციით, თემურ თათარაშვილი სანაპიროზე, სასწრაფო დახმარება 03-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ეწეოდა სუბუტექსის რეალიზაციას.

ეჭვმიტანილი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, მას ბრალს 260-ე მუხლით წაუყენებენ, რაც ნარკოტიკების რეალიზაციას გულისხმობს და, დამტკიცების შემთხვევაში, 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ თათარაშვილის დაკავებისა და ჩხრეკის ამსახველი ვიდეომასალაც გაავრცელა.

შსს-ს ინფორმაციით, ეჭვმიტანილი დანაშაულს აღიარებს და არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სამი აბი "სუბუტექსი" თან ჰქონდა. 30 აბზე მეტი კი მისი ბინიდან ჩხრეკისას ამოიღეს.

თემურ თათარაშვილს ბრალს დღეს წარუდგენენ, რის შემდეგაც გამოძიების მხარე აღმკვეთი ღონისძიების შერჩევისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს. **24 საათი**

### მოსკოველმა სამართალდამცველებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს

მოსკოვის შს მთავარი სამართველოს მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებულთა შორის მოსკოვში დროებით მცხოვრები, 1974 წელს დაბადებული სქართველო მოქალაქეცაა.

იგი ავტომანქანა ვაზ-21063-ის ტიპის ავტომანქანაში ადგილობრივი მცხოვრების განცხადების საფუძველზე დააკავეს.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ავტომანქანის მგზავრებმა მას მობილური ტელეფონი წაართვეს. საქართველოს მოქალაქესთან ერთად უზბეკეთის მცხოვრები იმყოფებოდა, რომელიც მანქანას მართავდა. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოკვლევა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოსკოვის მილიციამ ქართველ მოსწავლეზე ძებნა გამოაცხადა

მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებამ 16 წლის ქართველ მოსწავლეზე ბესიკ ქოჩალაძეზე ძებნა გამოაცხადა. სამართალდამცველეთა ინფორმაციით, ბესიკ ქოჩალაძემ თანაკლასელს, აზერბაიჯანელ ემენ ოჯახგულუევს დანით მრავალჯერადი ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა მისი მოძიება რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სცადეს, თუმცა - უშედეგოდ. მოსკოვის მილიცია ვარაუდობს, რომ ქოჩალაძე, რომელიც მამასთან ერთად მოსკოვში დროებით ცხოვრობდა, უკვე საქართველოში იმყოფება. რუსი სამართალდამცველები დახმარებას ქართველ კოლეგებს სთხოვენ. შესაბამისი შეტყობინება ქოჩალაძის გარეგნობის აღწერისა და ინციდენტის შესახებ უკვე გამოგზავნილია.

როგორც გაირკვა, დაძაბულობა მოსწავლეებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც ოჯახგულუევმა ქოჩალაძეს მოსთხოვა, მხოლოდ რუსულად ელაპარაკა. ქოჩალაძე სკოლაში 1 სექტემბერს სხვა სკოლიდან გადავიდა. ძველი სკოლის დირექცია მას არაკონფლიქტურ მოსწავლედ ახასიათებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ახალი ავტომანქანები შსს-ს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოპარკს 14 მაღალი გამავლობის ავტომანქანა შეემატა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე აცხადებს, საბიუჯეტო სახსრებით, ტენდერის გზით, 10 "უაზის" მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალება შეიძინეს, რომელთა საერთო ღირებულება 187 ათას ლარს შეადგენს. ოთხი "უაზის" მარკის ავტომანქანა კი სააქციო საზოგადოება "მადნეულმა" აჩუქა სამინისტროს.

აღნიშნული ავტომანქანებიდან ნაწილი კოდორის ხეობაში გაიგზავნა და ხეობაში დისლოცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დანაყოფების გადაადგილებას უზრუნველყოფს. **ინტერპრესნიუსი**

### მონიტორინგი სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიულ ოფისებში

სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ტერიტორიულ ოფისებს ამოწმებს.

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე სოლომონ ელისაბედაშვილი და მისი პირველი მოადგილე თამარ ბარბაქაძე 27 სექტემბერს ორდღიანი ვიზიტით კახეთში გაემგზავრებიან და საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროსა და თელავის რაიონების სააღსრულებო ბიუროების მონიტორინგს ჩაატარებენ.

ვიზიტის მიზანია სააღსრულებო დეპარტამენტის რეგიონულ ბიუროებში არსებული ვითარებისა და სასამართლო აქტების აღსრულების მდგომარეობის გაცნობა. ასეთივე შემოწმება დასავლეთ საქართველოშიც იგეგმება. სააღსრულებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე გერმანე მაღლაკელიძე და დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა სამმართველოს უფროსი გიგი ჯანყარაშვილი 28-29 სექტემბერს ზესტაფონის, თერჯოლის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და ფოთის ადგილობრივ ბიუროებს ეწვევიან. **24 საათი**

### პროდუქციით დატვირთული ავტომანქანები დააკავეს

ფინანასური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ აღურიცხავი სამრეწველო პროდუქციით დატვირთული ოთხი ავტომანქანა დააკავა.

"კრაისლერის","ვაზ-2101"-ის და "ფორდის" მარკის ორი ავტომანქანა ფინანსურმა პოლიციამ რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა.

ავტომანქანები ტერმინალშია გადაყვანილი და ტვირთს ექსპერტიზა უტარდება. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ მძღოლები კარენ ტატევოსიანი, არსენა ტონოიანი, მალხაზ სურმანიძე და ოსმან აბდულაევი დაჯარიმდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ღონისძიებები იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთათვის

იუსტიციის სასწავლო ცენტრი, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდთან (IRZ) თანამშრომლობით, 2006 წლის ბოლომდე განახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვანს ღონისძიებას, რაც ხელს შეუწყობს როგორც იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ისე, ზოგადად, სამართლებრივი რეფორმის მხარდაჭერას საქართველოში.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული ღონისძიებები დაიგეგმა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის სულხან გამყრელიძისა და სამართლებრივი პროექტების კოორდინატორის ეკა ონიანის გერმანიაში ვიზიტისას, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მიწვევით მოეწყო.

გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დელეგაციამ შეხვედრები გამართა გერმანიის იუსტიციის სისტემაში მოქმედი სასწავლო დაწესებულებებისა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანულ ფონდის წარმომადგენლებთან. **პრაიმ-ნიუსი**

### ჩვენების გაუხმაურებელი დეტალები

პოლიტიკური გაერთიანება "იმედის" თავმჯდომარის ირინა სარიშვილის ინფორმაციით, 6 სექტემბერს დაკავებული იგორ გიორგაძის 12 მომხრე ამ დრომდე არ დაკითხულა. დაკავებულებს გამოძიება მხოლოდ აღიარებითი ჩვენების დაწერას სთავაზობს.

"დაუჯერებელი ფაქტია, რომ ამ დრომდე არ დავკითხულვართ არა მხოლოდ მე და ელიზბარ ჯაველიძე, არამედ არც ერთი ჩვენი მომხრე, რომლებიც 6 სექტემბერს დააპატიმრა ხელისუფლებამ. მათ სთავაზობენ ე.წ. აღიარებას, სინამდვილეში -ცილისწამებაზე ხელის მოწერას და, ამის სანაცვლოდ, თავისუფლებას ჰპირდებიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ არანაირი მაისის შეკრება არ მომხდარა, ამიტომაც ვერაფერს იძიებს", - აცხადებს ირინა სარიშვილი.

მისივე ინფორმაციით, საზოგადოებრივი მოძრაობა "ანტისოროსის" ლიდერის მაია ნიკოლეიშვილის აღიარებით ჩვენებაში ჯერ კიდევ გაუხმაურებელი რამდენიმე ცილისწამებაა დაფიქსირებული. "მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ მაია ნიკოლეიშვილმა ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ცილისწამების რამდენიმე ფაქტს მოაწერა ხელი. საზოგადოებისთვის ამ ფაქტის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ეს გარემოებები კიდევ უფრო დაამძიმებს პარტია "სამართლიანობის" დაპატიმრებული მომხრეების მდგომარეობას", - აღნიშნა ირინა სარიშვილმა. **მედიანიუსი**

# "ქართული და რუსული მაფიის გენერლის" დაუსწრებლად გასამართლება

პირველი გვერდიდან

ალექსანდრე კრეინი ამერიკელი ბიზნესმენი გახლდათ, რომელსაც ინტრესები სათამაშიო ბიზნესში ჰქონდა. საქმეში ფიგურირებს კაზინო "კრისტალი", რომელიც მოსკოვში მდებარეობს. არსებული ინფორმაციით, ამავე კაზინოს მეწილეა შაქრო კალაშოვი - უფრო ზუსტად, იგი "კრისტალის" მფლობელი მას შემდეგ გახდა, რაც კრეინს წილი იძულებით წაართვა.

პროკურატურის ბრალდებით, კალაშოვმა ალექს კრეინი 2000 წლის 18 ივნისს აიყვანა მძევლად და, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, ოჯახს 1.200.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. სავარაუდოდ, კრეინის ოჯახს მოთხოვნილი სოლიდური გამოსასყიდი არ გადაუხდია, რადგან ალექს კრეინი დაკარგულად ითვლება - მის ასავალდასავალს დღემდე ვერ მიაგნეს.

რამდენიმე დღის წინ, 16 სექტემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ კალაშოვს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და ბრალდებულ "კანონიერ ქურდზე" ძებნა გამოცხადდა.



შაქრო კალაშოვი მადრიდში ექსტრადირებისას.

21 სექტემბერს შაქრო კალაშოვის საქმის გამოძიება დამთავრდა და საქმე საბრალდებო დასკვნით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ცოტა ხნის წინათ, სასამართლოს ნებართვის საფუძველზე, ყადაღა დაედო დაბა წყნეთში მდებარე კალაშოვის ფეშენებლურ აგარაკს, რომელიც 30 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილი შაქრო კალაშოვი 9 მაისს ინტერპოლმა დუბაიში გამართულ "კანონიერ ქურდთა" შეკრებაზე დააკავა. მასზე ესპანეთის პოლიციას საერთაშორისო ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. შაქრო კალაშოვი ეჭვმიტანილი იყო ესპანეთში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულის გათეთრებაზე მუშაობდა. ავტორიტეტული კრიმინალი, რომელსაც ესპანეთის შსს "კრიმინალური სამყაროს გენერლად" მოიხსენიებს, დუბაიდან ესპანეთში 11 ივლისს სამხედრო თვითმფრინავით გადაიყვანეს. ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფასებით, კალაშოვი რუსული და ქართული მაფიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ლიდერია. ესპანეთის ნაციონალური პოლიციის დირექტორის ვიქტორ გარსია იდალგოს განცხადებით, "ესპანეთში მოქმედ საერთაშორისო მაფიის წარმომადგენლებს კალაშოვის დაპატიმრების შემდეგ დაუსჯელობის განცდა გაუქრათ".

კალაშოვს ორმაგი მოქალაქეობა აღმოაჩნდა - რუსეთისა და საქართველოსი. მიუხედავად იმისა, რომ მასზე საქართველოში საქმე იყო აღძრული, ქართველ სამართალდამცველებს მისი ექსტრადიცია არ მოუთხოვიათ. "ქართული და რუსული მაფიის გენერალი მადრიდს დაუთმეს, რადგან მას ესპანეთი უფრო მძიმე ბრალდებით ეძებდა", - განაცხადა ესპანეთის შს მინისტრმა. ოფიციალურად კალაშოვის ექსტრადიცია არც რუსეთს მოუთხოვია. თუმცა, გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, მადრიდმა კალაშოვი რუსეთს გადასცა, სადაც "კანონიერი ქურდი" გაათავისუფლეს კიდეც.

შაქრო კალაშოვს თბილისში დაუსწრებლად გაასამართლებენ. ქართული მართლმსაჯულების მოსალოდნელი ვერდიქტით, "კანონიერ ქურდს" 15 წლამდე პატიმრობა ელის.

*24 საათი*

# საკრებულოს გამგებელი მიწის მითვისებისთვის დაისაჯა

*აჭარაში მიწების უკანონოდ გამსხვისებელთა დასჯის შემთხვევები მატულობს. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში ამ თემასთან დაკავშირებით ზედიზედ რამდენიმე საქმე აღიძრა და დამნაშავედ ცნობილი თანამდებობის პირებიც გამოვლინდნენ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ მიწის უკანონო გამსხვისებელთა ერთი ნაწილი ციხეში აღმოჩნდა, მეორე ნაწილმა კი პატიმრობას დიდძალი თანხის გადახდით დააღწია თავი. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის თემის საკრებულოს გამგებელი ნოდარ დიასამიძე ორმაგად დაზარალდა. მან 50 ათას ლართან ერთად ის მიწის ნაკვეთიც დაკარგა, რომელიც საკუთარი თავისთვის დაწერილ განცხადებაზე, მის მიერვე დადებული რეზოლუციით მიიღო.*

ცოტა ხნის წინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის თემის საკრებულოს გამგებლის ნოდარ დიასამიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით აღიძრა. გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ დიასამიძემ დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება, რომლის თანახმადაც, ქალაქად მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთები უნდა გადაცემულიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა სოფლად მუდმივად მცხოვრებლები მიწით დაკმაყოფილდებოდნენ. მაგრამ, გამოძიების მტკიცებით, "დიასამიძემ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, მიწის ნაკვეთები გამოუყო ქალაქში მუდმივად მცხოვრებ 37 მოქალაქეს. ახალშენელები კი მიწის ნაკვეთების გარეშე დატოვა." საქმის გამოძიებისას სამართალდამცველებმა დიასამიძის საქმეში ერთი კურიოზული დოკუმენტიც აღმოაჩინეს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის თემის საკრებულოს გამგებელმა ნოდარ დიასამიძემ 2004 წლის 25 თებერვალს, მიწის ნაკვეთის გამოყოფის მოთხოვნით, განცხადებით მიმართა საკუთარ თავს. ცოტა ხანში აღნიშნული განცხადება დიასამიძემ თვითონვე განიხილა და შემდგომი განხილვისთვის სარეფორმო კომისიის სხდომაზე წარადგინა. 2004 წლის 19 აპრილს საკრებულოს გამგებელმა გადაწყვეტილება გამოიტანა - საკუთარი თავი დააკმაყოფილა და, საბოლოოდ, მის საკუთრებაში აღმოჩნდა 0,15 ჰა ფართის მიწის ნაკვეთი. ნოდარ დიასამიძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეეფარდა გირაოს გადახდა - 50 ათასი ლარი.

*24 საათი*

# შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

თანასწორუფლებიანობის დარღვევაში ბრალდებულ გიორგი ოთიაშვილს და მის ადვოკატს ეკა ბესელიას გირაოს შეტანა ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ. როგორც ცნობილია, გიორგი ოთიაშვილს და მის მეზობელს სარქის შაროიანს თბილისის საქალქო სასამართლომ, გირაოს სახით, 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. ამ თანხის გენერალური პროკურატურის დეპოზიტზე გადასარიცხად ბრალდებულებს სასამართლომ ვადა 15 ოქტომბრამდე დაუწესა. პროკურატურის მტკიცებით, ოთიაშვილისა და შაროიანის ბრალეულობა იმაში გამოიხატა, რომ მათ "ნაციონალური მოძრაობის" აგიტატორებს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს.

**"ბრალდება უსაფუძვლოა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება მიკერძოებული. ჩვენ 15 ოქტომბრამდე გვაქვს დრო გირაოს შეტანის საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა, მანამდე გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ და გირაოს შეტანაზე მას შემდეგ ვიფიქრებთ. იმედი გვაქვს, რომ ამ დრომდე საქმეში ბევრი რამ შეიცვლება"**, - აცხადებს ადვოკატი ეკა ბესელია.

სხვათა შორის, ოთიაშვილისა და შაროიანის საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვნენ. "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა, რომლებსაც დახმარების თხოვნით თავად ბრალდებულმა მიმართა, ოთიაშვილი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეახვედრეს.

მომხდარის შესახებ დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის წარმომადგენლებს თავად ბრალდებულმა ოთიაშვილმა გააცნო. მან დეტალურად გაიხსენა "ნაციონალური მოძრაობის" აგიტატორ ქალბატონებთან მომხდარი ინციდენტი, რის გამოც, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და რისთვისაც დააკისრა მართლმსაჯულებამ გირაო. ოთიაშვილმა უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე, დეტალურად განუმარტა პოლიციაში მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტები და ხაზი გაუსვა იმ დარღვევებს, რომლებსაც სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან ჰქონდა ადგილი.

გიორგი ოთიაშვილის საქმეში არსებული იურიდიული დარღვევების თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებს "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმაც მიაწოდეს ინფორმაცია. თავად ბრალდებულმა კატეგორიულად უარყო სამართალდამცველების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის "რესპუბლიკური პარტიის" წევრია და განაცხადა, რომ მას წარსულში რესპუბლიკელებთან არანაირი შეხება არ ჰქონია და ამ პარტიის წარმომადგენლებს რამდენიმე დღის წინ დახმარებისთვის 09-ში მიღებული ნომრით დაუკავშირდა - ისევე, როგორც დაუკავშირდა სხვა პარტიის წარმომადგენლებს, მაგრამ მათგან დახმარება ვერ მიიღო.

დავით უსუფაშვილმა დიპლომატებთან იმ დარღვევებისა და უკანონობის შესახებაც ისაუბრა, რაც მათ მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გასაჩივრების დროს დააფიქსირეს. უსუფაშვილის განცხადებით, სარჩელი სასამართლოდან სასამართლოში, უწყებიდან უწყებაში ტრიალებს, თუმცა კონკრეტულ შედეგებამდე საქმე არ მიდის.

*24 საათი*



# თბილისს მეურნე ხელი სჭირდება

გოგი თოფაძე
პოლიტიკური მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარე

ბევრჯერ ითქვა, რომ საარჩევნო კანონი დრაკონულია და უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს ყველა პოლიტიკურ ძალას გარდა მმართველი პარტიისა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მჯერა, რომ არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელია და წარმატების იმედიც მაქვს.

ოპოზიციურ პარტიებს ხანგძლივი მოლაპარაკებები გვქონდა, კარგი იქნებოდა, მოგვენახა საერთო ენა და მთელი ოპოზიცია გავერთიანებულიყავით, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ვერ შევთანხმდით ერთიან კანდიდატზე, ზოგს ცალკე უნდოდა გამოსვლა, ზოგი ბოიკოტის გზას ირჩევდა. დღეს, როდესაც არჩევნებში ოპოზიციური პარტიები ცალცალკე გამოვდივართ, მთავარია საკრებულოში შევძლოთ ჩვენი წარმომადგენლების იმ რაოდენობით გაყვანა, რომ თბილისის საკრებულოც პარლამენტს არ დაემსგავსოს, სადაც თითქოს არის რამდენიმე ოპოზიციური ფრაქცია, მაგრამ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ერთი პარტია ღებულობს.

ჩვენი მთავარი მიზანია, რომ საკრებულოში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლობა იძლეოდეს თბილისისა და თბილისელებისათვის მიუღებელი გადაწყვეტილებების დაბლოკვის საშუალებას.

ქალაქის განვითარებაზე სისტემური, გააზრებული ზრუნვა უნდა დაიწყოს.

ბრძოლა აუცილებელია და დარწმუნებული ვარ, რამოდენიმე პოლიტიკურ პარტიას დიდი შანსი აქვს, ღირსეულად იყოს წარმოდგენილი ქალაქის თვითმმართველობაში.

ჩვენ, "მრეწველები", დამოუკიდებელი, ქართული ორიენტაციის პარტია ვართ, ეს ჩვენი მოღვაწეობით არაერთხელ დავამტკიცეთ, ჩვენმა ამომრჩეველმა კარგად იცის, რომ ჩვენ რჩევებისა და ფინანსური დახმარების მისაღებად არსად დავრბივართ, არც მოსკოვში, არც ვაშინგტონში და არც ლონდონში. დარწმუნებული ვარ, საქართველოს განვითარებისათვის რეალური ქართული პოლიტიკის გატარება მხოლოდ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას შეუძლია.

ჩვენ მზად ვიყავით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ბოიკოტი გამოგვეცხადებინა, თუკი მთელი ოპოზიციური სპექტრი შეთანხმდებოდა. თუმცა, "მრეწველებისათვის" ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგანაც საქართველოს ბევრ კუთხეში ძლიერი და აქტიური ორგანიზაცია გვაქვს, მათ ადგილებზე არჩევნების მოგების სერიოზული შანსები აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევნები პარტიისათვის მობილიზების, საკუთარი შესაძლებლობების და მხარდაჭერის რეალური სურათის დასანახად კარგი საშუალებაა.

მე კატეგორიულად არ ვეთანხმები მოსაზრებას, თითქოს საქართველოში სუსტი ოპოზიციაა. თუკი, ბოლოსდაბოლოს, მოვახერხებთ და მივიღებთ დემოკრატიულ, ლიბერალურ საარჩევნონო კანონს, რომელიც თანაბარ პირობებში ჩააყენებს ყველა საარჩევნო სუბიექტს, მაშინ ვნახავთ ოპოზიციური პარტიების რეალურ ძალას და მხარდაჭერას. როგორ შეიძლება ოპოზიციის სისუსტეზე საუბარი, როცა ხელისუფლებისათვის კარგად აპრობირებული გაყალბების ტექნოლოგიებისა და პროპაგანდისტული მანქანის სრულად ამოქმედების პირობებშიც კი ოპოზიციური პარტიები არჩევნებში სერიოზულ წარმატებას აღწევენ.

რაც შეეხება ჩვენს პროგრამას თვითმმართველობის არჩევნებზე: მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ,შემუშავდეს თბილისის განვითარების სტრატეგიული, კომპლექსური გეგმა, სადაც ასახული იქნება ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომა.

უმთავრესი მიზანი თბილისის თანამედროვე მეგაპოლისად გადაქცევა უნდა იყოს. "მრეწველებს" მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, უპირველესი პრობლემა წარმოების აღორძინება და სამუშაო ადგილების შექმნაა. თუ საკრებულოში ჩვენი წარმომადგენლობა თბილისის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მართვის რეალურ ბერკეტს მიიღებს, ამ შემთხვევაში თბილისის ბიუჯეტის 15 %-ს, დაახლოებით 100 მილიონ ლარს, წარმოების აღორძინებისათვის, კონკრეტული ბიზნეს პროექტების დაფინანსებისათვის გამოვყოფთ. ეს პროგრამა აამოქმედებს წარმოებებს, დაასაქმებს მოსახლეობას და გაზრდის ქალაქის შემოსავლებს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა რომელი წარმოებები უნდა ამოქმედდეს მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ხე-ტყის გადამუშავების, მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის დარგებში - ეს რეალური პროგრამაა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მომზადებული აქვს ჩვენს პოლიტიკურ გუნდს. ცხადია, ამ პროგრამის ეფექტიანობისათვის აუცილებელი იქნება, რადიკალურად შეიცვალოს როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო კანონმდებლობა.

კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: დღეს უცხოეთიდან შემოგვაქვს უამრავი რამ, რაზეც ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა, იქნება ეს ირანული ნავთქურები, საკასო აპარატები , ლიფტები, და მრავალი რამ, რისი წარმოებაც თავისუფლად შეუძლია მაგალითად, თბილისის მექანიკურ ქარხანას. ეს ერთი კონკრეტული მაგალითია, მაგრამ კარგად ჩანს, რამხელა პოტენციალს ვერ ვიყენებთ დასაქმების, ბიზნესის განვითარების და შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით.

როდესაც თბილისში დასაქმების პრობლემაზე ვსაუბრობთ, ყველამ კარგად უნდა გაიაზროს რომ ქალაქში უმუშევრობას ვერ მოევლება, თუ დასაქმების პრობლემა რაიონებში არ გადაწყდა. დღეს ისეთი ვითარებაა, დაუსაქმებელი კაცი იძულებულია ლუკმა პურის საშოვნელად დედაქალაქში ჩამოვიდეს, უმრავლესობა საქმეს ვერც თბილისში პოულობს და თბილისში ისედაც მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება.

თუ გვინდა თანამედროვე, ცივილიზებულ დედაქალაქში ვცხოვრობდეთ, ქალაქი უნდა განიტვირთოს, არ შეიძლება ნახევარმა საქართველომ ერთ ქალაქში მოიყაროს თავი. ქვეყნის ორგანული განვითარებისა და ქალაქის განტვირთვისათვის კარგი იქნებოდა თბილისიდან ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის, ადმინისტრაციული და კულტურული დაწესებულების სხვაგან გადატანა და გონივრული გადანაწილება.

"მრეწველების" პროგრამის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია სატრანსპორტო კვანძების განტვირთვა, თანამედროვე ესტაკადების გარეშე შეუძლებელი იქნება თბილისის ვიწრო ქუჩებში ტრანსპორტის ნაკადების მოწესრიგება. თბილისის რელიეფიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის მოწყობას, ძველი მიწისქვეშა გადასასვლელები უნდა მოწესრიგდეს და ახალიც აშენდეს, უნდა მოეწყოს მიწისქვეშა ავტოსადგომები და სხვა.

მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა უფრო ორგანიზებული უნდა გახდეს. კარგია, თბილისის ცენტრი სამარშრუტო ტაქსებისაგან რომ განიტვირთა, მაგრამ გადაიტვირთა სხვა უბნები, ამავე დროს, ბევრი უბნის მცხოვრებლებს, მაგალითად ვაკელებს, ვისაც მანქანა არა ყავს, ძალიან უჭირთ გადაადგილება -მუნიციპალური ტრანსპორტი უსისტემოდ დადის, ხელისუფლების ნაქები ყვითელი ავტობუსებიც არასაკმარისი სიხშირით მოძრაობს. ოპოზიციონერობა ხელს არ გვიშლის იმის აღიარებაში, რომ დედაქალაქში დღეს მკვდარი წერტილიდან რაღაც დაიძრა, თითქმის 30 წლიანი სტაგნაციის შემდეგ, როცა თბილისში ყველაფერი უსისტემოდ, სტიქიურად და უხარისხოდ კეთდებოდა, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა გზებზე, კომუნიკაციების მოწესრიგებაზე, განსაკუთრებით ქალაქის მიწისქვეშა ნაწილის პრობლემების მოგვარებაზე, მაგრამ ბევრ რამეში არ ვეთანხმებით: ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისში დაგროვილია უამრავი პრობლემა, რომელთა მოგვარების დღევანდელი ტემპი მიუღებელია. ხშირად, ხელისუფლება პოპულისტურად არჩევს პრიორიტეტებს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების ესა თუ ის აქტიურობა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდის სპეციფიკითაა განპირობებული.

თვითმმართველობის წინა არჩევნებზე, 2002 წელს საქართველოს მასშტაბით მრეწველთა პარტიამ პირველი შედეგი აჩვენა, ჩვენ ყველაზე მეტი წარმომადგენელი გვყავდა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში. იმედი მაქვს დღესაც, ისევე, როგორც მაშინ,საქართველოს მოსახლეობა კარგად ხვდება, რომ პრობლემების მოგვარების ჩვენეულ ხედვას ალტერნატივა არ გააჩნია, წარმოების, მეურნეობის განვითარების გარეშე შეუძლებელია სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა - დაწყებული სოციალური პრობლემებით და დამთავრებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით.

წლების მანძილზე არაპროფესიონალი, უნიათო და არაპატრიოტი ხელისუფლების პირობებში, როდესაც ყველაფერი უცხოელი მრჩევლების კარნახით კეთდებოდა და ყველაფერი ქართული ნადგურდებოდა, ხალხმა დაინახა , როგორი კრიზისი შეიქმნა ქვეყანაში, როგორ დასუსტდა ჩვენი ეკონომიკა, რა მასშტაბი მიიღო უმუშევრობამ. ჩვენ, მრეწველები, მაშინაც ვაცხადებდით და დღესაც იმავე პოზიციაზე ვართ, რომ ქვეყნის განვითარების, რეალური დამოუკიდებლობის და თავისუფლების საფუძველი რეალურად დამოუკიდებელი ძლიერი ეკონომიკა უნდა გახდეს. მრეწველთა" პროგრამა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია და ამიტომაც გვაქვს ამ არჩევნებზე მხარდაჭერის იმედი.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, თბილისის მერის პოსტზე ჩემი კანდიდატურა წარმომედგინა. მე ვიქნები "მრეწველების" კანდიდატი ვაკის რაიონიდან, რადგან ამ უბნელი ვარ, აქ დავიბადე და გავიზარდე და ამ უბნის ყველა სატკივარი ვიცი. ვფიქრობ, რომ ჩემი ხედვა, "მრეწველების" პროგრამა ვაკელებისათვის მისაღები იქნება. ვაკეში ბევრი ჩემი კოლეგა და თანამოაზრე ცხოვრობს და, ბუნებრივია, მათი მხარდაჭერის იმედი მაქვს.

ვაკის განვითარება მე ასე წარმომიდგენია - ვაკე უნდა იყოს თბილისის ინტელექტუალური და სამეცნიერო ცენტრი, ახალგაზრდული, სტუდენტური უბანი, თბილისის ერთერთი ულამაზესი და მოვლილი ადგილი, სადაც არ იქნება სტიქიურად აშენებული მახინჯი შენობები, მოწესრიგდება ტრანსპორტის მოძრაობა.

ქალაქის მერის უმთავრეს საზრუნავად კი ის მიმაჩნია, რომ ერთის მხრივ თბილისმაშეინარჩუნოს მისი ტრადიცია, კოლორიტი და უნიკალურობა, არა მხოლოდ არქიტექტურული თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ადამიანური ურთიერთობებით, მაგრამ ამავე დროს თბილისი თანამედროვე მეგაპოლისი უნდა გახდეს. თბილისში ბევრი რამ ხელახლა უნდა აშენდეს, მიწისძვრით დაზარალებული სახლების პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია ექსპლუატაციის ვადაგასული საცხოვრებელი სახლების პრობლემის მოგვარება - თბილისში ბევრი ძველი სახლი უნდა დაინგრეს, ეს კი გეგმაზომიერად სწორედ ქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა გააკეთოს. აუცილებელია მუნიციპალური ბინათმშენებლობის დაწყება, რათა საბინაო პირობების გაუმჯობესება რიგითმა თბილისელებმაც შეძლონ.

მე ვფიქრობ, თბილისს მეურნე ხელი სჭირდება- ჩვენი პარტიის გამოცდილი გუნდი მზად არის თბილისის მართვის პასუხისმგებლობა იკისროს. არჩევნების *მოგების შემთხვევაში საზოგადოება იგრძნობს, რა, როგორ და რა ტემპით შეიცვლება, რამდენი წარმოება ამუშავდება, რამდენი ადამიანი დასაქმდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი პროფესიონალური და მეურნე გუნდი ბევრად მეტს გააკეთებს, ვიდრე დღეს კეთდება.*




**უმთავრესი მიზანი თბილისის თანამედროვე მეგაპოლისად გადაქცევა უნდა იყოს. "მრეწველებს" მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, უპირველესი პრობლემა წარმოების აღორძინება და სამუშაო ადგილების შექმნაა. თუ საკრებულოში ჩვენი წარმომადგენლობა თბილისის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მართვის რეალურ ბერკეტს მიიღებს, ამ შემთხვევაში თბილისის ბიუჯეტის 15%-ს, დაახლოებით 100 მილიონ ლარს, წარმოების აღორძინებისათვის, კონკრეტული ბიზნეს პროექტების დაფინანსებისათვის გამოვყოფთ. ეს პროგრამა აამოქმედებს წარმოებებს, დაასაქმებს მოსახლეობას და გაზრდის ქალაქის შემოსავლებს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა რომელი წარმოებები უნდა ამოქმედდეს მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ხე-ტყის გადამუშავების, მსუბუქი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის დარგებში - ეს რეალური პროგრამაა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მომზადებული აქვს ჩვენს პოლიტიკურ გუნდს. ცხადია, ამ პროგრამის ეფექტიანობისათვის აუცილებელი იქნება, რადიკალურად შეიცვალოს როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო კანონმდებლობა.**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2006 წლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე:

| ლოტი N | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა | ტექნიკური პირობები |
|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი კლასის ავტომობილი | 5 | გამოშვებული 2006 წელს, სედანის ტიპის ძარით, ოთხკარიანი, ბენზინის ძრავით - მოცულობა 1600 კბ/სმ, არანაკლებ 100 ც.ძ. სიმძლავრის, 4-ცილინდრიანი 16-სარქველიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფით, წინა ამძრავი თვლებით, კონდიციონერით. |
| 2 | ავტობუსი | 1 | გამოშვებული 2006 წელს. დასაჯდომი ადგილების საშუალო რაოდენობა 18-20. კარი - ელექტრო. არანაკლებ 65 ც.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავით, 5-სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით. საწვავის ხარჯი 100 კმ.-ზე - 12-13 ლიტრი. |

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა.წ. 27 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა- რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება,

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა.წ. 18 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 15:00 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი- დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან- რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა სასამართლოდან- რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან- რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ი'ყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

8. პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 19 ოქტომბრის 15:00 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 19 ოქტომბრის 15:00 საათზე.**

10. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: **51-75-06.**

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მდებარე ქ. თბილისი, 0179, კოსტავას ქ. N41, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, პროგრამით - "ჩაი"- გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ჩაის პლანტაციების ღრმა შპალერული ანუ დამადაბლებელი და ნახევრადმძიმე გასხვლის მომსახურების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი მომსახურება გულისხმობს სამეგრელოს რეგიონში 420 ჰა-ზე, გურიის რეგიონში 420 ჰა-ზე, იმერეთის რეგიონი 240 ჰა-ზე და აჭარის ა/რ 320 ჰა-ზე ჩაის პლანტაციების ღრმა შპალერულ ანუ დამადაბლებელ და ნახევრადმძიმე გასხვლას თანადაფინანსების პრინციპით. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს მისი მხრიდან თანადაფინანსებას - შემსყიდველისაგან მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 20% ოდენობას - ფულადი სახით.

3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2007 წლის 30 მარტამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, (იურიდიული პირის შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა საჯარო რეესტრის შესაბამისი სამსახურიდან იჯარით ან საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ფართობის შესახებ, ამონაწერის სახით;

6. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა შესაბამის დოკუმენტსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 28 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის 12 საათამდე (შაბათკვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სოფლის მეურნოების სამინისტრო, ს/კ 203843010, ან.N200122900, სახაზინო კოდი 302003000.

9. ტენდერში სატენდერო წინადადებისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის ფორმით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414. ტელ: (995 32) 99-92-40

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია*

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

**ხმა მიეცით ქალებს!**

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ცემა და ბოდიში რაულ ხაჯიმბასაგან

ზაზა ფაჩუაშვილი

*აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ტყვედ ჩავარდნილი რუზგენ გოგოხია ჯერ სცემა, შემდეგ კი ბოდიში მოუხადა, და მისი ორივე საქციელი კოდორთან იყო დაკავშირებული. საქმის ვითარებას რუზგენ გოგოხიას ინტერვიუდან შევიტყობთ, რომელიც მაშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2-ე საარმიო კორპუსის 24-ე მოტომსროლელი ბრიგადის 244-ე ბატალიონის მეთაური იყო.*

**- თქვენ, როგორც საქართველოს მოქალაქე, აფხაზეთიდან დევნილი და მეომარი ადამიანი, როგორ შეაფასებდით კოდორის მოვლენებს?**

- აქ აფხაზებთან დაახლოების მომენტი არ დგას და თუ ჩვენს ხელისუფლებას ამის იმედი აქვს, შემცდარა. სანამ რუსი ჩვენსა და აფხაზებს შორის დგას, არანაირი დაახლოება არ მოხდება. არადა, საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი ბრწყინვალე გადაწყვეტილებაა - აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის აყვანა კოდორში. თავის დროზე ეს შევარდნაძეს რომ გაეკეთებინა, რაღაც დიდი ცვლილება აუცილებლად მოხდებოდა - ან დავბრუნდებოდით აფხაზეთში, ან იმ კოდორსაც დავკარგავდით. რაც შეეხება კვიციანის განცხადებებს, ეს არანორმალური ადამიანის გამონათქვამებს უფრო ჰგავს. ამ განცხადებებით იგი უპირისპირდება საქართველოს ხელისუფლებას, მოსახლეობას, ჩვენ ყველას, რაც, ცხადია, სრულიად მიუღებელია.

**- თუ იცით, აფხაზეთში რა რეაქცია აქვთ კოდორთან დაკავშირებით?**

- კოდორთან დაკავშირებით აფხაზეთში დიდი მითქმა-მოთქმაა. უხუცესთა საბჭომ, რომელიც, ფაქტობრივად, საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებად გვევლინება (თავის დროზე სწორედ მათი გადაწყვეტილებით გადააყენეს ქართველების მიმართ კეთილგანწყობილი ბორის ადლეიბა), პირობა წაუყენა ბაგაფშს, რომ ერთი თვის განმავლობაში კოდორის საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. აფხაზეთში უხუცესების სიტყვა უზენაესია და კრემლის ინტერესებს ემთხვევა. ამიტომ, ჩემი აზრით, თოვლის შემდეგ აფხაზების მხრიდან კოდორზე შეტევა სავსებით მოსალოდნელია.

**- როგორ შეიძლება კოდორის დაცვა?**

- მოგიყვებით, მაშინ როგორ დავიცავით. აფხაზეთის ომის დროს, როცა ქვემო და ზემო ლათა დაეცა და საფრთხე მთელ კოდორის ხეობას შეექმნა, დამიკავშირდა ქვეითი ჯარის სარდალი გუჯარ ყურაშვილი. მეც დიდი ხანი მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, არ მიშვებდნენ მასთან. მინდოდა მეკითხა, 27 სექტემბერს კინდღიდან რატომ მომაბრუნა (მერე რაც მოხდა, კარგად იცით), მაგრამ მან შეხვედრისთანავე მითხრა: რუზგენ, ძველს ნუ გავიხსენებთ, ახლა კოდორს უჭირს და უნდა გადავარჩინოთო. ემზარ კვიციანი ყოველდღე მირეკავსო, დახმარებას მთხოვსო, მომეშველე, თორემ კოდორი დაეცემაო. ნორმალურად შეიარაღებული 100 კაციც კი ვერ ვნახე, რომ იქ გავგზავნო და შენი იმედი მაქვსო. შენს ბიჭებს დაელაპარაკე და გამომყევითო. იმასაც არ დაგიმალავ, რომ უკანა გზა მოჭრილიაო და შეიძლება ჩაიხოცოთო. გამეცინა, სარდალი ხარ და რატომ მთხოვ, ვერ მიბრძანებ-მეთქი? ბრძანება მე თვითონაც არ მაქვსო და თუ წამოხვალ, კაცი იქნებიო. ჩავედი ჩემი ბატალიონის ბიჭებთან, მაშინ ზუგდიდში ვიდექით და ბოლომდე თქმაც არ მაცალეს, - მოვდივართო. ყურაშვილთან ბევრი პრეტენზია მაქვს აფხაზეთის ომთან დაკავშირებით, მაგრამ კოდორის შენარჩუნება ნამდვილად გულით უნდოდა. ზუგდიდში სამი ვერტმფრენით ჩამოფრინდა და ერთი ბატალიონის შესაიარაღებელი ყველაფერი მომცა. მარტო ტყვიამფრქვევი იყო 36 ცალი, 149 ავტომატი, ნაღმტყორცნები, ყუმბარმტყორცნები თავისი ტყვია-წამლით. ავტობუსებით წავედით ქუთაისში და იქიდან ვეტმფრენებით გადავფრინდით კოდორში. სამ დღეში 135 კაცი ავიყვანეთ. სხვათა შორის, ყურაშვილი დაგვპირდა, მაქსიმუმ ერთ თვეში ჩვენს მხარეს გზას გაგიჭრითო და ეს პირობა მართლაც ვაჟკაცურად შეასრულა.

პირველ რიგში, კვიციანს ვკითხე, როგორ არის დაცული მწვერვალები-თქო. კარგადო, მიპასუხა, მაგრამ მე მაინც ვთხოვე, რომ ეჩვენებინათ. თოკებით ამიყვანეს მწვერვალებზე და მართლაც ყველგან იდგა ხალხი, მაგრამ საკმარისად არ მომეჩვენა. 60 კაცი მყავდა წალენჯიხაში, ვიფიქრე, იმათაც ამოვიყვან-მეთქი და უკან გადმოვფრინდი. იმ დროს კი ტრაგედია დატრიალდა. მოხდა აფხაზებთან შეტაკება, ერთი მებრძოლი დამეღუპა, იმათაც დაკარგეს ოთხი კაცი. წავედი მოლაპარაკებაზე აფხაზებთან და ამიყვანეს ტყვედ. ერთი კვირის შემდეგ, ვზივარ სოხუმის უშიშროების იზოლატორში და მესმის ყვირილი, ბიჭები გაგვიწყვიტეს, ჩახოცეს ამდენი ხალხიო. მაშინვე მივხვდი, რომ კოდორზე იყო ლაპარაკი და ჩვენმა ბიჭებმა მოწინააღმდეგეს თავზედი აწყევლინეს. 3-4 წუთი არ იყო გასული, გააღეს ჩემი საკანი, გამათრიეს გინებით და ცემა-ტყეპით დასაკითხად. ორი გამომძიებელი მყავდა: ალვერ ჩერქეზია და დღევანდელი მაგათი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. ხაჯიმბამ ოთხჯერ გამარტყა და მიყვირა, რატომ არ თქვი, რომ შენი ბატალიონი კოდორის ხეობაში იყოო, ჩვენი ბიჭები დაწყვიტესო, და შემდგნენ წიხლებით. გადარეულივით მეცინებოდა და ამაზე სულ გიჟდებოდნენ, რა გაცინებსო. მერე ხაჯიმბამ უთხრა, წამოაყენეთო, და ვუპასუხე: ბატონო რაულ, კომუნისტების დროს უშიშროებაში ის იცოდით, ვის ოჯახში რა საჭმელი კეთდებოდა და ახლა ის ვერ გაიგეთ, რომ კოდორში ჩემი 600 კაცი დგას, 800 კაცი ადგილობრივ "მონადირეს" ჰყავს, 300 კაცი არჩილ იოსელიანისაა (მაშინ პარლამენტის წევრი იყო და 50-60 კაცით იცავდა კოდორს). თუ არ იცოდით, გეკითხათ და გეტყოდით, რა არის აქ დასამალი-მეთქი? ხაჯიმბამ დამიჯერა, დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ოთხჯერ მომიხადა ბოდიში: "Рузген, извини! Рузген, извини! Рузген, извини! Рузген, извини! " ასე დავიცავით კოდორი.



*რუზგენ ბობოხია.*

ორი თვის შემდეგ მოხდა როტაცია, ჩვენს ბატალიონს კოდორში ზურაბ სამუშიას მებრძოლები ჩაენაცვლნენ. სხვათა შორის, სამუშია აცხადებს, კოდორი მე დავიცავიო, მაგრამ ყველაფერი ისე იყო, როგორც მე მოგახსენეთ.

დღევანდელ თემას არ ეხება, მაგრამ სამუშიას ერთ გამონათქვამზეც მინდა, ჩემი აზრი გითხრათ. სამუშიამ თქვა, პრეზიდენტს ჯერ პამპერსები უნდა მოემარაგებინა აფხაზეთის მთავრობისთვის და მერე აეყვანა კოდორშიო. ეს არ არის მეომრისთვის საკადრისი განცხადება. აფხაზეთის მთავრობაში ბევრი გულადი, მეომარი ადამიანია და ყველას რატომ უნდა უწოდო მშიშარა.

**- კოდორში მაშინ მსხვერპლი იყო?**

- სამწუხაროდ, ორი მებრძოლი დაიღუპა, ოთხი დაიჭრა.

**- თქვენი აზრით, იერიშის შემთხვევაში მოვლენები როგორ განვითარდება?**

- რუსეთი თავს ისე ვერ გაიშიშვლებს, რომ რეგულარული ჯარით, ავიაციითა და მთელი თავისი სამხედრო ტექნიკით შემოგვიტიოს. 1993-1995 წლები აღარ არის, 21-ე საუკუნეა. სხვა შემთხვევაში კი, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენები ჯარს არ გამოიყვანენ, კოდორის დაცემა წარმოუდგენელია.

აქვე უნდა ვთქვა, რომ იერიშის შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების იმედი ნამდვილად მაქვს. ესენი ტოლს არ უდებენ პუტინს, ლავროვს, ივანოვს და სხვა მისთანა რუსებს. რა მეთოდითაც გებრძვის მტერი, ისევე უნდა შეებრძოლო შენც და, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩვენმა ხელისუფლებამ კრემლს რამდენჯერმე უკან დაახევინა. ასეთივე შემართების იმედი მაქვს მომავალშიც. მართლა ჭკუა ხომ არ გადაუტრიალდებათ და ჯარს ხომ არ გამოიყვანენ?

**- თოვლი ჩვენს მხარეს რომ გზას კეტავს, მაშინ სოხუმის მხარეს რა მდგომარეობაა ხოლმე?**

- აჟარის მიდამოებში მაინცდამაინც დიდი თოვლი არ მოდის ხოლმე, იმდენად დაბლობია. ამიტომ კოდორში, რაგინდ დიდი თოვლი მოვიდეს, სოხუმისკენ მიმავალი გზის გაწმენდა შესაბამისი ტექნიკით ყოველთვის შესაძლებელია.

**- ვთქვათ, კოდორში ინციდენტი არ მოხდა და აფხაზეთის მთავრობამ მშვიდად გააგრძელა მუშაობა, თქვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში აფხაზებთან როგორ აგვეწყობა ურთიერთობა?**

- აფხაზები არასოდეს წამოვლენ მოლაპარაკებებზე, თუ ჩვენ შორის მუდმივად იქნება რუსი. ამიტომ, სანამ რუსეთის "სამშვიდობოებს" ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტი არ ჩაენაცვლება, აფხაზებთან მშვიდობიან ურთიერთობას ვერ ავაწყობთ. ამის გარეშე კი აფხაზეთის მშვიდობიანად დაბრუნება შეუძლებელია.

არც ის აზრია სწორი, რომ ომის შემთხვევაში ჩვენ აფხაზეთში ისევე დავმარცხდებით, როგორც ადრე. ასე არ უნდა ვიფიქროთ. იცის თუ არა ამისმა მთქმელმა, რომ აფხაზეთის ომში რუსეთმა ქართველებთან ყველა ბრძოლა წააგო? ქართველებმა ყველა ის ბრძოლა მოიგეს, სადაც რუსები გვედგნენ წინ. რატომ დავკარგეთ აფხაზეთი? იმიტომ, რომ, როცა რუსეთი მიხვდა, რომ ვერაფერს გვიხერხებდა, საქართველოში არსებული და იმ დროისთვის უკვე განელებული სამოქალაქო დაპირისპირება გააღვივა, ქართველები ერთმანეთს გადაგვკიდა და ასე დაგვამარცხა. თუმცა მანამდე "პერემირიე" მოიგონა და ქართველი მხარე განაიარაღა. სხვათა შორის, ეს განიარაღებული და გაყოფილი ქართველები 12 დღე იცავდნენ სოხუმს კბილებამდე შეიარაღებული გაერთიანებული მტრისგან.

**- თუმცა, როგორც ამბობენ, სოხუმის გადარჩენა მაინც შეიძლებოდა.**

- როგორ არ შეიძლებოდა, ერთად რომ ვყოფილიყავით. კბილებამდე შეიარაღებული 6 ათასი ქართველი კაცი იყო სრულ მზადყოფნაში (მათ შორის, ჩემი ბატალიონის 236 კაციც). მაგრამ რა მოხდა: რუსებმა გამონახეს მოღალატე ქართველები, მიუგზავნეს ზვიად გამსახურდიას, ქართველ ერს შენი ჩამოსვლა სჭირდებაო, კანონიერ ხელისუფლებას აღვადგენთო, ქვეყანას გავამთლიანებთო და ა.შ. და 24 სექტემბერს ზვიადი სენაკში ჩამოფრინდა. ამას მოჰყვა ის, რომ გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების მთელი რიგი სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც იარაღით იცავდნენ თავიანთ სახლ-კარს და რომელთა დამარცხებაც შეუძლებელი იყო, მოიხსნენ და გამსახურდიასკენ გაქანდნენ თბილისის დასალაშქრად, ამ სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობა კი ათასი ჯურის მომხდურს შეატოვეს ხელში. სოხუმის იზოლატორში გამომძიებელმა მითხრა, ახალდაბის მოსახლეობა ისე გაქცეულა, აკვანში მწოლიარე რვა ბავშვი დაუტოვებიათ და იმ ბავშვებს დღეს აფხაზები ზრდიან.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სოხუმის გადარჩენა მაინც შეიძლებოდა, ის 6 ათასი კაცი რომ გაეშვათ ბრძოლაში. მაშინ იყო, გუჯარ ყურაშვილმა კინდღიდან რომ მომაბრუნა. თავიდან ვერ დამიყოლია, მაგრამ მერე სუსტ ადგილზე დამაჭირა ფეხი. მითხრა, ხმა გავრცელდაო, რომ რუზგენ გოგოხია სოხუმის დასაცავად კი არ მიდის, თავისი ოჯახის გამოსაყვანად მიდისო (მთელი ჩემი ოჯახი სოხუმში იყო ჩარჩენილი) და ვინმე რომ მოგიკვდეს, მის მშობლებს რას ეუბნებიო. ასე მაიძულა უკან დაბრუნება და მერე რაც მოხდა, ყველამ იცის. ზვიადისტებმა ჩვენს პოზიციებს დასცხეს, ავარდა პანიკა და ის 6 ათასი კაცი უკან დაბრუნდა.

მას შემდეგ დებატებში ვიწვევ გუჯარ ყურაშვილს. საქვეყნოდ მინდა ვკითხო, რატომ გამომიყვანა კინდღიდან, მაგრამ არ მეხმიანება. ჩემი აზრით კი, ეს შევარდნაძის დავალებით გააკეთა. ანუ ჩვენ, როგორც ადგილობრივები, ტერიტორიას მოგვაცილა. იმ 6 ათას კაცში ადგილობრივი არავინ იყო და დააჯერეს, აქედან სოხუმში ვერ შევალთო (ყარყარაშვილი ზღვიდან შევიდა და ესენი სოხუმიდან ერთი საათის სავალზე მდგომნი ვერ შევიდოდნენ?). ამ დროს ვილაცამ ზვიადისტების მხრიდან ისროლა და მორჩა, დამხმარე ძალა სოხუმის ნაცვლად სახლებისკენ გაიქცა. სოხუმი ხელოვნურად დაეცა, შევარდნაძემ კი ყველაფერი კანონიერ ხელისუფლებას დააბრალა, გაანადგურა და თავი გადაირჩინა, თანამდებობა შეინარჩუნა.

ასე რომ, ერთიანობა რომ ყოფილიყო, სოხუმს არ დავკარგავდით. და ახლაც, ერთად თუ ვიქნებით, აფხაზეთში აუცილებლად დავბრუნდებით.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## მ ი მ ა რ თ ვ ა

*საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს*

13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოახდინა საქართველოს საუკეთესო კუთხის - აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსია. განიარაღებულმა სოხუმმა ვერ გაუძლო აფხაზი სეპარატისტების, მათ მიერ დაქირავებული ბოევიკების და რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების მასირებულ შემოტევებს და დაეცა. დაიღუპა და დახვრეტილ იქნა ათასობით მეომარი და მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის, ბავშვები, ქალები, მოხუცები. აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის სამას ათასამდე ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები გამოდევნილ იქნა მშობლიური მიწიდან.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უსუსურმა პოლიტიკამ და რუსეთის მუდმივმა მხარდაჭერამ გაათამამა **სოხუმის რეჟიმი,** რადგანაც ის ხედავდა ეკონომიკურად დაუძლურებულ, რეგიონებად და ოლიგარქიულ კლანებად დაქუცმაცებულ საქართველოს. ამით იყო განპირობებული ის, რომ დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა, საქართველოს უკეთესი მომავლის იმედით, აქტიურად მონაწილეობდა "ვარდების რევოლუციაში".

ჩვენ სამართლიანად გაგვიჩნდა რწმენა, რომ ნიჭით, პროფესიონალიზმით, შეუპოვრობით, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ხელისუფლება მართლაც აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ურთულესი პრობლემის მოგვარების გზაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე.

**პოზიციების მნიშვნელოვნად გამაგრების ფონზე პოლიტიკურად გამართლებულად და ძლიერ ნაბიჯად მიგვაჩნია საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის რეალური აღდგენა კოდორის ხეობაში და იქ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გადაყვანა, რამაც გამოიწვია დაბნეულობა და გარკვეული დაპირისპირება სოხუმის ფაქტობრივ ხელისუფლებაში.**

დღეს აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას რეალურად პირველად გაუჩნდა შანსი გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ ურთულეს პოლიტიკურ მისიას ისინი შეასრულებენ.

**ამავე დროს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, აუცილებლად მიგვაჩნია იმ დიდი პოტენციალის გამოყენება, რომელიც არის მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც გაერთიანებული არიან აფხაზეთის არა ვირტუალურად არამედ რეალურად მცოდნე პიროვნებები.**

უეჭველია, რომ დევნილი მოსახლეობა სწორედ ის ხალხია, ვინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ ქართველთა და აფხაზთა მომავალში თანაცხოვრების ერთადერთი გარანტი უნდა გახდეს, ამიტომ მათი ფიზიკური გადარჩენა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი უნდა იყოს.

**სამწუხაროდ, ხელისუფლების პოლიტიკა და განსაკუთრებით იმ უწყებების საქმიანობა, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ დევნილთა სოციალურ პრობლემებზე მუშაობა იმსახურებს სერიოზულ კრიტიკას.**

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლების ყველა შტოს მაქსიმალურად გულთან ახლოს მიიტანონ დევნილი მოსახლეობის კანონიერი უფლებები იქონიონ ცხოვრების ელემენტარული პირობები და არ დაუშვან, რომ ისინი ადრე გადატანილი რუსეთის აგრესიული ძალის ფიზიკური დევნის შემდეგ მეორედ აღმოჩნდნენ უკვე სოციალური და ეკონომიკური დევნის პირობებში.

**დევნილ საზოგადოებაში მაღალია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის საღი აღქმა, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ დევნილებით მანიპულირება წარსულს შეუქცევადად ჩაბარდა.**

დევნილთა უმრავლესობას კარგად ახსოვს დღევანდელი ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც 2003 წლის ნოემბრის გადამწყვეტ დღეებში ზურგს უმაგრებდა და საპარლამენტო ქვორუმს უქმნიდა ყოფილ პრეზიდენტს და მის აჭარელ სატელიტს.

დევნილებისათვის განსაკუთრებით მიუღებელია ოპოზიციის ის ნაწილი, რომლებიც სარგებლობენ დევნილთა მართლაც გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და "გამოსავალს" ხედავენ რუსეთის "ყურმოჭრილ" მონობაში. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დაღუპულ მეომართა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხსოვნის მიმართ დიდი მკრეხელობაა გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ცალსახა ორიენტაცია რუსეთზე, რომლის გადამწყვეტი წილი დევს ჩვენ თავზე დატრიალებულ ტრაგედიაში და რომელმაც სამას ათასამდე ადამიანი აქცია დევნილად თავისივე სამშობლოში. დღეისათვის დევნილი საზოგადოების პოლიტიკური კულტურა საგრძნობლად გაიზარდა და ის უკვე აცნობიერებს, რომ ის უდიდესი პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია, მიმართული უნდა იყოს კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი და პოლიტიკური გზების ძიებისაკენ.

ჩვენ დევნილი მოსახლეობა, რომელმაც ყველაზე მეტად საქართველოში იგრძნო თავის თავზე ყველანაირი ომის უბედურება და 1993 წლის 27 სექტემბრის ტრაგედია, მზად ვართ შევასრულოდ საქართველოს ყველა ჯანსაღი ძალების ერთად დადგომის მშვიდობიანი მისია, რათა გადავწყვიტოთ საქართველოს განვითარებისათვის მთავარი ამოცანა, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

*საზოგადოებრივი მოძრაობა "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის"*

ცელულოიდის ენები
N.B. ეს პლასტიკური ოპერაცია არ გეგონოთ!
თუ თქვენ გაინტერესებთ ან გჭირდებათ უცხო ენები და გიყვართ კარგი ევროპული კინო
ისარგებლეთ ამ ახალი, ევროპაში უკვე აპრობირებული ენების შესწავლის მეთოდით
ცელულოიდის კინოფირებიდან მოლაპარაკე კინოგმირების დახმარებით ისწავლეთ
იტალიური, ესპანური, ფრანგული და რუსული ენები
ხალისიანად! ეფექტურად! საფუძვლიანად!
თქვენს ასაკს და ამ ენების ცოდნის დონეს მნიშვნელობა არა აქვს!
დაგვიკავშირდით!
ტელ. 893 199 321
მოინახულეთ ჩვენი ვებ-გვერდი
www.celluloidis-enebi.info
To foreigners' attention who want to learn Russian via far-framed Russian movies
Hurry up!
P.S. ეს გემოვნების და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების ოპერაციაა!
ცელულოიდის ენები

# ძმათამკვლელი ომი აფხაზეთში

ზურაბ პაპასქირი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე



## 1992 წლის 14 აგვისტოს პროვოკაცია და საომარი მოქმედებების დაწყება აფხაზეთში

1992 წლის 14 აგვისტო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიაში. სწორედ ამ დღეს დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში, რომელიც ძმათამკვლელ ომში გადაიზარდა და თითქმის 13 თვე გრძელდებოდა. იმ დღიდან მოყოლებული, ყველა გაოგნებულია. მაინც რა მოხდა? რატომ დაიღვარა სისხლი ორი უახლოესი, მჭიდრო ნათესაური კავშირებით გადახლართული ხალხის შვილებისა. რასაკვირველია, თითოეულ მხარეს თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია და არავის აქვს უფლება, თავის პოლიტიკურ ამბიციებს ანაცვალოს ის, თვალი დახუჭოს აშკარა რეალობაზე და აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია მთლიანად მეორე მხარეს გადააბრალოს.

და მაინც რა მოხდა 14 აგვისტოს საბედისწერო დილას. ოფიციალური ვერსიით, რომლის უარყოფა უბრალოდ შეუძლებელია, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით **საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები გადაადგილდა საქართველოს სახელმწიფოს** (რომლის სუვერენიტეტი - საქართველოს სსრ-ს 1991 წლის საზღვრებში - აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ) **შიგნით** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ე.ი. ცხადზე უცხადესია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის პირველი კოლონა მიუახლოვდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან განლაგებულ ე.წ. "აფხაზური გვარდიის" (თავისთავად უკანონო სამხედრო ფორმირების) ბლოკპოსტს, აფხაზმა "ბოევიკებმა" მოულოდნელად მათ ცეცხლი გაუხსნეს. მეორე შეტაკება უკვე გულრიფშის რაიონში, აგუძერასთან მოხდა.

"აფხაზური გვარდიის" მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც კონფლიქტის ინსპირირება მოჰყვა, საქართველოს ხელმძღვანელობისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის გადაადგილების საკითხი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული პირადად ვ. არძინბასთან. ის, რომ შეთანხმება (მართალია, სიტყვიერი) თბილისსა და სოხუმს შორის სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ ნამდვილად არსებობდა, ეს ამ რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად დაადასტურა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის მეორე პირმა ("პრემიერ-მინისტრმა"), იმჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, 14 აგვისტოს დილის 10 საათზე, ვ. არძინბამ, ტელეფონით, სათანადო ინსტრუქცია მისცა გალის რაიონის ადმინისტრაციის მაშინდელ ხელმძღვანელს რუდიკ ცატავას და დაავალა მას, დახვედროდა შინაგან ჯარს ენგურის ხიდთან და "რაც შეიძლება ჩქარა" გამოეცილებინა ის ოჩამჩირის რაიონის საზღვრამდე, სადაც მათ უნდა დახვედროდა ოჩამჩირის რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. გურგულია. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, უნდა გაეცილებინა თ. კიტოვანი გულრიფშის რაიონის საზღვრამდე. ამასთან, სეპარატისტული ხელისუფლების მეთაურმა აუკრძალა რ. ცატავას, დაეტოვებინა გალის რაიონში 50-კაციანი რაზმი შემოსული სამხედრო კონტინგენტიდან (აფხაზეთის ლაბირინთი. ავტორები: **ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, თ. ჭახრაკია.** თბ., 1999, გვ. 120).

ე.ი. გამოდის, რომ ვ. არძინბა ერთ მითითებას აძლევდა რ. ცატავას, ხოლო მისი "ბოევიკები" სულ სხვანაირად მოქმედებდნენ. სრულიად ნათელია, რომ ყოველივე ეს არ იყო შემთხვევითი. ვ. არძინბა უბრალოდ ვალდებული იყო, გაერკვია, თუ რა მოხდა ოხურეისთან. ამის ნაცვლად, მან აფხაზეთის მთელ მოსახლეობას მოუწოდა "სამამულო ომისაკენ ქართველი ოკუპანტებისა და აგრესორების წინააღმდეგ". როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს ჩვენს პუბლიკაციებში არაერთხელ ნახსენები რუსი პოლიტოლოგი ს. ჩერვონნაია, სწორედ ვ. არძინბას ამ მოწოდებამ ითამაშა საბედისწერო როლი კონფლიქტის გაღვივებაში და არა ქართული სამხედრო ნაწილების გადაადგილებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე (С. М. Червонная. Абхазия - 1992: посткоммунистическая Вандея, М., 1993, გვ. 133).

კიდევ ერთხელ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა სრული იურიდიული უფლება, თვითონვე განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის აუცილებლობა. ამდენად, აფხაზი სეპარატისტების, მათი მფარველებისა და წამქეზებლების დემაგოგიური მტკიცებები საქართველოს მიერ აფხაზეთის მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შესახებ სრული პოლიტიკური და იურიდიული უვიცობის გამოვლინებაა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ, თავის დროზე, სეპარატისტების ამ პროპაგანდისტულ ისტერიკას აჰყვა დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ფაქტობრივად სოლიდარობა გამოუცხადეს "ქართველი ოკუპანტების" წინააღმდეგ მებრძოლ "გმირ აფხაზ ხალხს" და კატეგორიულად მოითხოვეს "ხუნტის" ჯარების დაუყოვნებლივი გამოყვანა აფხაზეთის ტერიტორიიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანისას საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებდა, რათა სეპარატისტებს არ მისცემოდა საბაბი პროვოკაციისათვის. რა გვაქვს მხედველობაში. ჩვენის აზრით, სახელმწიფოს მეთაური არ უნდა დასჯერებოდა სატელეფონო საუბრებს ვ. არძინბასთან. ე. შევარდნაძე თვითონ უნდა ჩასულიყო სოხუმში, პირადად შეხვედროდა სეპარატისტების ლიდერს და, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირისაგან, ოფიციალურად მიეღო თანხმობა (წერილობით დამოწმებული) საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის შეყვანაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამით, ალბათ, თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. ე. შევარდნაძეს ამჯერად აშკარად უმტყუნა პოლიტიკურმა ალღომ და მან, როგორც ჩანს, ვერ გაბედა, გადაედგა იმ დროისათვის რამდენადმე სარისკო ნაბიჯი. შედეგად, ვ. არძინბას მიეცა შანსი თავისი ვერაგული ზრახვების რეალიზაციისათვის. აი, ასე დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, რომელსაც ხშირად "უაზრო ომს" უწოდებენ.

ის ანალიტიკოსები, რომლებიც ასე მოიხსენიებენ 1992-1993 წლების კონფლიქტს აფხაზეთში, გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ ეს კოფლიქტი ნამდვილად ძმათამკვლელი ომი იყო. მართლაც, განა უაზრობა არ იყო, როდესაც აფხაზი პაპასქირი, რომელსაც დავიწყებული ჰქონდა თუ "ვისი გორისა" იყო, იარაღით ხელში ებრძოდა ქართველ პაპასქირს და ყოველნაირად ცდილობდა, გამოეძევებინა ის აფხაზეთიდან. ცნობილია ასეთი ფაქტი: გააფთრებული საომარი მოქმედების პერიოდში, სოხუმში გამომავალმა ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ორივე მხრიდან დაღუპულ მეომართა ერთი და იგივე გვარები (სიჭინავები, ჭითანავები, ქირიები, ძაძამიები, ჟვანიები, ახვლედიანები და ა.შ.). დადასტურებულია, რომ ე.წ. აფხაზ "საველე მეთაურთა" შორის, თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა ვინმე არტურ ჭითანავა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართველთა მასობრივ დახვრეტას სოხუმის რაიონის სოფ. ეშერაში (ამის შესახებ იხ.: Л. Чхенкели. Двух истин не бывает. Показания резидента ГРУ в Автономной Республике Абхазия. Тб., 1996, გვ. 46). ასევე გააფხაზებულ ქართველს, ე.წ. "სოხუმის ბატალიონის" მეთაურს ოლეგ პაპასქირს ედება ბრალად ჟიული შარტავასა და მისი თანამებრძოლების დახვრეტა (**ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის კონფლიქტის რაობა და მისი მონაწილენი. ანუ ვინ ებრძოდა საქართველოს - კრებ.: "საისტორიო ძიებანი", ტ. II. თბ., 1999, გვ. 371).

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის კონფლიქტის "უაზრო ომად" მიჩნევა უსამართლობაა იმ ათასობით ომში გმირულად დაცემული მეომრის წინაშე, რომლებიც თავს დებდნენ სამშობლოსათვის. რაც არ უნდა უცნაურადაც მოგვეჩვენოს, ეს ვრცელდება იმ აფხაზი ჭაბუკების მიმართაც, რომელთაც ღრმად სწამდათ, რომ იბრძოდნენ მშობლიური აფხაზეთის თავისუფლებისათვის. მათი ხვედრი გაცილებით უფრო ტრაგიკულია, რადგან ისინი ნამდვილად გახდნენ მსხვერპლნი სრულიად გაუმართლებელი და უპერსპექტივო ავანტიურისა (მიუხედავად მოჩვენებითი გამარჯვებისა), რომელიც წამოიწყეს აფხაზური სეპარატიზმის მესვეურებმა. სეპარატისტთა ლიდერებმა ეს ახალგაზრდები, არც მეტი არც ნაკლები, საკუთარი ისტორიის წინააღმდეგ აომეს, თანაც, დიდი მეფის ლეონ II-ის დროშის ქვეშ. იმ ლეონ II-ისა, რომელმაც VIIIს.-ის მიწურულს საფუძველი ჩაუყარა ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს. ანუ ახალი დასავლურ-ქართული (ხაზს ვუსვამთ - **ქართული**, და არა აფხაზურ-აფსუური, როგორც ამას ისტერიულად გაჰკივიან სეპარატისტულად განწყობილი ვაი-ისტორიკოსები და პოლიტიკოსები) სახელმწიფოს დამაარსებლის ლეონ II-ის სახელი გამოყენებულ იქნა (და ამჟამადაც გამოიყენება) ერთგვარ ოდეოლოგიურ საყრდენად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეს არის ნამდვილი მკრეხელობა, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის უხეში გაყალბება და აბუჩად აგდება, ვინაიდან სწორედ ქართველები (და არა სეპარატისტები) იცავდნენ ლეონ II-ის დროშასა და იდეალებს, ამ დიდი მეფის რუდუნებით შექმნილ ქართველთა და აფხაზთა ერთიან სახელმწიფოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას. იცავდნენ მას არა იმდენად თავიანთი გზასაცდენილი აფხაზი თანამოძმეებისაგან, რამდენადაც მეზობელი სახელმწიფოს ფარული თუ ღია აგრესიისაგან. აი, რატომ იყო ეს ომი ჭეშმარიტად სამამულო ომი საქართველოსათვის. აი, რატომ ვართ ჩვენ ვალდებულნი, ღირსეული პატივი მივაგოთ ჩვენს გმირებს, თანამებრძოლებს, რომლებმაც უყოყმანოდ, ალალად შესწირეს სიცოცხლე სამშობლოს ერთიანობას.

მაგრამ მივუბრუნდეთ 14 აგვისტოს ტრაგიკულ დილას. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ სეპარატისტები კარგა ხნის მომზადებულნი იყვნენ სისხლიანი შეტაკებისათვის, და არა მხოლოდ ინფორმაციულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით. უკვე დღის 12 საათისთვის, მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ნაწილები ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული სოხუმში, აფხაზური რადიო და ტელევიზია საზოგადოებას აუწყებდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ("ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაციისა და აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკისათვის იარაღის გადაცემის შესახებ") ტექსტს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, "აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ შეიარაღებული ფორმირებების შემოყვანისა და აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის, მოსახლეობისათვის წარმოქმნილ რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით", უნდა მომხდარიყო "18-40 წლის ასაკის ზრდასრული მოსახლეობის მობილიზაცია და" გამწესება "შინაგანი ჯარის პოლკში". ამასთან, შინაგანი ჯარის პოლკის მეთაურს დაევალა, პოლკის ბაზაზე 5 ათასეულის ჩამოყალიბება, "თითოეულში 500 კაცის ოდენობით" (რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ /1989-2001/. პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **თ. დიასამიძე.** თბ., 2002, გვ. 79-80). ამავე დროს, ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის მოსახლეობას მიმართა თავდაცვის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელად სახელდახელოდ დანიშნულმა, "აიდგილარას" ერთ-ერთმა ლიდერმა სერგეი შამბამ, რომელმაც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის (18-45 წლის ასაკის მამაკაცების) მობილიზაცია გამოაცხადა (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 135).

ამასობაში, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილები მიადგნენ ქალაქის ცენტრს და შეჩერდნენ წითელ ხიდთან. გაჩნდა პირველი მსხვერპლი სოხუმში. ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, ქართულ ფორმირებებს ებრძანათ, არ შესულიყვნენ ქალაქის ცენტრში. ამით ისარგებლეს "აფხაზმა მოლაშქრეებმა" და სასწრაფოდ დაამყარეს თავიანთი კონტროლი ქალაქის დანარჩენ ნაწილზე. აფხაზთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორია უმალ მოიცვა მაროდიორობამ და ყაჩაღობამ. პირველსავე ღამეს საქალაქო ავტოსადგომებიდან გააქრეს ავტომანქანები, გაიძარცვა მაღაზიები, რეალური საფრთხე დაემუქრა ქართული მოსახლეობის სიცოცხლეს.

15 აგვისტოს ზღვიდან გაგრის ნაპირზე გადმოსხეს მცირერიცხოვანი ქართული დესანტი. იმავე დღეს, თბილისიდან სოხუმში ჩამოვიდა სამთავრობო დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუასა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის მეთაურობით. მაგრამ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან უშედეგოდ დამთავრდა. ვ. არძინბამ დემონსტრაციულად უარი თქვა შეხვედრაში მონაწილეობაზე. მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ აფხაზმა "მოლაშქრეებმა" დატოვეს ქ. სოხუმი და 17 აგვისტოს ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა უბრძოლველად დაიკავეს ქალაქის ცენტრი, ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები და გავიდნენ მდ. გუმისთაზე. სოხუმში გამოცხადდა საგანგებო წესები, ქალაქის კომენდანტად დაინიშნა გენერალ-მაიორი გია გულუა. პარალელურად, აფხაზებმა გაგრაც დატოვეს და ქალაქი ქართული ფორმირებების კონტროლქვეშ გადავიდა. ქალაქის კომენდანტად დაინიშნა მაშველთა კორპუსის - "მხედრიონის" ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბადრი ფირცხელიანი. ამავე დროს, სახელმწიფო საბჭომ გაგრაში თავისი რწმუნებულიც დანიშნა. ეს თანამდებობა ქართული ეროვნულ პატრიოტული ძალების ერთ-ერთმა ლიდერმა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრმა ჯონი ლატარიამ დაიკავა.

გაგრასა და სოხუმში ქართული შეიარაღებული ნაწილების შესვლის შემდეგ ვ. არძინბამ ფართომასშტაბიანი ანტიქართული ინფორმაციულ-იდეოლოგიური კამპანია გააჩაღა. ჯერ კიდევ 17 აგვისტოს მან გაავრცელა მიმართვა: "Парламентам, Президентам, Народам мира", რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ "на территорию Республики Абхазия с целью её окупации", და რომ ამ აგრესიული თავდასხმის შედეგად დაიღუპა ათეულობით უდანაშაულო ადამიანი: დამსვენებლები, ქალები, ბავშვები და ა.შ. ამასთან, ვ. არძინბა, აშკარად ცდილობდა რა მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას, აღნიშნავდა, რომ "абхазы, русскоязычное население и представители многих десятков национальностей (армяне, греки, эстонцы, турки) практически без оружия насмерть стоят, защищая своё жилище, деревни, города" (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 142. ხაზგასმა ჩვენია - **ზ.პ.**). სინამდვილეში კი აფხაზური წინააღმდეგობის მებრძოლები, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს რუსი პოლიტოლოგი ს. ჩერვონნაია, შეიარაღებულნი იყვნენ "современным автоматическим оружием ... из арсеналов дислоцированных в Абхазии вооружённых сил РФ, где частично разигривались плохо поставленные комедии захвата-разграбления невооружёнными абхазами (!) войнских арсеналов..." (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 142).

ამავე დროს ვ. არძინბამ დახმარებისათვის მიმართა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს. ს. ჩერვონნაიას მონაცემებით 15 აგვისტოს ის ჩაფრინდა გროზნოში, სადაც ჰქონდა შეხვედრა ჩეჩნეთის ლიდერ ჯოხარ დუდაევთან და საქართველოს დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 144). სეპარატისტების თავკაცი დახმარების თხოვნით მიმართავდა, აგრეთვე, კაზაკთა ატამანებს, რუს ნაციონალ-პატრიოტებსა და შოვინისტებს, ე.წ. "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას".

17 აგვისტოს აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" პარლამენტმა გროზნოში მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც, აღნიშნა რა "вероломный характер агрессии Грузии и попрание ею законных прав и интересов суверенной Республики Абхазия и её народов... принимая во внимание Договор о Конфедеративном союзе горских народов Кавказа, а также обращение о помощи руководства Абхазии и Абхазского Народного Форума", დაადგინა: "в случае продолжения оккупации Абхазии, объявить о начале военных действий КГНК в отношении Грузии" (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 146. ხაზგასმა ჩვენია - **ზ.პ.**). კიდევ უფრო გამომწვევი იყო ე.წ. "Указ Президента Конфедерации горских народов Кавкавза Мусы Шанибова и Председателя парламента КГНК Юсупа Сосламбекова", მიღებული 1992 წლის 22 აგვისტოს. მასში ვკითხულობთ: "В связи с тем, что исчерпаны все меры для мирного решения вопроса о выводе оккупационных сил Грузии с территории суверенной Абхазии и во исполнение постановления сессии Парламента КГНК указываем:

1. Всем штабам Конфедерации обеспечить переброску добровольцев на территорию Абхазии для вооружённого отпора агрессорам.

2. Всем вооружённым формированиям Конфедерации при противодействии им каких-либо сил вступать в бой и пробиваться на территорию Абхазии любыми методами.

3. Объявить город Тбилиси зоной бедствия, при этом использовать все методи, включая теракты.

4. Объявить всех лиц грузинской национальности на территории Конфедерации заложниками".

5. Задержать все грузы, предназначенные Грузии, и все виды их переброски (С. М. Червонная. Абхазия - 1992.., გვ. 147. ხაზგასმა ჩვენია - **ზ.პ.**).

ვფიქრობთ, არაა აუცილებელი, კომენტარი გაუკეთდეს ამ უაღრესად თავხედურ, პროვოკაციულ მუქარას, რომელიც, მოდიოდა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან. ასეთ ვითარებაში, კრემლი არა თუ ხმას არ იღებდა ე.წ. "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" წინააღმდეგ, არამედ ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ "კონფედერაცია" საერთოდ მოქმედებდა რუსეთის ოფიციალური სტრუქტურების უშუალო წაქეზებით. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ე.წ. "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" ლიდერების: მუსა შანიბოვის, იუსუფ სოსლამბეკოვისა და სხვათა ანტირუსული რიტორიკა მხოლოდ "შირმა" იყო, სინამდვილეში კი "კონფედერაციის" ერთადერთ მიზანს იმთავითვე არა რუსეთის იმპერიული კლანჭებიდან კავკასიის ხალხების განთავისუფლება და ჩრდილოეთ კავკასიაში ერთიანი ისლამისტური სახელმწიფოს (რომელშიც მათ შეჰყავდათ აფხაზეთი) შექმნა, არამედ ძლიერი ანტიქართული ფრონტის შეკოწიწება წარმოადგენდა.

არსებობს უტყუარი მტკიცებები იმისა, რომ აფხაზეთში "კონფედერაციის" შეიარაღებული ფორმირებები ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდნენ. თავის მხრივ, აფხაზი "ბოევიკები" გადიოდნენ სამხედრო მომზადებას გროზნოში. ამის შესახებ აფხაზური ტელევიზიით "საზეიმოდ" და ერთგვარი სიამაყით ამცნო თავის თანამემამულეებს აფხაზური სეპარატიზმის მაშინდელმა ერთ-ერთმა იდეოლოგმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ოლეგ დომენიამ. 14 აგვისტოს შემდეგ ე.წ. "კონფედერატების" რიცხვი დღითიდღე მატულობდა (სხვათა შორის, 1993 წლის აგვისტოში სოხუმის რაიონის სოფ ლინდავაში, ფრონტის წინა ხაზზე, ამ სტრიქონების ავტორს მიეცა შესაძლებლობა, შეხვედროდა ერთ-ერთ ჩეჩენ "ბოევიკს", ვინმე ყურეიშ აულდინოვს, რომელმაც საუბარში დაადასტურა, რომ აფხაზეთში ომობდა 1992 წლის 21 აგვისტოდან).

ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში აგზავნიდნენ არა "თანამოძმეთა სისხლის ყივილს" აყოლილ რიგით "მოხალისეებს", არამედ საბჭოთა არმიის სკოლაგამოვლილ კადრის ოფიცრებს. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც პოლკოვნიკ სულთან სოსნალიევის (ეროვნებით ყაბარდოელის) ფიგურა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრუქტურების უშუალო "რეკომენდაციით" დაინიშნა "აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის" მოვალეობის შემსრულებლად (აღსანიშნავია, რომ "აფხაზეთის არმიის" ამ "სახელოვანმა" გენერალმა, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ - ამჯერად უკვე სერგეი ბაგაფშის "კაბინეტში" - კვლავ დაიკავა "აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის" პოსტი). "კონფედერატებს" შორის მრავალრიცხოვნებითა და, რაც მთავარია, სამხედრო პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ჩეჩენი "მოხალისეები". პირველ რიგში, ეს იყო ცნობილი შამილ ბასაევი თავისი ე.წ. "პირველი ჩეჩნური ბატალიონით". საინტერესოა, რომ მოგვიანებით, ჩეჩნეთის ომის დროს ეს შენაერთი უკვე "აფხაზურ ბატალიონად" იწოდებოდა.

17-20 აგვისტოს შუალედში სეპარატისტებმა, რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, შეძლეს ძლიერი თავდაცვითი ზღუდის შექმნა მდ. გუმისთის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ. პარალელურად, ტყვარჩელის მიდამოებში წარმოიქმნა ე.წ. "აღმოსავლეთის ფრონტიც". კიდევ ერთი ფრონტის ხაზი გადიოდა გაგრის მახლობლად, სოფ. კოლხიდასთან. შეიარაღებული დაპირისპირების დასაწყის სტადიაში ქართულ სარდლობას შეეძლო გადამწყვეტი დარტყმების მიყენება როგორც გუმისთის მიმართულებით, ისე ტყვარჩელის რაიონში, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეგნებულად მოერიდა სისხლისღვრას და თავი შეიკავა შეტევითი ოპერაციებისაგან. ქართული მხარის ასეთი მომლოდინე ტაქტიკა განპირობებული იყო იმითაც, რომ მოსკოვი იმჟამად თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისაგან საომარი მოქმედებების შეწყვეტას და ქართული ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას აფხაზეთის ტერიტორიიდან.

ამასობაში, რუსულ-ქართული დაპირისპირების მთავარ ობიექტად იქცა ე.წ. "ეშერის ლაბორატორია", რომელიც სეპარატისტებმა თავიანთ ძირითად ბასტიონად გადააქციეს. სწორედ იქიდან დაიწყეს მათ სოხუმის მასირებული დაბომბვა საარტილერიო დანადგარებიდან. ნებისმიერი საპასუხო გასროლა კი ქართული ფორმირებების მხრიდან "ეშერის ლაბორატორიის" მიმართულებით რუსული მხარის მკაცრ პროტესტს იწვევდა. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების არაერთგზისი მოთხოვნისა, მოსკოვს დაუყოვნებლივ დაეწყო ეშერიდან ე.წ. "ლაბორატორიის" ევაკუაცია, რათა აეცდინათ რუსულ სამხედრო შენაერთებთან შეჯახება, კრემლი ჯიუტად უარზე იდგა. სრულიად ნათელი იყო, რომ "ლაბორატორიის ფაქტორი" თანდათანობით იქცეოდა მთავარ "კოზირად" რუსი სამხედროების ხელში, რომელიც აძლევდა მათ საშუალებას, თითქმის ღიად აღმოეჩინათ დახმარება სეპარატისტებისათვის. "საქმეში" ჩაერთო რუსული ბომბდამშენები, სეპარატისტებმა კი მთელ მსოფლიოს მოსდეს მორიგი მითი: თურმე არა რუსული, არამედ "აფხაზური ავიაცია" (არავინ იცისმ საიდან გაჩენილი) ბომბავდა ქართულ პოზიციებს.

და მაინც, კონფლიქტის პირველ დღეებში ადგილი არ ჰქონია სისხლისმღვრელ შეტაკებებს და ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ რამდენიმე დღეში შეიარაღებული დაპირისპირების ჩაცხრობა შესაძლებელი გახდებოდა. რამდენადმე სიმშვიდე იყო ქ. სოხუმსა და ქართული ფორმირებების მიერ კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და რაიონებში: გაგრაში, ოჩამჩირეში, გულრიფშში და ა.შ. 31 აგვისტოს სოხუმში შეიქმნა ვითარების სტაბილიზაციის "დროებითი საკოორდინაციო საბჭო" გენერალ-მაიორ გივი ლომინაძის მეთაურობით. ეს ორგანო, ფაქტობრივად, აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. დროებითი საკოორდინაციო საბჭოს, კომენდატურებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დიდი მცდელობების მიუხედავად, ვერ მოხერხდა მაროდიორობის აღკვეთა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ქალაქებისა და სოფლების, განსაკუთრებით, სოხუმის ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ძალზე ღირსეულად იქცეოდა. ქართველები აფხაზ მეზობლებთან ერთად აწყობდნენ სადღეღამისო მორიგეობებს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და ამით იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში თუ სხვაგან ადგილი არ ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს. პირიქით, სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღე ხდებოდა არაერთი ამგვარი დანაშაული და მასში, დამნაშავე ელემენტებთან ერთად, შეიარაღებული ფორმირებების მებრძოლებიც იყვნენ გარეულნი. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზურ მოსახლეობაზე ანგარიშსწორების ფაქტებს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია.

უფრო მეტიც, არა მარტო კონფლიქტის დასაწყის ეტაპზე, არამედ მთელი შეიარაღებული დაპირისპირების განმავლობაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია (ქ. სოხუმში დანამდვილებით) აფხაზი ეროვნების მოქალაქის მკვლელობის ფაქტის დაფიქსირება. ასე რომ, მტკიცება იმის შესახებ, თითქოს არამარტო აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან, არამედ ქართველთა მხრიდანაც ჰქონდა ადგილი გენოციდის ფაქტებს, სრულიად დაუსაბუთებელი და მკრეხელურია. სოხუმში და ქართული მხარის კონტროლირებად სხვა ქალაქებსა და რაიონებში თავისუფლად დადიოდნენ ქუჩაში აფხაზი მოქალაქეები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებათა და საწარმოთა უმრავლესობა არ ფუნქციონირებდა, ამ დაწესებულებათა აფხაზი ეროვნების თანამშრომლები (მათ შორის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმში დარჩენილი პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები) დროულად იღებდნენ ხელფასს ქართულ კუპონებში. სოხუმში იმყოფებოდნენ არა მარტო აფხაზური მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, არამედ სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგებიც. მათ შორის, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავკაცი, "აფხაზეთის სახალხო ფორუმის - აიდგილარას" ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი თავმჯდომარე ალექსი გოგუა, რომელმაც მხოლოდ გაგრის ტრაგედიის შემდეგ გადაწყვიტა ქალაქის დატოვება და გუდაუთაში გადასვლა. მთელი ომის განმავლობაში სოხუმში ცხოვრობდა აფხაზური სეპარატიზმის "სულიერი მამა", პროფ. შალვა ინალ-იფაც.

*გაგრძელება იქნება*

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# ჯაზური მაგია

### ჩიკ კორეასა და გარი ბარტონის ჯაზის გაკვეთილი

ია ვეკუა

მორიგი ჯაზ-გაკვეთილი ქართველ მსმენელს ჩიკ კორეასა და გარი ბარტონის უკვე ლეგენდად-ქცეულმა დუეტმა ჩაუტარა, რომელმაც 35 წლის წინ ჩაწერილი ალბომის Crystal Silence-ის ერთ-ერთი საიუბილეო წვეულების გამართვა თბილისში გადაწყვიტა. კომპანია "ისტერნ პრომოუშენმა" არც ამჯერად დაავგდო საკუთარი საზომი და ჯაზი მთელი თავის ბრწყინვალებითა და ვარსკვლავური სახელების თანხლებით შემოგვთავაზა.

კონცერტი უცხოელი სტუმრებისთვის დამახასიათებელი ტექსტებით დაიწყო: ქართულ სამზარეულოსა და თბილისურ ამინდზე საუბრით და ყველაზე უჩვეულო ხაზით გაგრძელდა - ქართველმა მსმენელმა პირველად მოისმინა როიალისა და ვიბროფონის დუეტი. ეს იყო ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური წარმოდგენა, რომელიც ყოველი კომპოზიციის დაწყების წინ სცდებოდა ჩვეულებრივი კონცერტის ფარგლებს და ნელ-ნელა მაგიური შოუს სახეს იღებდა.

ჩიკ კორეა ჩემგან სულ რაღაც ორი მეტრის დაშორებით იჯდა, ამიტომ ადვილი იყო იმ ჯადოქრობის დანახვა, რასაც როიალთან კავშირით ახერხებდა. არ მეჩვენებოდა: როიალის კლავიატურა მანამდე გამოსცემდა ბგერებს, ვიდრე მუსიკოსის თითები შეეხებოდა. თითქოს კლავიშებმაც იცოდნენ, რომ მისი მოახლოვებისთანავე უნდა აჟღერებულიყვნენ. გარი ბარტონს კი თავის ვიბროფონთან კონტაქტისთვის თავისი სავიზიტო ბარათი - ოთხი ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა.

ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მუსიკოსებს კონცერტის განმავლობაში არაერთხელ მიეღწიათ იმ პიკისთვის, როდესაც ჯაზი დარბაზში Crystal-დებოდა და ბოლომდე ასხივებდა თავის ბრწყინვალებას, რასაც ცხადია, სულაც არ მოჰყვებოდა ხოლმე მსმენელის Silence-ს და აპლოდისმენტები მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ორჯერ ბისზე გამოსულმა ჩიკ კორეამ და გარი ბარტონმა უკანასკნელი აკორდებიც არ გვისახსოვრეს.

ალბომი Crystal Silence კორეა-ბარტონის დუეტმა 1972 წელს ოსლოს ერთ-ერთ ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩაწერა. უკვე 35 წელია, რაც ეს ალბომი ჯაზის ჟანრში უმნიშვნელოვანეს ჩანაწერად მიიჩნევა. მუსიკოსებმა ამ თარიღთან დაკავშირებული ტურნე 14 სექტემბერს ჰავაიდან დაიწყეს, სადაც ხუთი კონცერტი გამართეს, შემდეგ კი პორტუგალიაში გადაინაცვლეს. მათი ტურნე გაზაფხულამდე გაგრძელდება და თითქმის ნახევარ მსოფლიოს მოიცავს.

ძნელი წარმოსადგენია, როგორები იყვნენ ჩიკ კორეა და გარი ბარტონი 35 წლის წინ, როდესაც საკუთარ მუსიკალურ ლეგენდას ქმნიდნენ. თუმცა ფაქტი ერთია - მათ მუსიკას ასაკი არ ეტყობა - იგი ისევე თანამედროვე და ცოცხალია, როგორც მაშინ, შორეულ 72 წელს. თუმცა შეიცვალნენ მისი შემსრულებლები - აცვიათ ფართო ჯიბეებიანი შარვლები და ინსტრუმენტებს სათვალით დაჰყურებენ.


ჩიკ კორეა და გარი ბარტონი.

ჩიკ კორეა კი წარმოდგენის მთავარი გმირია, არა მხოლოდ თავისი პარტიების გამო, არამედ იმიტომაც, რომ მსმენელთან დიალოგის წარმართვის მისიას ითავსებს. მან იცის ქართული "გამარჯობა" და "მადლობა" (ან "მადლობა very much"), ტანგოს შესრულებისას სცენაზე ცეკვავს, ფლამენკოს დროს კი თითებს ატკაცუნებს. მას მსმენელი უყვარს და ცდილობს, მხოლოდ თავისი მუსიკით არ ასიამოვნოს. ავტოგრაფის მიცემა არ ეზარება, მეტიც, ამის მსურველს კულისებშიც ეპატიჟება.

ჩიკ კორეა და გარი ბარტონი თბილისიდან დღეს მიემგზავრებიან - მათი საიუბილეო წვეულება ამჯერად მოსკოვში გაგრძელდება.

# ჩვენებურები მოდიან

### ფესტივალი "ჩვენებურები" ცხრა ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლებს

ია ვეკუა

რამდენიმე დღის განმავლობაში ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდებიან ის ეთნიკური ქართველები, რომლებიც საუკუნეების წინ ან იძულებით გადაასახლეს, ან საკუთარი სურვილით იქცნენ ემიგრანტებად. 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე თბილისსა და რუსთავში მესამედ გაიმართება საერთაშორისო ფესტივალი "ჩვენებურები", რომელშიც ცხრა ქვეყნის დელეგაცია იქნება წარმოდგენილი.

ამ დღეებში უკვე ელოდებიან დელეგაციებს საბერძნეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, კორეიდან, ესტონეთიდან და კვიპროსიდან. ფესტივალის პრინციპის თანახმად, ყოველ წელს სხვადასხვა კოლექტივი ჩამოდის, თუმცა არსებობს ერთადერთი გამონაკლისი - ცნობილი მომღერალი ბაიარ შაჰინი (გუნდარიძე), რომელიც ყველა ფესტივალის სტუმარია.

წელს ფესტივალის გეოგრაფია კვლავ გასცდა თბილისს და ერთი კონცერტი 1 ოქტომბერს რუსთავშიც გაიმართება (შარშან ფესტივალი ბათუმის სტუმარიც იყო). "ჩვენებურების" აფიშა კი შემდეგია: 29 სექტემბერს თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა" უმასპინძლებს ფოტოგამოფენას "ქართველი ემიგრანტები". მასზე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული უნიკალური ფოტომასალა, რომელზეც ასახულია თურქეთში, აზერბაიჯანში, ირანსა და სხვა ქვეყნებში საუკუნეების წინ ემიგრირებული ქართველები.

30 სექტემბერს ფესტივალის სტუმრებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მიიღებენ. როგორც სამინისტროს წარმომადგენლებმა განმარტეს, ეს შეხვედრა ქართულ სათვისტომოებთან ურთიერთობისა და მათთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენისთვისაა საჭირო. ამავე მიზნებს ემსახურება მომდევნო დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაგეგმილი შეხვედრაც.

ფესტივალის საზეიმო გახსნა 30 სექტემბერს ვაკის პარკში გაიმართება. 2 ოქტომბერს კი "ჩვენებურების" მონაწილეები სამედიცინო უნივერსიტეტის დარბაზში გამართავენ კონცერტს. იმავე დღეს მათი ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოშია დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ "ჩვენებურები" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტარდება.


"ჩვენებურების" ორგანიზატორები.

ასევე დაგეგმილია ეთნიკურად ქართველი თურქი მწერლის ფაჰრეთინ ჩილოღლუს (ფარნა ჭილაძე) მოთხრობებისა და ლექსების კრებულის "სასაზღვრო ფიქრების" პრეზენტაცია ("ქარვასლაში"). "ჩემი მოთხრობები საქართველოს სიშორესა და მის მონატრებაზეა. სამწუხაროდ ქართულ ენას სრულყოფილად არ ვფლობ, ამიტომ თურქულად ვწერ. წიგნში ასევე შევიდა ჩემ მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ლექსებიც, რომელთა გამომზეურება არ მსურდა, რადგან მიმაჩნდა, რომ არ იყო მაღალი დონის. თუმცა ქართველმა მეგობრებმა დამარწმუნეს, რომ აქაური მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა", - განაცხადა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ.

"ჩვენებურები" 3 ოქტომბერს გალა კონცერტით დაიხურება, რომელშიც ფესტივალის ყველა სტუმარი მიიღებს მონაწილეობას. ვინც შარშანდელი ფესტივალის დასკვნით კონცერტს დაესწრო, ალბათ დღემდე ახსოვს მონაწილეთა სულისკვეთება და ნოსტალგიური განწყობა, რომელიც ყველა ემიგრანტის მახასიათებელია. ეს კომპონენტი არც წლევანდელ ფესტივალს მოაკლდება, მიუხედავად იმისა, რომ კორეიდან, საბერძნეთიდან და ესტონეთიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები არ არიან ეთნიკური ქართველები.

ფესტივალი "ჩვენებურები" წელს მესამედ იმართება. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია გიული ალასანია, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე - დარეჯან კუხიანიძე, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი.

მომავალი წლიდან "ჩვენებურები" საქართველოს საზღვრებს გასცდება და სავარაუდოდ თურქეთში ჩატარდება. "ფესტივალის მიზანი მთელ მსოფლიოში გაფანტულ ქართველებთნ საერთო ენის გამონახვა და მათი სამშობლოსთან დაახლოებაა. თავიდან ვფიქრობდით, რომ ფესტივალი ასეთი ინტენსივობით არ ჩაგვეტარებინა, მაგრამ იმდენად დიდია საქართველოში ჩამოსვლის სურვილი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მხრიდან, რომ მათი თხოვნით "ჩვენებურები" ყოველ წელს იმართება", - განაცხადა გიული ალასანიამ.

ძმისშვილები ზაზა, ცოტნე, რუსუდან, სანდრო თვარაძეები, რძალი ინგა ლორთქიფანიძე, დისშვილი ლელა ლომაძე, რძლები მანანა ჯიქია, ნათია თვარაძე იუწყებიან,. რომ გარდაიცვალა

**ეთერ ალექსანდრეს ასული თვარაძე**

პანაშვილი ოთხშაბათს, 27 სექტემბერს 16 საათზე
დაკრძალვა ხუთშაბათს, 28 სექტემბერს 14 საათზე.
მისამართი: სულხან-საბას ქუჩა №6

## განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გაზეთ "24 საათის" 13 სექტემბრის N201 ნომერში გამოქვეყნებულ სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 12 ოქტომბრის 17 საათამდე.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება 2 ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 ოქტომბერს 10 საათიდან - 17 საათამდე.

*სატენდერო კომისია*

## ცვლილება

**გაზეთ "24 საათის" 12 სექტემბრის N200-ში გამოქვეყნებულ სააუქციონო პირიროებში, რომელიც შეეხებოდა შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული 6 ერთეული 2 ტე 10მ ტიპის თბომავლის რეალიზაციას ,შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება**

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 3 ოქტომბერს 12 საათზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

- აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება ყოველდღე, (შაბათ კვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი №15, შპს "საქართველოს რკინიგზა" მე-4 სართული, ტელ: .56-33-48.

# ნობელების მუზეუმი ბათუმში

ბათუმში ძმები ნობელების სახელობის მუზეუმი გაიხსნება. ბათუმის ვიცე-მერის ნათია სურგულაძის განცხადებით, ბათუმში ძმები ნობელების მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ქალაქის არქივში აღმოაჩინეს.

"დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ძმები ნობელები ბათუმში სახლსა და მიწის ნაკვეთს ფლობდნენ. ძმების საქმიანობასთან დაკავშირებული მასალებისა და დოკუმენტების ძიება არა მარტო ბათუმში, არამედ ქუთაისისა და ზუგდიდის არქივებსა და მუზეუმებშიც მიმდინარეობდა. შედეგად აღმოჩენილია მრავალი საინტერესო მასალა, რომლებიც მუზეუმში ექსპონატების სახით იქნება წარმოდგენილი", - განაცხადა ნათია სურგულაძემ.

სახლი, რომელიც ნობელებს ეკუთვნოდათ, ბათუმის შესასვლელში, ბენზეს რაიონში მდებარეობს. საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, მუზეუმის რეკონსტრუქციისთვის 400 ათასი ლარი გამოიყო.

1879 წელს ბაქოში "ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა" დაარსდა. ამხანაგობის დამფუძნებლები ძმები ლუდვიგ, რობერტ და ალფრედ ნობელები იყვნენ. მათ კომპანიას ნავთობი ბაქოდან ბათუმის ნავსადგურის გავლით ევროპაში გაჰქონდათ. ძმები ნობელების მონაწილეობით ბათუმში 1883 წელს ნავთობტერმინალი აიგო. იმავე წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

მუზეუმის გახსნას ადგილობრივი ხელისუფლება 23 ნოემბერს - გიორგობის მართლმადიდებლურ დღესასწაულსა და ვარდების რევოლუციის მესამე წლისთავს დაუკავშირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ყველაზე კეთილშობილი ქალბატონი

1 ოქტომბერს გალერეა "კამეაში" თეატრალური ფესტივალი "საჩუქარის" ფარგლებში თანამედროვე ქართველი მხატვრების საშემოდგომო კოლექცია გაიხსნება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნახატები, ფაიფურის დანები და კამეის ნაკეთობები. გალერეის დირექტორმა ბესო დარჯანიამ განაცხადა, რომ გამოფენაზე დარიგდება ორენოვანი, ქართულ-ინგლისური ბუკლეტები, რომლებიც დასურათებული იქნება "კამეაში" გამოფენილი ექსპოზიციით. გამოფენის დახურვისთვის წლის ყველაზე კეთილშობილი ქალბატონის დასახელება იგეგმება. მას ნიჟარაში შესრულებული, ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული კამეა გადაეცემა. საჩუქარი ბესო დარჯანიას ხელით იქნება დამზადებული. გამოფენა გალერეა "კამეაში" 15 ოქტომბერს დაიხურება. **ჯი-ეიჩ-ენი**


"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით (40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.
მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge




24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### პლაზმური სასამართლო

სამხრეთ კორეული კომპანია Samsung-ის წინააღმდეგ იაპონურმა კომპანია Poneer-მა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. იაპონელები სამხრეთ კორეულ კომპანიას პლაზმური ეკრანების წარმოების სფეროში საპატენტო კანონმდებლობის დარღევაში ადანაშაულებენ. კომპანია Pioneer-ი სასამრთლოსგან Samsung SDI-ის მიერ პალზმური ეკრანების წარმოების შეწყვეტას და საპატენტო კანონმდებლობის დარღვევისთვის კომპენსაციის გადახდას კატეგორიულად მოითხოვს.

კომპანია Samsung-ი კი, რომელიც მსოფლიოში პლაზმური ეკრანების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, აცხადებს, რომ იაპონური კორპორაციის წინააღმდეგ საპასუხო სარჩელს შეიტანს, თუმცა კომპანიის იურისტები კონკრეტულ თარიღს ჯერ არ ასახელებენ.

აღნიშნული სასამართლო დავა კომპანია Pioneer-ისთვის პირველი არ არის. მას მსგავსი გაუგებრობა ცოტა ხნის წინ LG Electronics-სთან და Matsushita-სთან ჰქონდა, რომლებიც საპატენტო უფლების გაფორმებით დასრულდა.

"ჩვენ კონკურენტის შეურაცხყოფას არ ვცდილობთ, ჩვენთვის მთავარი ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა,"- აცხადებს კომპანია Pioneer-ის წარმომადგენელი კესანობუ იამაგიში.

"იაპონური კომპანიის პრეტენზიები კომპანია Samsung SDI-ის წარმოებასა და რეალიზაციაზე უარყოფით გავლენას მაინც ვერ მოახდენს", - აცხადებენ სამხრეთ კორეულ კომპანიაში.

პლაზმური ეკრანები პლაზმური ტელევიზორების ძირეული კომპონენტია. კომპანია DisplaySearch-ის პროგნოზებით, პლაზმური ბაზრის მოცულობა 2010 წლისთვის ორჯერ გაიზრდება და ის 28 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

რაც შეეხება ექსპერტებს, ისინი აცხადებენ, რომ იაპონური კომპანიები თავიანთი კონკურენტების წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკით მოქმედებენ. იაპონელების მონოპოლია ისეთ ძირეულ ბაზრებზე, როგორიც არის, მაგალითად, ოპერატიული მეხსიერება, ნახევარგამტარები და თხევად კრისტალური ეკრანები, მცირდება. ამ ეტაპზე, ყველაზე დიდი წარმატებით კომპანია Samsung Electronics-ი სარგებლობს.



## ბრენსონი გლობალური დათბობის წინააღმდეგ

B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3076 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9823 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4731 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7375 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8115 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1361 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2979 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3032 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2212 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4201 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3341 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1549 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1495 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3066 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1898 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2459 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4018 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5569 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1648 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4402 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3093 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2647 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5608 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5837 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0973 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4524 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5136 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4135 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4694 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8064 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0100 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1370 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4416 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2397 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4076 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0781 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2194 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




# ტელეკომუნიკაციის ბაზარი

ეკა ქევანიშვილი

*თუ ტელეფონზე საუბრისას რამდენიმე დიალოგი ერთად გესმით, ეს იმის ბრალია, რომ სატელეკომუნიკაციო სისტემა მთელ საქართველოში, რამდენიმე ციფრულ სადგურს თუ არ ჩავთვლით, მთლიანად მოძველებულია. ამ ბაზარზე არსებული ორი ძირითადი მოთამაშიდან ერთი - "ახალი ქსელები" მოსახლეობას ხარისხიან მომსახურებას სთავაზობს, თუმცა მეორე დიდი კომპანიის, ყოფილი "ელექტროკავშირის", ახლა უკვე "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (გაერთიანებული ტელეკომი) ძირითადი კაბელები საკანალიზაციო სისტემის გამოყენებით გადის. ეს უკანასკნელი, როგორც სახელმწიფო კომპანია, აღარ არსებობს და ის ახლა ჰოლანდიაში რეგისტრირებული ქართულ-ყაზახური კომპანიაა. მან ერთი კვირის წინ დაფარა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 90 მილიონი დოლარი და ახლა ამ ბაზარზე მისი წილი 70 პროცენტია.*

**მომავალი ორი წელი, როგორც ამბობენ, ამ ბაზარზეც გარდამტეხი იქნება. მომხმარებელი კი გადასახადს ხარისხიან მომსახურებაში გადაიხდის და ტელეფონში სხვისი დიალოგების მოსმენა აღარ მოუწევს.**



B4

# როდის დაიწყება დიდი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა?

## თურქეთ-აზერბაიჯანის ბრალდებები და პროექტის პერსპექტივები

მარიამ ჯაჭვაძე

*ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას საქართველო განგებ აჭიანურებს, - ასეთი ბრალდება თურქეთის საგარეო პოლიტიკის უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჩვენი ქვეყნის მთავრობას წაუყენა. მოგვიანებით კი თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მარშრუტის ამოქმედებისთვის საჭირო მილიონების შესახებ მოლაპარაკებას მხარეები ოქტომბრის ბოლოს დაიწყებენ.*

**ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო-სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტი 98-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებს, საიდანაც 68 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო 30 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის.**



B2

# "არამკო ოილის" გამოწვევა - ტრილიონი ტონა ნავთობი

მერაბ ლორთქიფანიძე

*საუდის არაბეთის ნავთობკომპანია "არამკო ოილი" მსოფლიო ნავთობინდუსტრიას მოუწოდებს, ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დაზვერილ იქნას ტრილიონი ბარელი ნავთობი, რაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პლანეტის მოსახლეობა კიდევ 140 წელი არ დადგეს სერიოზული ენერგოკრიზისის წინაშე.*

*"მე მოვუწოდებ ნავთობმზვერავებს, რომ მათ გააგრძელონ ინტენსიური სამძებრო სამუშაოები და მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ნავთობმარაგები ტრილიონი ბარელი ნავთობით გაზარდონ. ჩვენი ვარაუდით, ამჟამად ჩვენი პლანეტის წიაღში დაახლოებით 4,5 ტრილიონი ტონა ნავთობია დაცული. ეს ის რაოდენობაა, რომლის მოპოვების საშუალებასაც თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა. თუ ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ახლანდელი ტემპით გააგრძელებს ნავთობპროდუქტების მოხმარებას, მაშინ ეს მარაგი კიდევ 140 წელი გვეყოფა," - ამბობს "არამკო ოილის" მთავარი აღმასრულებელი აბდალა ჯუმა.*



B4

სახალხო ბანკი

## "სახალხო ბანკმა" ახალი ტიპის პლასტიკური ბარათი, "ახალგაზრდული ბარათი" გამოუშვა

2006 წლის 25 სექტემბერს, 14 საათზე, "საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტში" "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ, 2006-2007 სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად, საზოგადოებას წარუდგინა ახალი ტიპის პლასტიკური ბარათი - "ახალგაზრდული ბარათი".

გიორგი გოგუაძემ სტუდენტებს მიულოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება, გააცნო "სახალხო ბანკის ახალგაზრდული ბარათის" მახასიათებლები და ახალგაზრდებს აღუთქვა, რომ "სახალხო ბანკი" ბარათის მფლობელებს მომავალში ბევრ ახალ სიურპრიზს შესთავაზებს, მან ასევე აღნიშნა, რომ "სახალხო ბანკი" სულ მალე საგრძნობლად გაზრდის "ახალგაზრდული ბარათის" ფასდაკლებათა ქსელს.

"ახალგაზრდული ბარათი" სპეციალური დიზაინის საერთაშორისო "VISA ელექტრონ" პლასტიკური ბარათია, რომლის საშუალებითაც თბილისის 100-მდე სავაჭრო და მომსახურების ობიექტში, "ახალგაზრდული ბარათის" მფლობელები ისარგებლებენ 5-40%-ინი ფასდაკლებით. ბარათის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი.

2006-2007 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით "სახალხო ბანკის ახალგაზრდული ბარათი" საჩუქრად გადაეცემა ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, თუ ისინი მიმართავენ თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში მივლინებულ "სახალხო ბანკის" გაყიდვების მენეჯერთა ჯგუფებს და შეავსებენ შესაბამის განაცხადს.

პრეზენტაციაზე "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა პირველი 12 "ახალგაზრდული ბარათი" გადასცა 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული I ჯგუფის ინვალიდებს და "საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის" 3 ყველაზე წარჩინებულ სტუდენტს. აღნიშნული ბარათების შესაბამის ანგარიშებზე "სახალხო ბანკმა", ახალი საბანკო პროდუქტის გამოშვების აღსანიშნავად, ჩარიცხა 1200 ლარი.

პრეზენტაციაზე სტუდენტებთან ერთად მოწვეული იყვნენ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, ქალაქის მერიისა და პარლამენტის წარმომადგენლები. განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე დიდებულიძემ "სახალხო ბანკს" მიულოცა ახალი პროდუქტის გამოშვება და აღნიშნა მისი მნიშვნელობა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

დღესვე თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში "სახალხო ბანკის" გაყიდვების მენეჯერთა ჯგუფებმა დაიწყო სტუდენტებისაგან "ახალგაზრდული ბარათის" მისაღებად აუცილებელი განაცხადების მიღება.

## TAV URBAN-ს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის იჯარის ვადა გაუხანგრძლივეს

თურქულ კომპანია **TAV URBAN**-ს, რომელიც ბათუმისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების რეკონსტრუქციას ახორციელებს და, იმავდროულად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტს 15-წლიანი იჯარით ფლობს, შესაძლოა, იჯარის ვადა გაუხანგრძლივონ.

როგორც სანდო წყარომ განაცხადა, კომპანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტს 20-წლიანი იჯარით აიღებს. ამ შესაძლო ცვლილების მიზეზი ის 30-მილიონიანი ინვესტიციაა, რომელსაც თურქული კომპანია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციაში დებს.

როგორც თურქულ კომპანია TAV URBAN-ში განმარტეს, თავად ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა დათქმულ ვადაში, 2007 წლის ზაფხულისათვის დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ თურქულმა მხარემ ბათუმის აეროპორტის მშენებლობაში საწყის ეტაპზე 15 მილიონი, ხოლო შემდეგ დამატებით 15 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. რეკონსტრუქციის შემდეგ აეროპორტი ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტ მგზავრს მოემსახურება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქობულეთში 4 ახალი სასტუმრო აშენდება

2007 წლის ბოლომდე ქობულეთში დამატებით 4 ახალი სასტუმრო აშენდება, რაც ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. დღეისათვის ქობულეთში 118 მცირე სასტუმროა, რომელიც 12 ათას ტურისტზეა გათვლილი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად ქობულეთში ყოველწლიურად მიწის ფასი ორმაგდება.

თუ 2003 წელს ზღვისპირა ზოლის გასწვრივ ერთი კვ.მ მიწის ფართი 10 დოლარი ღირდა, წელს მისი ფასი 25-50 დოლარია. ხოლო ქობულეთის მთავარ, რუსთაველის ქუჩაზე 2003 წელს კვ.მ. ფართი 5 დოლარი ღირდა, ხოლო წელს კი მისი ღირებულება 15-20 დოლარამდე ავიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კოდორის ხეობაში მშენებარე ორი ჰესი ექსპლუატაციაში ნოემბრის ბოლომდე შევა

ნოემბრის ბოლომდე ექსპლუატაციაში კოდორის ხეობაში მშენებარე ორი ჰესი შევა და სისტემას დამატებით სიმძლავრეებს მიაწვდის. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადეს, ჰესების გამართვის შემდეგ, კოდორის ხეობის მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემაც მოგვარდება.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე აჩიკო ნიკოლაიშვილის თქმით, ჰესების მშენებლობის ღირებულება მთლიანად ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაფინანსდა. "პროექტის ღიებულება 700 ათასი ლარს შეადგენს. თითო ჰესი 125 მგვტ. ენერგიას გამოიმუშავებს და კოდორის ხეობის მოსახლეობის მოთხოვნას ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აჩიკო ნიკოლაიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# როდის დაიწყება დიდი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა?

პირველი გვერდიდან

თურქი მაღალჩინოსნის ბრალდება ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა საინფორმაციო სააგენტომ "აოამ" გაავრცელა, თუმცა მისი ვინაობის დასახელებისგან სააგენტომ ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

თურქი ჩინოვნიკი "აოას" კორესპონდენტთან საუბრის დროს ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობები ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად ცდილობდნენ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დროულად დაწყებას, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა ბიუროკრატიული წინააღმდეგობებით ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას.

**"თურქეთი მზად არის, სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისთვის მისი წილი 220 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით გამოყოს. ჩვენ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის მხარემაც უკვე განსაზღვრა მისი წილი ინვესტიციების ოდენობა. ერთადერთი რჩება საქართველო, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ფინანსურ რესურსებს არც ვთხოვთ. არადა, პროექტიდან ამ სახელმწიფოს ყველაზე მეტი მოგება ერგება. ჩვენ ვითხოვთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ გააჭიანუროს მშენებლობის დაწყების პროცესი,"** - უთხრა თურქულ საინფორმაციო სააგენტოს ინკოგნიტო რესპონდენტმა.

მშენებლობის დაწყება კი 2007 წლის შუაში იყო ნავარაუდევი. ამის შესახებ განცხადება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ დაახლოებით 1 თვის წინ გააკეთა. მაშინ მინისტრი ირწმუნებოდა, რომ პრემიერის დავალებით, პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით მალე მას აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები უნდა დაეწყო.

იმ დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სარკინიგზო დერეფნის მშენებლობისათვის საჭირო თანხიდან 450 მილიონ დოლარს თურქული და აზერბაიჯანული მხარე გამოყოფს. ჩოგოვაძის ინფორმაციით, ამ თანხიდან საქართველოში დაახლოებით 200-300 მილიონ აშშ დოლარამდე დაიხარჯება, რაც "საქართველოს რკინიგზას" უპროცენტო და უვადო სესხის სახით უნდა გადაეცეს.

ერთი საყურადღებო დეტალი: ირაკლი ჩოგოვაძის მტკიცებით, ამ დროისთვის სარკინიგზო დერეფნის პროექტირებაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. თუმცა აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ნათქვამს საეჭვოს ხდის.

კერძოდ, მეზობელი სახელმწიფოს ტრანსპორტის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაფინანსების საკითხზე პროექტის მონაწილე სახელმწიფოების შესაბამისმა სტრუქტურებმა ოქტომბრის ბოლო უნდა იმსჯელონ. აზერბაიჯანული მხარე გუშინ ცალსახად აცხადებდა, რომ მარშრუტის პროექტირებაზე მუშაობა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, როდესაც მის დაფინანსებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხი გაეცემა და საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

და მაინც, თუკი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის მიერ მშენებლობის დაწყების თარიღთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას ვენდობით, მისივე გათვლებით, დიდი სარკინიგზო დერეფანი მხოლოდ 2010 წლისთვის ამოქმედდება, საიდანაც საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად 150 მილიონი დოლარის შემოსავალს ელოდება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში მონაწილე სახელმწიფოების გარდა, ხსენებული სარკინიგზო მარშრუტი რამდენიმე ქვეყნის ინტერესის საგანი გახდა. ზოგიერთმა მათგანმა მასში ინვესტიციების ჩადების სურვილიც გამოთქვა, მომავალში გარკვეული მოგების მიღების მიღების სანაცვლოდ. ერთ-ერთი ასეთი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო, რომელმაც საკუთარი სურვილი ამ ცოტა ხნის წინათ ყაზახეთში, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და თურქეთის ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრაზე დააფიქსირა. **"ამ შეხვედრაზე დაფიქსირდა, რომ ჩინეთი სერიოზულად დაინტერესებულია ამ მარშრუტის ათვისებით,"** - აღნიშნა თამარ კოვზირიძემ "24 საათთან" საუბრის დროს.

შეგახსენებთ, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო-სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტი 98-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებს, საიდანაც 68 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო 30 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ აუცილებელი ხდება ახალქალაქი-თბილისი სარკინიგზო მონაკვეთის რეკონსტრუქცია. ამ პროექტის საშუალო ღირებულება 400 მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული.






## ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალი წლის ბოლომდე უნდა შეავსონ

"კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, კომბანკებისთვის საზედამხედველო კაპიტალის 12 მლნ ლარამდე შევსების გრაფიკში ცვლილებები შევიდა.

კაპიტალის შევსების საბოლოო ვადად 2007 წლის 30 ივნისი განისაზღვრა, ნაცვლად 2008 წლის 31 დეკემბრისა.

კომერციული ბანკები ამ მოთხოვნის შესრულებას ეტაპობრივად განახორციელებენ. 2006 წლის 31 დეკემბრისთვის მათი კაპიტალი, სულ ცოტა, 9,2 მილიონი ლარი უნდა იყოს, 2007 წლის 30 ივნისისთვის კი - 12 მლნ ლარი. ამასთან, საზედამხედველო კაპიტალის ზრდა მხოლოდ ფულადი ფორმებითა და მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტით უნდა განხორციელდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში საიმპორტო ნავთობის ღირებულება შემცირდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები, გარდა დიზელისა, ყველა სახეობაზე შემცირდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს. კავშირის ცნობით, 2006 წლის 26 სექტემბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 502.50 (- 10.00); ნაფთა (NAFTA) 474.50 (- 4.25); ნავთი (Jet Fuel (max)) 567.00 (- 3.50); დიზელი (Gasoil.0.2%) 527.50 (+ 0.50); მაზუთი (Maze) 248.25 (- 2.75); ნავთობი (Brand) 57.57 (- 1.30) ბარელზე; ნავთობი (Urals) 55.62 (- 0.96) ბარელზე.

კავშირის ინფორმაციით, 25 სექტემბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 60,80 (+0,39) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა - ბარელზე 61,45 (+0,90) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იმერეთის რეგიონში ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და მოსახლეობისათვის ხელსაყრელი სატრანსპორტო საშუალების აღდგენის მიზნით, ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს "საქართველოს რკინიგზიდან" აცნობეს.

აღნიშნულ სარკინიგზო უბანზე ლიანდაგის ტექნიკური გაუმართაობის გამო, მატარებელთა მოძრაობა 2003 წლიდან შეჩერდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ კვირას სამშენებლო ობიექტზე განიხილეს.

**"პირველ ეტაპზე 42 კმ სიგრძის სალიანდაგო მაგისტრალის აღდგენა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2007 წლის მაისის თვეში დასრულდება,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მისი თქმით, რკინიგზის ამოქმედება რეგიონის ადგილობრივი წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს რკინიგზის ინფორმაციით, ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები დაჩქარებული ტემპებით განხორციელდება და რამდენიმე თვეში სადგურების (გელათი, ორპირი, ხრესილი, საწირე, ტყიბული) ფუნქციონირება განახლდება.

**"განახლდება ყველაზე კომფორტული, იაფი და ხელსაყრელი ტრანსპორტის მიმოსვლა. ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად სამუშაოები რამოდენიმე ეტაპად განხორციელდება: შეიცვლება განძელები, რელსები, აღდგება სამთო და წყალამრიდი არხები. ასევე, მიმდინარეობს ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო ხაზის ელექტრიფიკაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანად ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალზე საკონტაქტო ქსელის რეაბილიტაციისათვის ახალი რკინა-ბეტონის საკონტაქტო ანძები დამონტაჟდება და აღდგება ელექტროგადამცემი ხაზი,"** - აღნიშნა ირაკლი ეზუგბაიამ. ქუთაისი-ტყიბულის სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 10 მლნ ლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "სახალინი-1"-ის პროექტიდან ნავთობის ექსპორტი ოქტომბრიდან დაიწყება

"სახალინი-1"-ის პროექტიდან ნავთობის ექსპორტი 2006 წლის ოქტომბრიდან დაიწყება. როგორც კომპანია "სახალინის პროექტების" ხელმძღვანელმა ლევ ბროდსკიმ განაცხადა, "სახალინი-1"-ის პროექტის ფარგლებში კუნძულ სახალინის ჩრდილო-აღმოსავლეთ შელფზე ჩაივოს, ოდოპტუსა და არკუტუნ-დაგის საბადოები დამუშავდება.

აღნიშნული საბადოების პოტენციური მარაგები დაახლოებით 307 მლნ ტონა ნავთობსა და 485 მლრდ კუბამეტრ გაზს შეადგენს. კაპიტალდაბანდება "სახალინი-1"-ის პროექტით გათვალისწინებულ საბადოების დამუშავებაში 12 მლრდ დოლარით არის შეფასებული. პროექტის მონაწილეები არიან: xxon Neftegas Limited (30%), "rosnefti"(20%), ინდური ONGC (20%) და იაპონური SODECO (30%).

ამჟამად დღე-ღამეში 60 ათასი ბარელი ნავთობი მოიპოვება. მოპოვების ასეთი მცირე მაჩვენებელი ბროდსკიმ იმით ახსნა, რომ დღეისათვის მოქმედ დროებით ტექნიკურ კომპლექსს ნავთობის მოპოვებაში შეზღუდვები გააჩნია.

იანვარში სანაპირო კომპლექსი ამოქმედდება, რომლითაც შესაძლებელი გახდება, მაჩვენებელი დღე-ღამეში 250 ათას ბარელამდე გაზარდოს, რაც 2007 წლის განმავლობაში 11,5-12 მლნ ტონას შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## BP ნავთობის მოპოვების გაზრდას გეგმავს

ოქტომბრის ბოლოსათვის BP აშშ-ს უმსხვილეს ნავთობსაბადო "პრადხო ბეი"-ზე ნავთობის მოპოვების გაზრდას გეგმავს. ექსპერტები ამ ფაქტს დადებითად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მოპოვების გაზრდა ნავთობზე ფასების კლებას შეუწყობს ხელს.

აშშ-ს მარეგულირებელმა ორგანოებმა BP-ს გეგმები მას შემდეგ მოიწონეს, რაც მსოფლიოში ნავთობის ფასი საგრძნობლად გაიზარდა. აგვისტოში ნავთობის მოპოვება შეჩერებულ იქნა ნავთობსაბადოს მილსადენზე მიმდინარე ღრმა კოროზიის გამო. BP-ის მიერ ნავთობის მოპოვების განახლების შემდეგ შესაძლებელი გახდება დღეში 400 ათასი ბარელის ნავთობის მოპოვება. ამჟამად "პრადხო ბეი"-ის ნავთობსაბადოზე მოპოვება დაახლოებით 250 ათას ბარელ ნავთობს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსოფლიო ბირჟებზე აშშ დოლარის კურსის დაცემის პროცესი გაგრძელდება

ცნობილი საერთაშორისო ფინანსისტის ჯორჯ სოროსის პროგნოზით, მსოფლიო ბირჟებზე ამერიკული დოლარის კურსის დაცემის პროცესი გაგრძელდება. გარდა ამისა, სოროსი მიიჩნევს, რომ ფასები დაიწევს ნედლეულზე, რაც ამერიკის ეკონომიკის ზრდის შეფერხების ფონზე ჩაივლის.

მოვლენების ასეთი განვითარების მიზეზად ფინანსისტი ინფლაციის დაჩქარებულ ტემპს ასახელებს. მსოფლიო ფინანსური სისტემის არამდგრადობაზე, რაც დოლარზეა დამყარებული, ანალიტიკოსები დიდი ხანია საუბრობენ. ისინი ისეთი სისტემის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებენ, რომელიც რამდენიმე ძირითად ვალუტაზე იქნება დამყარებული. მათი განმარტებით, ასეთი სისტემა სხვადასხვა რისკფაქტორის მიმართ უფრო მდგრადი იქნება.

მსგავსი განცხადებები გაკეთდა დღეს სანკტ-პეტერბურგში გამართულ მეათე საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე. რუსეთის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა, დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ ასეთ სარეზერვო ვალუტად რუსული რუბლი შეიძლება იქცეს.

ანალიტიკოსების ვარაუდით, რუსული ვალუტის გარკვეულწილად გამყარება აშშ-ს დოლართან მიმართებაში უახლოეს სპეცსესიაზეც გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროკომისია ბულგარეთ-რუმინეთისგან კორუფციის შემცირებას ითხოვს

რუმინეთსა და ბულგარეთს საშუალება ეძლევათ, 2007 წლის იანვარში ევროკავშირში გაწევრიანდნენ და მისი სრულფასოვანი წევრები გახდნენ. მოლაპარაკებები ამ საკითხზე უკვე დაწყებულია, თუმცა მანამდე ევროკომისია ქვეყნებს სასამართლო რეფორმის დაჩქარებისა და ქვეყანაში კორუფციის შემცირებისაკენ მოუწოდებს.

თავად ქვეყნის მცხოვრებნი ევროკავშირში გაწევრიანებას არაერთგვაროვნად უყურებენ. მოსახლეობის უმრავლესობა იმედოვნებს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ყველაფერი დადებითისაკენ შეიცვლება.

ევროკავშირი საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბრის ბოლოს, წევრი ქვეყნების ლიდერთა შეკრებისას მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბრენსონი გლობალური დათბობის წინააღმდეგ

მერაბ ლორთქიფანიძე

ინგლისელმა მილიარდერმა, სერ რიჩარდ ბრენსონმა ვალდებულება აიღო, მის კუთვნილებაში არსებული, რკინიგზისა და საავიაციო ბიზნესიდან მიღებული მოგება, წინასწარი გათვლებით, დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი, მთლიანად მოახმაროს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჯგუფ "ვირჯინის" აღმასრულებელმა, რომელიც ასევე ფლობს კომპანიებს მუსიკისა და მობილური კავშირის ბიზნესში, ჩამოაყალიბა ახალი კომპანია "ვირჯინ ფიუელსი", რომელიც მის მიერ აღებულ ვალდებულების შესრულებაში დაეხმარება. ახალ კომპანიას მომდევნო სამ წელიწადში განახლებადი ენერგიისა და მისი წყაროების ასათვისებლად, დაახლოებით 400 მილიონი დოლარის ინვესტირება აქვს განზრახული.

გარდა ამისა, სატრანსპორტო ბიზნესიდან მიღებულ მოგებას, რომელიც ბრენსონის იმპერიის მოგების თითქმის ნახევარს შეადგენს, ინვესტორი ასევე გაიღებს ცალკეული პროექტებისთვის. მაგალითად, ბიოსაწვავის კვლევის, ტექნოლოგიების დამუშავების, წარმოების და დისტრიბუციისთვის. და კიდევ, ბრენსონი მონაწილეობას აპირებს ყველა იმ პროექტში, რომელთა მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება ჩვენი ატმოსფეროს გასუფთავება გამონაბოლქვი მავნე აირებისგან.



სერ რიჩარდ ბრენსონი.

"ჩვენ მეტისმეტად დამოკიდებულები ვართ ქვანახშირსა და ორგანულ საწვავზე. დროა, ამაზე ნაწილობრივ მაინც ვთქვათ უარი და შვება მოვგვაროთ ჩვენს გარემოს, რომელიც სულ უფრო ძნელად ასატანი ხდება ადამიანისთვის. ახალ თაობას აქვს ცოდნა, ფულადი რესურსი და, რაც მთავარია, სურვილი იმისა, რომ გარემო დაბინძურებისგან იხსნას. და მე ბედნიერი ვიქნები, თუ წვლილს შევიტან ამ დიდ საქმეში," - "კლინტონ გლოუბლ ინიციატივის" კონფერენციის შემდგომ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა 56 წლის მილიარდერმა, ვინც სხვადასხვა დამსახურებათა გამო, ინგლისის სამეფოს რაინდის წოდების მატარებელია.

აღნიშნული კონფერენცია აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონის მიერაა ორგანიზებული და მასზე მსოფლიოს უმთავრესი პრობლემები, მათ შორის, გარემოს დაცვის საკითხები განიხილებოდა. კლინტონმა მსოფლიოს პრობლემებთან დაკავშირებული კონფერენცია მეორედ ჩაატარა. მისი მიზანი იყო, პლანეტის უმდიდრესი ადამიანების დაინტერესება გარემოს პრობლემებით და მან ეს შეძლო კიდეც.

თუ შარშან ჩატარებული პირველი კონფერენციის შემდეგ, გარემოს პრობლემების მოსაგვარებლად 2,5 მილიარდი დოლარი შეგროვდა, მეორე კონფერენციამ იმავე მიზნისთვის 5,7 მილიარდ დოლარს მოუყარა თავი.

"რიჩარდის მიერ ამ ვალდებულების აღება განსაცვიფრებელი მოვლენაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავისი მოგების დიდ ნაწილს გაიღებს, არამედ იმიტომ, რომ ის გვეუბნება: სუფთა ენერგია კარგია მსოფლიოსთვის და ის კარგია ბიზნესისათვის. ის თავისი ფენომენალური საქციელით მაგალითს აძლევს ბიზნესმენებს, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობენ განახლებადი ენერგიის განვითარებად ბიზნესში ინვესტიციების ჩადების თაობაზე," - ამბობს კლინტონი.

ბრენსონი განახლებადი ენერგიის პერსპექტივით და გარემოს დაბინძურებით გამოწვეული პრობლემებით მას შემდეგ დაინტერესებულა, რაც აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ 3 მილიარდ დოლარს გაიღებს გარემოს დაცვის ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარებისთვის. თუმცა გარემოს ექსპერტები და კონგრესმენები ბუშს მაინც აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისმა ადმინისტრაციამ დაგვიანებით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

ბრენსონი ამბობს, რომ ადრე სკეპტიკურად უყურებდა გარემოს დამცველთა გაფრთხილებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი პლანეტა და მისი ატმოსფერო მეტისმეტად დაბინძურებულია და სასწრაფო შველას საჭიროებს. მაგრამ მერე, როცა ამ საკითხებზე წიგნები წავიკითხე და საქმის ვითარებაში გავერკვიე, პრობლემისადმი ჩემი დამოკიდებულება შეიცვალაო, - ამბობს თავგადასავლების მაძიებელი მილიარდერი.

თავისი საოცარი გადაწყვეტილება კი ბრენსონს მას შემდეგ მიუღია, რაც მას ინგლისში ეწვია აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი და გარემოს პრობლემებზე ესაუბრა. გორი გარემოს საკითხებით დიდი ხნის წინ დაინტერესდა და ამ საქმეში სოლიდური გამოცდილება აქვს.

"ის (ელ გორი) იმედოვნებს, რომ ჩემი წამოწყების შემდეგ, საქმეში სხვა დიდი კომპანიებიც ჩაერთვებიან. ჰოდა, მალე ჩემს მიერ გაღებული სამი მილიარდი ბევრად აღარავის მოეჩვენება, რადგან საერთო პრობლემის მოსაგვარებლად, საქმეში 50, 100 მილიარდ დოლარს ჩადებენ. ეს თანხა კი სრულებით საკმარისია იმისათვის, რომ კაცობრიობამ სრულიად ახალი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავი გამოიგონოს და დანერგოს. მერე ნავთობი ყველას დაავიწყდება," - ამბობს ბრენსონი.

ცნობისათვის, ბევრი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ სწორედ ორგანული საწვავის (ნავთობი და ქვანახშირი) წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს პლანეტაზე ბოლო საუკუნის განმავლობაში დაახლოებით 0,6 გრადუსით გაიზარდა ატმოსფეროს ტემპერატურა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით კი, დათბობის მიზეზი კლიმატის ბუნებრივი ცვლილება ან მზის მიერ გამოყოფილი ენერგიის ზრდაა.

# "არამკო ოილის" გამოწვევა - ტრილიონი ტონა ნავთობი

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, "არამკო ოილის" მიერ წამოყენებული გამოწვევა იმასაც გულისხმობს, რომ ნავთობმომპოვებლებმა პლანეტის წიაღში რაც შეიძლება ნაკლები ნავთობი დატოვონ და რაც შეიძლება ბევრი ახალი საბადო დაზვერონ. მისი თქმით, "ყოველი ბოლო ეკონომიური ბარელის" მოპოვება ძნელი, მაგრამ შესრულებადი საქმეა.

"არამკოს" შეფმა თავისი გამოწვევა ხუთ ძირითად ნაწილად დაჰყო:

პირველის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალი საბადოს დაზვერვა და გახსნა. ამ მიზნის შესრულება გეოლოგებს ევალებათ. მეორე გულსხმობს უკვე არსებული და ექსპლუატაციაში მყოფი საბადოების მაქსიმალურად დამუშავებას, რათა მათგან ბოლო წვეთამდე იქნას მოპოვებული ნავთობი. ჯუმა ვარაუდობს, რომ საქმეში ახალი ტექნოლოგიების ჩართვით, მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შესაძლებელი გახდება საბადოდან 20 პროცენტით მეტი ნავთობის მოპოვება.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელი გახდება დაზვერვითი და მოპოვებითი სამუშაოების მნიშვნელოვნად გაიაფება. ეს მესამე მიზანია. მეოთხე მიზანი კი გულისხმობს ნავთობის არატრადიციული საბადოებიდან - კუპროვანი ქვიშებიდან და ნავთობის შემცველი ფიქლებიდან მოპოვებას. და ბოლოს, მეხუთე მიზანია ნავთობმომპოვებელი ინდუსტრიის მიერ ბუნებისთვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ მაინც ანაზღაურება.

ნავთობის მსოფლიო მარაგის შესახებ ჯუმას მიერ გაკეთებულ პროგნოზებს ბევრი სკეპტიკურად უყურებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მალე შესაძლებელი იქნება საბადოების გაცილებით ეფექტური ათვისება, მაინც საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ნავთობინდუსტრიამ თავის შესაძლებლობათა პიკს მიაღწია.

სკეპტიკოსები თვლიან, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მხოლოდ დააჩქარებს ნავთობის მსოფლიო მარაგის შემცირების პროცესს. ახალი, დიდი საბადოების აღმოჩენის პერსპექტივას კი ბევრი არარეალურად მიიჩნევს.

ცნობისათვის, საუდის არაბეთი დღეში 9,2 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს, თუმცა ადგილობრივი კომპანიები ირწმუნებიან, რომ ქვეყნის წიაღში უზარმაზარი რაოდენობის მარაგი ინახება. ჯუმა ამბობს, რომ საუდის არაბეთი წიაღის დიდი ნაწილი გამოკვლეული არაა და ვარაუდობს, რომ 25-30 წელიწადში საუდეთში დაახლოებით 200 მილიარდი ბარელი ნავთობის შემცველი ახალი საბადოები გაიხსნება.

ამასთან, ის ირწმუნება, რომ მომდევნო დეკადის განმავლობაში, მისი კომპანიის დაზვერილი მარაგები კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი საბადოების შემცველობა წინა, ათვისებულისაზე მეტი უნდა იყოს. "ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ ჩვენ ყოველწლიურად ვახერხებთ ახალი საბადოების გახსნას, რომელთა შემცველობაც ჩვენს მიერ მოპოვებული ნავთობის რაოდენობაზე მეტია," - ამბობს ჯუმა.

### აღმოჩენა მექსიკის ყურეში

ახლახან სამმა ნავთობკომპანიამ, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი "შევრონია", მექსიკის ყურის შელფზე, ზღვის ფსკერიდან დაახლოებით 8,5 კილომეტრის სიღრმეზე, აღმოაჩინა ნავთობის უზარმაზარი აუზი, რომლის მოცულობაც, წინასწარი გათვლებით, 3-15 მილიარდი ბარელის (სანავთობე ბარელი დაახლოებით 159 ლიტრია) ფარგლებშია.

ეს აშშ-ში ყველაზე დიდი აღმოჩენილი რეზერვუარია მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მენავთობეებმა გახსნეს შტატ ალიასკას პრუდო ბეის ნავთობსაბადო. ესოდენ დიდი საბადოს აღმოჩენის მიუხედავად, ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ უცხოურ ნავთობზე აშშ-ს დამოკიდებულება მაინც არ ჩამოსცდება 50-პროცენტიან ზღვარს.

ცნობისათვის, აშშ-ს მიერ წლიურად მოხმარებული ნედლი ნავთობის რაოდენობა 5,7 მილიარდ ბარელს აღწევს. ამასთან, აშშ-ს მარაგი 29 მილიარდ ბარელს შეადგენს. შედარებისთვის, საუდის არაბეთის არსებული დაზვერილი მარაგი 250 მილიარდი ბარელია.

ახალაღმოჩენილი ნავთობაუზის ათვისების უფლება სამ კომპანიას ეკუთვნის. მათგან ყველაზე დიდ, 50%-პროცენტიან წილს "შევრონი" ფლობს, დარჩენილი წილის ნახევარ-ნახევარი კი ნორვეგიული "სტატოილისა" და ამერიკული "დევონ ენერჯის" კუთვნილებაა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ახალი საბადოების ათვისება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, საბადო ახალი ორლეანიდან (შტატი ლუიზიანა) სამხრეთ-დასავლეთით, 270 მილზე (დაახლოებით 432 კილომეტრი) მდებარეობს. შუა ზღვაში ნავთობის მომპოვებელი პლატფორმის მშენებლობა კი, განსაკუთრებით ისეთისა, რომელიც დიდ სიღრმეზე მოიპოვებს ნედლეულს, ძალიან ძვირი ჯდება. მომპოვებელი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად, კომპანიებს რამდენიმე წელი და მილიარდობით დოლარი დასჭირდებათ. სავარაუდოა, რომ ისინი მოპოვების მაქსიმალურ ტემპებს 2010 წელს მიაღწევენ.

გარდა ამისა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მალე მექსიკის ყურეშივე, ახალ საბადოებს გახსნიან "ბრიტიშ პეტროლეუმი", "ექსონ მობილი" და "ანადარკო".

### საბადო მდინარე ობის ნაპირზე

ახალი საბადოა აღმოჩენილი რუსეთში, ტომსკის ოლქში, მდინარე ობის მარჯვენა სანაპიროს რაიონში, რომელიც ადრე ნავთობის მხრივ ღარიბ რაიონად იყო მიჩნეული. გეოლოგების შეფასებით, ამ საბადოს პოტენციური მარაგი 600 მილიონიდან 1 მილიარდ ტონამდეა. როგორც წესი, ამ რაოდენობიდან გაცილებით ნაკლების მოპოვება იქნება შესაძლებელი, თუმცა ობის მარჯვენა ნაპირის რაიონში აღმოჩენილი ნავთობის მარაგი მაინც ძალიან შთამბეჭდავია.

ცნობისათვის, "ბრიტიშ პეტროლეუმის" შეფასებით, რუსეთში დაზვერილი ნავთობის საერთო მარაგი 10,2 მილიარდ ტონას შეადგენს, რაც მსოფლიო მარაგის დაახლოებით 6,2% პროცენტია.

ტომსკის ოლქში ნავთობის მოპოვება, უკვე 40 წელია, სწარმოებს. თუმცა აქამდე ითვლებოდა, რომ ნავთობს არ შეიცავდა მარჯვენა სანაპიროს წიაღი. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროს, იქ საბადოების დიდი ნაწილი პრაქტიკულად ათვისებულია და ნავთობის მარაგი ილევა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ 2006 წლის პირველ ნახევარში იქ 4,7 მილიონი ტონა ნავთობია მოპოვებული, ეს კი შარშან, იმავე პერიოდში მოპოვებულ ნავთობთან შედარებით, დაახლოებით 20%-ით ნაკლებია.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ზედიზედ რამდენიმე სესიის განმავლობაში კლების შემდეგ ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა სამშენებლო სექტორში სიტუაციის გაუმჯობესებამ და აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებზე ფასების ზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. გარდა ამისა, ნავთობის გაძვირებამ ნავთობკომპანიათა აქციების ზრდა გამოიწვია. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,48 პროცენტით, 11.631,76 პუნქტამდე გაიზარდა. 0,27 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.255,15 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,39 პროცენტით, 1.331,55 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიმატა, ბუნებრივი აირი კი ოთხწლიან მინიმუმამდე გაიაფდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,31 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 61,17 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, იგი თითქმის ოთხწლიან მინიმუმამდე გაიაფდა. კერძოდ, 1 მილიონი ბრიტანული თერმული ერთეული (1 ბრიტანული თერმული ერთეული 1055,06 ჯოულს შეესაბამება) 4,32 დოლარი ღირდა, რაც 2002 წლის დეკემბრის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

"შავი ოქროს" გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი წმინდა ტექნიკური ფაქტორი გახლავთ, რადგან, გუშინწინდელი გაიაფების შემდეგ, როცა ნავთობის ღირებულება 60 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ჩამოსცდა, შესყიდვებისადმი ინტერესმა იმატა. გარდა ამისა, ბაზარზე გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ ნავთობის ეგზომ მნიშვნელოვანი გაიაფების შემდეგ, როცა გუშინწინ "ოპეკის კალათის" ფასი პირველად შვიდნახევარი კვირის განმავლობაში 55 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა და 54,92 დოლარი/ბარელი შეადგინა, შესაძლოა, კარტელის წევრმა ქვეყნებმა "შავი ოქროს" მოპოვების შემცირების გადაწყვეტილება მიიღონ. მართალია, ოპეკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით, ამგვარი ზომების მიღებას არ აპირებენ, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ ნავთობის ფასი 60 დოლარი/ბარელს ქვემოთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა, საგანგებო სხდომის მოწვევის საკითხს განიხილავენ.

## ოქრო და ვერცხლი გაძვირდა, პლატინა და პალადიუმი გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროსა და ვერცხლის ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 596,6 დოლარი ღირდა, ვერცხლის ფასმა კი 11,33 დოლარი/უნცია შეადგინა. რაც შეეხება პლატინას და პალადიუმს, მათმა ფასმა მოიკლო. კერძოდ, 1 უნცია პლატინა 1133,2 დოლარი ღირდა, რაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. პალადიუმი კი 317,2 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროს გაძვირება ნავთობის ფასის ზრდამ და დოლარის კურსის მცირედ გამყარებამ განაპირობა. ამავე ფაქტორებმა და ოქროს გაძვირებამ გამოიწვია ვერცხლის ფასის მომატება. პლატინისა და პალადიუმის გაიაფების მიზეზი კი მოგების ფიქსაცია და შესყიდვებისადმი ინტერესის კლება გახლდათ.

## Vivendi უმსხვილეს პოლონურ ოპერატორს ყიდულობს

ფრანგული მედია-გიგანტი Vivendi SA აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის, პოლონური PTC-ის აქციების 49 პროცენტის შეძენას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარიგების ღირებულება 2,5 მილიარდ ევროს (3,2 მილიარდი დოლარი) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ Vivendi პოლონური კომპანიის აქციების 51 პროცენტს ჰოლდინგური კომპანიის მეშვეობით უკვე აკონტროლებს, დარჩენილი აქციების შეძენას კი გერმანული Deutche Telekom-ისაგან აპირებს. გასულ წელს პოლონური PTC-ის შემოსავალმა 346,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. კომპანია დაახლოებით 10 მილიონ აბონენტს ემსახურება, რაც პოლონური მობილური კავშირგაბმულობის ბაზრის 35,1 პროცენტი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ Vivendi-მ, რომელსაც ხმისჩამწერი კომპანია Universal Music Group უკეთვნის, რამდენიმე დღის წინ არანაკლებ ხმაურიანი გარიგების შესახებ განაცხადა. კერძოდ, ფრანგულმა კომპანიამ გერმანული Bertelsmann AG-სგან მსოფლიოში უმსხვილესი დამოუკიდებელი მუსიკალური გამომცემლობა BMG Music Publishing 2,1 მილიარდ დოლარად შეიძინა.

## ათწლეულის ბოლოს ინდოეთი შიდა პროდუქტის ზრდის მიხედვით მსოფლიო ლიდერი გახდება

ამერიკული საკონსულტაციო ფირმა Boston Consulting Group-ის მონაცემებით, 2010 წლისათვის ქვეყნის შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილს ინდოეთი დაიკავებს. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, 2010 წელს ეს მონაცემი ინდოეთში 13,3 პროცენტს მიაღწევს, მაშინ, როცა მსოფლიოში საშუალო მაჩვენებელი 5,6

პროცენტი იქნება. შეგახსენებთ, რომ 2000-2005 წლების პერიოდში შიდა პროდუქტის ზრდის მიხედვით მსოფლიო ლიდერი ჩინეთი იყო.

ამერიკული ფირმის ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეგზომ შთამბეჭდავ ზრდას ინდოეთი ინფორმაციული ტექნოლოგიის, საფეიქრო წარმოებისა და ფარმაცევტიკის განვითარების წყალობით მიაღწევს. ამასთან, Boston Consulting Group-ი აღნიშნავს, რომ ინდოეთში, ისევე, როგორც ჩინეთში ყველაზე სწრაფად იზრდება მილიონერთა რიცხვი. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ინდოეთი მსოფლიოში მეთვრამეტე ადგილზეა.

## საქართველოს რეგიონებში გაზსადენის რეაბილიტაცია იწყება

ლიკა ჯოხაძე



ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას იწყებს. "ემ-სი-ჯიმ" აზერბაიჯანული კომპანია "ხაზარდენიზნეფტეგაზტიკინტი"-სგან 5 კილომეტრის სიგრძის მილი 4,68 მილიონ დოლარად შეისყიდა, რომლებიც პირველ რიგში, ექვსი ყველაზე კრიტიკული და სახიფათო მონაკვეთის რეაბილიტაციას მოხმარდება.

ფონდ "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის ლაშა შანიძის თქმით, ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის მდგომარეობა კატასტროფულია და დაუყოვნებლივ შეკეთებას საჭიროებს. ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების შედეგად "ემ-სი-ჯი" სარეაბილიტაციო პროექტს, პირველ რიგში მდინარე არყალას გადასასვლელთან, მინესოსა და ნანიანის მეწყერზე, ზოტიკაანთკარის მდინარის მონაკვეთზე განახორციელებს.

"ენერგოსექტორის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მთავრი პრიორიტეტი გახლავთ, რომელიც საქართველოს მთავრობამ კორპორაცია მილენიუმის წინაშე დააყენა. მოგახსენებთ, გაზსადენი, კონკრეტულად კი ჩრდილო-სამხრეთ მაგისტრალი 15-20 წელია არ შეკეთებულა და ბუნებრივია, რომ მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. "ემ-სი-ჯიმ" კი საქართველოს ენერგომომარაგების სტაბილურობის გაზრდის მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 44,5 მილიონი დოლარი გამოყო.

"ჩვენ დღეს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული აზებაიჯანული კომპანიისგან მილები შევიძინეთ და თანამშრომლობის ხელშეკრულება გავაფორმეთ. ასე, რომ ზამთარს საქართველოს ზემოთ დასახელებული რეგიონებში რეაბილიტირებული გაზსადენი მომზადებული შეხვდება."-აცხადებს ლაშა შანიძე.

კომპანია, რომელიც სარემონტო სამუშაოებს ჩაატარებს, ჯერ არ გამოვლენილა. ტენდერში უკრაინული, აზერბაიჯანული და ქართული კომპანიები იღებენ მონაწილეობას. ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, შერჩევის კრიტერიუმები ძალიან მკაცრია. "განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამა თუ იმ კომპანიის სამშენებლო გამოცდილებას და პროფესიონალიზმს. უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში კი ჩვენ გამარჯვებულ კომპანიას გამოვავლენთ. სარემონტო სამუშაოები ოქტომბრიდან დაიწყება და ნოემბერ-დეკემბრისთვის უკვე დასრულდება,"- აცხადებს ლაშა შანიძე.

44,5 მილიონი დოლარის გარდა "ემ-სი-ჯიმ" კიდევ 5 მილიონ დოლარი გამოყო, რომელიც საქართცელოს ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმების დაფინანსებას მოხმარდება.

## "საქართველოს რკინიგზა" კახელების მიმართვას ელის

"საქართველოს რკინიგზა" კახელი მოსახლეობის მოთხოვნას ელოდება, რათა მგზავრთა გადაადგილება უფრო ეფექტური გახდეს და მატარებლების მიმოსვლაც გახშირდეს. როგორც "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, დღეისათვის მოსახლეობა გადაადგილებისათვის უპირატესობას სამარშრუტო ტრანსპორტს ანიჭებს. თუკი კახეთის მოსახლეობა მოითხოვს, რკინიგზაც მათ სურვილს დააკმაყოფილებს და ეშელონების რაოდენობასაც გაზრდის.

როგორც "საქართველოს რკინიგზაში" განაცხადეს, კახეთის მხარის სარკინიგზო მაგისტრალი დღეისათვის მუშა მდგომარეობაშია, თუმცა ამ ეტაპზე გარკვეული შესწავლითი სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების ჩატარება აუცილებელია იმის გასარკვევად, მომავალი წლიდან გზის რომელ მონაკვეთზე მოხდება ლიანდაგების რეაბილიტაცია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 26/09 | 27/09 | 28/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 23 | 24 |
| რიგა | 22 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 20 | 17 | 19 |
| მოსკოვი | 19 | 16 | 14 |
| მინსკი | 21 | 20 | 20 |
| პარიზი | 18 | 20 | 19 |
| რომი | 21 | 18 | 23 |
| ლონდონი | 21 | 21 | 19 |
| მადრიდი | 25 | 28 | 25 |
| ბონი | 18 | 19 | 18 |
| ვარშავა | 23 | 23 | 23 |
| ათენი | 22 | 24 | 25 |
| ბერნი | 17 | 20 | 22 |
| ამსტერდამი | 17 | 18 | 18 |
| ოსლო | 18 | 18 | 16 |
| ანკარა | 26 | 26 | 26 |
| ვარნა | 23 | 20 | 23 |
| დელი | 39 | 38 | 39 |
| ტოკიო | 23 | 26 | 27 |
| კოპენჰაგენი | 18 | 16 | 13 |
| ბაქო | 26 | 26 | 23 |
| ერევანი | 28 | 28 | 27 |
| ასტანა | 5 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 14 | 17 | 13 |
| დუბლინი | 16 | 15 | 13 |
| ლისაბონი | 28 | 26 | 23 |
| პრაღა | 24 | 24 | 26 |
| სოფია | 18 | 22 | 20 |
| ბუდაპეშტი | 24 | 21 | 21 |
| ბუხარესტი | 23 | 22 | 20 |

# ტელეკომუნიკაციის ბაზარი

პირველი გვერდიდან

ყოფილი "ელექტროკავშირის", ახლა უკვე "გაერთიანებული ტელეკომის" ქსელი ფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას და მოიცავს კოაქსილურ და სიმეტრიულ კაბელს (7142 მ), საჰაერო კაბელს (340კმ) და მიკროტალღურ ხაზებს (823კმ).

კომპანია აკონტროლებს ადგილობრივი ქსელის 70 პროცენტს და ემსახურება ადგილობრივი ზარების 72 პროცენტს;

თბილისის მასშტაბით 200 000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს და მოიცავს 24 ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს (146კმ), რომელიც აკავშირებს თბილისში არსებულ ყველა ქვესადგურს;

თბილისში არსებული ხაზების 60 პროცენტი თანამედროვეა, რომელიც 166 000 ხაზს ემსახურება;

კომპანია ფლობს თბილისის ქსელის 89 პროცენტს, ხოლო ქვეყნის ქსელის - 79 პროცენტს; მას 350 000 აბონენტი ჰყავს.

2005 წლის მონაცემებით, კომპანიის წლიური ბრუნვა იყო 62 მილიონი ლარი.

ბაზარზე UTG-ის და "ახალი ქსელების" წილი ასე იყოფა:

ადგილობრივი ზარები: "გაერთიანებული ტელეკომი" - 72 პროცენტი; შპს "ახალი ქსელები" - 24 პროცენტი; სხვები - 4 პროცენტი;

შემომავალი საერთაშორისო ზარები: "გაერთიანებული ტელეკომი" - 28 პროცენტი; შპს "ახალი ქსელები" - 25 პროცენტი; ჯეოსელი - 19 პროცენტი; მაგთი - 26 პროცენტი; სხვები - 8 პროცენტი.

გამავალი საერთაშორისო ზარები: "გაერთიანებული ტელეკომი" - 10 პროცენტი; სხვები - 90 პროცენტი.

1996 წელს დაფუძნებულ "ახალ ქსელებს" დღეს 150 000 აბონენტი ჰყავს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზაციისათვის "ახალმა ქსელებმა" დააფუძნა "ახტელი", რომლის სრული საკონტროლო პაკეტის მფლობელიც თავად არის. "ახალი ქსელების" და "ახტელის" სადგურების საერთო რაოდენობა შეადგენს 160165 ნომერს. ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიას ბიუჯეტში შეტანილი აქვს დაახლოებით 10 000 000 ლარი.

2005 წლიდან "ახალი ქსელები" გაერთიანებულია ჯგუფში, სადაც შედის ისეთი კომპანიები, როგორიცაა: "ეგრისი", "ახტელი", "ფოპტნეტი", "ტელმშენი", "ჯიტისი", "სიჯისი", "ივერია ქსელი", "დეენემ კომუნიკაცია".

წუთობრივი გადასახადი - 1 წთ დღის საათებში 0,02 ლ ღირს, 1 წთ ღამის საათებში - 0,01 ლ. ყოველთვიური უფასო სალიმიტო დრო - 300 წუთია.

ყოველთვიური გადასახადი - 2 ლარი, ალტერნატიული ტარიფი - ყოველთვიური გადასახადი 4 ლარი.

წუთობრივი ტარიფი არა აქვს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას და მის დაწესებას, კომპანიის დირექტორის მოადგილის ივა მარტიაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში არც აპირებენ. ქართულ-ყაზახური ჯგუფი "ბლექ სი ტელეკომ ჰოლდინგი" თითქმის განადგურებული სისტემის რეაბილიტაციისთვის 60 მილიონ დოლარს გაიღებს მომავალი ორი წლის განმავლობაში.

მარტიაშვილის თქმით, ახალ მფლობელებს კომპანიის სახით მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ - მოშლილი სტრუქტურა და ნახევრად დატაცებული ქონება, რის ხარჯზეც ხდებოდა ალტერნატიული კომპანიების შექმნა, რამაც, თავის მხრივ, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარი ძალიან დაანაწევრა. მიუხედავად ამისა, ახლად გაყიდულ კომპანიაში დღეს აცხადებენ, რომ მათი ამბიცია ბაზრის 70-პროცენტიანი წილის 80-90 პროცენტამდე გაზრდა და, რაც მთავარია, მთელი საქართველოს მასშტაბით კომუნიკაციების გამართვაა: "ფიქსირებული ტელეფონის მომსახურება საქართველოს ყველა ოჯახს გვინდა შევთავაზოთ, ეს იქნება დასახლებული პუნქტი ზემო სვანეთში, ფოთში, ბათუმში, თუ სხვაგან," - ამბობს ივა მარტიაშვილი.

ზემოთ ნახსენები 60 მილიონი დოლარი ახალი ციფრული სადგურების ინსტალირებას, საკაბელო ინფრასტრუქტურის განახლებას უნდა მოხმარდეს. დამატებით მომსახურებებში შევა ინტერნეტიც, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს დიდი ნაწილისათვის.

დღეს ყოფილი "ელექტროკავშირის" ქსელებით სარგებლობს ყველა სატელეკომუნიკაციო კომპანია, რადგან ის ერთადერთი მფლობელია საქართველოში არსებული საკანალიზაციო მეურნეობის. სხვადასხვა ოპერატორები იყენებენ მათ წყვილებს, სადგურებს, სადაც აპარატურას ამონტაჟებენ, ასევე მათ დენის წყაროს და ა.შ.

და მაინც, კომპანიაში ამბობენ, რომ ისინი მონოპოლისტები ბაზრის მხოლოდ გარკვეულ სეგმენტში არიან. მაგალითად, თბილისის რომელიმე უბანზე, ან ფოთში, მაგრამ ეს სურათი ყველგან ასეთი არ არის. თუნდაც, საერთაშორისო ოპერატორის თვალსაზრისით, "გაერთიანებულ ტელეკომს" ბაზრის 12 პროცენტი უკავია მხოლოდ, "8-16"-ის სახით.

ამ სახელმწიფო კომპანიის კერძო საკუთრებაში გადასვლის დღიდან გამოითქვა ვარაუდი, რომ მას, როგორც უდიდეს კომპანიას, ტარიფის დადგენაში ლომის წილი ექნებოდა, თუმცა დღეს ივა მარტიაშვილი ცალსახად ამბობს, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ტარიფის ზრდას არ აპირებენ: "ჩვენთან სააბონენტო გადასახადი ფიზიკური პირებისათვის 4 ლარია, იურიდიული პირებისთვის - 8 ლარი. წუთობრივი გადასახადი არ გვაქვს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ოპერატორთან, მაგალითად, "ახალ ქსელებთან" ხდება დარეკვა, არის გარკვეული მარჟა. იმასაც ვგეგმავთ, რომ დაკავშირება ფოთიდან თბილისში ან ქუთასიდან სხვა ქალაქში უფასოდ მოხდეს. ვაპირებთ შევქმნათ ერთიანი სატარიფო სისტემა, რაც გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე დღესაა," - აცხადებს ივა მარტიაშვილი.

თავისი მიზნები აქვს "ახალ ქსელებსაც." 2006 წლის ბოლოსათვის მას დასრულებული ექნება სააბონენტო, სახაზო და საკაბელო მეურნეობის მშენებლობა თავისივე სატელეფონო სადგურების მოქმედების ზონაში. ახალ საკაბელო ქსელებში მოხდება არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთა ჩართვა, ამან კი, კომპანიის განცხადებით, სრულიად უნდა გამორიცხოს მოძველებული საკაბელო ხაზების გამოყენება სატელეფონო მომსახურების გასაწევად.

ასეთია სატელეკომუნიკაციო ბაზრის მთავარი შტრიხები. მომავალი ორი წელი, როგორც ამბობენ, ამ ბაზარზეც გარდამტეხი იქნება. მომხმარებელი კი გადასახადს ხარისხიან მომსახურებაში გადაიხდის და ტელეფონში სხვისი დიალოგების მოსმენა აღარ მოუწევს.

## აზერბაიჯანული კომპანია საქართველოში ავტოგასამართ სადგურებს გახსნის

აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანია საქართველოში ავტოგასამართი სადგურების ქსელს გახსნის. კომპანიის განცხადებით, საქართველოში "SOCAR ენერჯი ჯორჯია" შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიაა. იგი ახალი კომპანიის დახმარებით საქართველოში განსახორციელებელ პროექტებში ინვესტიციების ჩადებას აპირებს.

აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიისთვის პრიორიტეტული მიმართულება საქართველოში ავტოგასამართი კომპლექსების შექმნაა.

"SOCAR ენერჯი ჯორჯია", თავის მხრივ, სხვა კომპანიებს დააფუძნებს. აზერბაიჯანული სახელმწიფო სანავთობო კომპანიის წარმომადგენლის თქმით, მომავალში ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა და შესყიდვა იგეგმება, სადაც კომპანია თავის ნავთობპროდუქტებს საკუთარი ბრენდით გაყიდის. **მედიანიუსი**

## საფონდო ბირჟაზე 406,975.70 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

2006 წლის 26 სექტემბერს გამართულ რიგით 74(659)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 14 კომპანიის აქციებიდან გარიგება დაიდო 6 კომპანიის აქციებზე - ამალთეა, საქმშენელექტრო, საქტრანსპრ.-მწვანე ოფისი, საქწყალპროექტი, საქართველოს ბანკი და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის.

გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 66, ჯამური მოცულობა - 188,518 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება - 406,975.70 ლარი.

2006 წლის 26 სექტემბერს საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირდა არასაბირჟო გარიგება სს "საქართველოს ბანკი": განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების ბეჭვდითი სიტყვის კომბინატის; გაერთიანებული ქართული ბანკის; თელასის; თბილაბრეშუმი-ცისარტყელას; ქარხანა ელექტროძრავას; სატვირთო სახმელეთო ტრანსპორტის; სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენისა" და ჩარხმშენის ფასიან ქაღალდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში წიდის გადასამუშავებელი ქარხანა ამუშავდება

საქართველოში პირველად ფეროშენადნობი ქარხნის მეტალის ნარჩენების - წიდის გადასამუშავებელი ქარხანა ამუშავდება.

დღეს, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" ქართულ-ნიდერლანდული ერთობლივი "შპს ეკომეტალი" და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ წიდის გადასამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

ქარხნის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება. ქარხანა განთავსდება ზესტაფონში და წიდის ეკოლოგიურად სუფთა, უნარჩენო წარმოებას შეუდგება. ქარხანაში გადამუშავებული შლაკი სამშენებლო და გზების სარეაბილიტაციო ნედლეულად იქნება გამოყენებული.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში "შპს ეკომეტალის" გენერალურმა დირექტორმა ომარ სამადაშვილმა განაცხადა, საქართველოში და დსთ-ს ქვეყნებში ამგვარი კომპანია არ არსებობს. საქართველოში ამ კომპანიას ანალოგი ჯერჯერობით არ ჰქონია.

მისი თქმით, კომპანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად მოახერხებს ფეროშენადნობი ქარხნის ნარჩენის გადამუშავებას და ეს პროექტი მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებისთვისაც.

ქარხანა უახლესი ტექნოლოგიებით იმუშავებს. პირველ ეტაპზე იქ 101 ადამიანის დასაქმება იგეგმება. ამ პროექტის ამუშავებისთვის ექვსი მილიონი ამერიკული დოლარია საჭირო, რომელსაც ინვესტიციის სახით უცხოელი პარტნიორები ჩადებენ.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ სოფო ახობაძემ განაცხადა, ამ პროექტის ამუშავება მნიშვნელოვნად შეამცირებს წიდის ნარჩენებით ზესტაფონის დაბინძურებას. მისივე თქმით, გარემოს დაცვის სამინისტრო მხარს უჭერს მიმდინარე პროექტის განხორციელებას, ვინაიდან ქარხანა წიდის მოპოვებას ორგანიზებულ ხასიათს მისცემს და მოსახლეობის დასაქმების კიდევ ერთ წყაროს შექმნის. **ინტერპრესნიუსი**

GALT & TAGGART SECURITIES — 25 სექტემბერი 2006

### საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 532,041 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 48,181,694 |

| 22-სექტემბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.740 | ▲ | 0.29% | 2.93% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 571.9 | ▼ | -2.03% | 62.02% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 503.8 | ▼ | -2.31% | 57.27% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




გაცვლითი კურსი GEL/US



სადეპოზიტო სერტიფიკატების საშ.შეწონილი, (%) & ემისიის მოცულობა (GEL'000)




სადეპოზიტო სერტიფიკატების დაფარვის კალენდარი

| ემისიის დღე | დაფარვის დღე | ვადიანობა | საშ.% | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| 18-სექ-06 | 16-ოქტ-06 | 28 დღე | 11.08% | 1,100 |
| 19-სექ-06 | 19-დეკ-06 | 91 დღე | [illegible] | [illegible] |
| 20-სექ-06 | 18-ოქტ-06 | 28 დღე | 11.73% | 600 |
| 21-სექ-06 | [illegible] | 91 დღე | [illegible] | [illegible] |
| 22-სექ-06 | 20-ოქტ-06 | 28 დღე | 11.96% | 1,600 |
| 25-სექ-06 | 23-ოქტ-06 | 28 დღე | [illegible] | [illegible] |
| სულ | | | | 5,612 |

| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 10,725 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 338,352 |

საფონდო და ობლიგაციების ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 2.31%-ით შემცირდა 503.8-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 532.0 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები საქართველოს ბანკის ობლიგაციასა და რვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო სამი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.94%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასი გაიზარდა 0.72%-ით) და ყაზბეგი (KAZB, გაყიდვა, ფასმა დაიკლო 28.57%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპ აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 66.15% მოდიოდა.

ეკონომიკა

**სააგენტო როიტერსის ინფორმაციით გაზის აღმოჩენამ საქართველოში კანარგოს აქციების ფასის ზრდა გამოიწვია.** ნავთობისდა გაზის მომპოვებელმა კომპანია კანარგომ (AMEX:CNR) აღმოაჩინა მნიშვნელოვანი რაოდენობით გაზი საკუთარ საბადოებზე აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ მანავში. კანარგოს კომპანია ფლობდა გარკვეულ მონაცემებს არსებულ საბადოსთან დაკავშირებით, მაგრამ ეჭვის ქვეშ აყენებდა მისი დამუშავების შესაძლებლობას. აღნიშნულმა აღმოჩენამ გამოიწვია კანარგოს აქციების 29%-იანი ზრდა $1.59-მდე ოსლოს (ნორვეგია) საფონდო ბირჟაზე.

"ეს ყოველივე იმედის მომცემია, მაგრამ კომპანია ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გარკვეულა, თუ რისი საბადო აღმოაჩინა, ნავთობისა თუ გაზის", განაცხადა ოსლოში ორიონის მთავარმა ანალიტიკოსმა სტიგ მაირსეტმა. მანავის საბადო მდებარეობს თბილისიდან აღმოსავლეთით 45 კმ-ში.

კანარგო წარმოადგენს დამოუკიდებელ ნავთობისა და გაზის მომპოვებელ და მწარმოებელ კომპანიას საქართველოსა და ყაზახეთში.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) 2006 წელს საქართველოში ეკონომიკის 7-8%-იან ზრდას ელის.** "ჩვენ გავეცანით საქართველოს მთავრობის პროგნოზს 10%-11%-იანი ეკონომიკური ზრდის შესახებ, მაგრამ ჩვენი მოლოდინი უფრო კონსერვატიულია და ეკონომიკის 7-8%-ით ზრდას ითვალისწინებს", განაცხადა სსფ-ს წარმომადგენელმა საქართველოში რობერტ კრისტიანსენმა.

აგვისტოში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ურჩია წლის ბოლომდე ინფლაციის ამჟამინდელი 14.5%-დან მინიმუმ 10%-მდე შემცირება. "ამჟამად საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური მხარდაჭერა პირველ რიგში ექსპორტის ზრდის ხარჯზე, რამეთუ ეს არის უპირველესი გზა უმუშევრობის და სიღარიბის დასაძლევად" განაცხადა კრისტიანსენმა.

ფულადი ბაზარი

**საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) სადეპოზიტო სერტიფიკატების (სს) პირველი 28-დღიანი აუქციონი გაიმართა.** აუქციონზე 1.1 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატები სამმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა 9.95%, მაქსიმალურმა 12.00%, ხოლო საშუალო შეწონილმა 11.08% შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკი აპირებს 1, 3 და 6 თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებას, რომლებიც ფაქტიურად აქამდე არსებულ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებს ჩაენაცვლება.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.29%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 10.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 3.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 5.1 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა.

GALT & TAGGART SECURITIES — 25 სექტემბერი 2006

### საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 73, 21სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 26 | 17.76 | 17.80 | 17.77 | 112.9 | 2,430 | 43,169 | 289,206,348 | - |
| UTC | 49 | 0.70 | 0.70 | 0.70 | 94.4 | 19,550 | 13,685 | 72,265,679 | ფლობა |
| KAZB | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 100.0 | 176 | 880 | 14,000,000 | გაყიდვა |
| SLAD | 1 | 0.96 | 0.96 | 0.96 | 860.0 | 13,240 | 12,710 | 1,261,248 | რეკ. გარეშე |
| BSK | 1 | 53.00 | 53.00 | 53.00 | 32.5 | 300 | 15,900 | 6,333,500 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 86,344 | | |

სესია No. 72, 19 სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 1 | 100.51 | 100.51 | 100.51 | 0.0 | 1,500 | 150,765 | | - |
| GEB | 32 | 17.60 | 17.74 | 17.67 | 111.7 | 14,770 | 260,910 | 287,578,392 | - |
| UTC | 40 | 0.70 | 0.71 | 0.70 | 94.4 | 47,585 | 33,321 | 72,265,679 | ფლობა |
| AMA | 4 | 1.00 | 1.01 | 1.00 | na | 209 | 210 | 585,680 | რეკ. გარეშე |
| STSP | 1 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 42 | 210 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| STLM | 6 | 0.50 | 0.50 | 0.50 | na | 562 | 281 | 43,512 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 445,697 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

18 სექტემბერი, 2006 – 22 სექტემბერი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.23 | 1.21 | 1.59 | 1.38 | 12.2 | 7,305,400 | 309.3 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.45 | 2.25 | 2.59 | 2.37 | -3.3 | 5,393,568 | 360.2 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.62 | 1.57 | 1.65 | 1.60 | -1.2 | 320,800 | 150.5 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ.იც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 17.77 | 0.94 | 112.88 | 21-სექ-06 | 304,079 | 289,206,348 | 17.4 | 63.4 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.70 | 0.72 | 94.44 | 21-სექ-06 | 47,006 | 72,265,679 | 9.4 | 8.5 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.4 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 29-ივნ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.7 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | -28.57 | 100.00 | 21-ივლ-06 | 880 | 14,000,000 | 42.7 | 7.5 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 351,965 | 608,840,854 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

18 სექტემბერი, 2006 – 22 სექტემბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 105 | 105 | 105 | - | 11.00 | 15 | 633 | 0.81 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | -21 | 1,007 | 0.11 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა   ყიდვა: 10%-20% ზრდა   ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა,   გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

## ინფოთეკა

### ოდესელი ვერელის 15 ქულა

პოლონეთის ქალაქ სოპოტში დაწყებულ ახალგაზრდა (20 წლის) მორაგბეთა ევროპის პირველობაზე ჩემპიონმა საქართველომ ორშაბათს, პირველ რაუნდში, რუსეთი 15:7 ძლია. მომავალ ბორჯღალოსანთაგან ხუთი ჯარიმა ოდესის კლუბში მოთამაშე ყოჩების აღზრდილმა, ვერელმა ლაშა მალაღურაძემ გაიტანა.

საქართველო ერთი ხანობა 12:0 იგებდა. რუსებმა ლელო ბოლოსღა შეიტანეს. ტურნირი ხუთ 4-გუნდა დივიზიონად, წრიული სისტემით იმართება. საქართველო ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ესპანეთს ეთამაშება, კვირას, 1 ოქტომბერს კი - რუმინეთს. ოგნივოს სტადიონზე თამაშები ჩვენი დროით დღის პირველ საათზე იწყება.

### ევროპული სამზადისი

ოქტომბრის დასაწყისში ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მატჩები გაიმართება. ზოგიერთი ნაკრების მწვრთნელმა უკვე თავისი გუნდის შემადგენლობაც დაასახელა.

**ხორვატია**

**მეკარეები:** სტიპე პლეტიკოშა, ვედრან რუნიე, მარინ შკენდერი

**მცველები:** დარიო შიმიჩი, გორან საბლიჩი, ანტონი სერიჩი, რობერტ კოვაჩი, იოსიპ შიმუნიჩი, ჰროვიე ვეიჩი, ვედრან გორულკა, დარიო კნეჟევიჩი

**ნახევარმცველები:** ნიკო კოვაჩი, იორკო ლეკო, მარკო ბაბიჩი, დარიო სრნა, მილან რაპაიჩი, ნიკო კრანჩარი, ლუკა მორდიჩი, დანიელ პრანიჩი

**თავდამსხმელები:** მლადენ პეტრიჩი, ივან კლასნიჩი, ივიცა ოლიჩი, ბოშკო ბალაბანი, ედუარდო და სილვა

**სლოვენია**

**მეკარეები:** ბორუთ მავრიჩი, სამირ ჰანდანოვიჩი

**მცველები:** ბოსტან სესარი, ფაბიან კიპოტი, ბრანკო ილიჩი, ბოჟან იოკიჩი, ალექსანდრ კნავსი, იგორ ლაზიჩი, მატეი მავრიჩი

**ნახევარმცველები:** მილენკო აჩიმოვიჩი, ნასტია ჩეხი, ანდრეი კომაჩი, რობერტ კორენი, გორან შუკალო, ანტონ სლოგარი,

**თავდამსხმელები:** ვალტერ ბირსა, მირან ბურგიჩი, კლემან ლავრიჩი, მილოვიე ნოვაკოვიჩი, ბორუტ სემლერი

**უელსი**

**მეკარეები:** პოლ ჯონსი, ჯეისონ ბრაუნი, ლუის პრაისი

**მცველები:** გარეტ ბეილი, ჯეიმს კოლინსი, დენი გაბიდონი, რიჩარდ დაფი, რობ ედვარდსი, ლევინ ნიატანგა, რობერტ პეიჯი, რაიან ვალენტე

**ნახევარმცველები:** მარკ ჯონსი, ენდრიუ კროფტი, სიმონ დევისი, კარლ ფლეტჩერი, ჯეისონ კუმასი, კარლ რობინსონი, ჯო ლედლი, დევიდ ვაუჰანი

**თავდამსხმელები:** კრეიგ ბელამი, დევიდ კოტერლი, რობერტ ირნშოუ, რაიან გიგზი, პოლ პერი

**ბოსნია**

**მეკარეები:** კენან ჰასაგიჩი, ალმირ ტოლია

**მცველები:** ჯემალ ბერბეროვიჩი, ემირ სპაჰიჩი, საშა პაპიჩი, ნილოსლავ მილენკოვიჩი, ბრანიმირ ბაიჩი, დარიო დამიანოვიჩი

**ნახევარმცველები:** ზლატან ბაირამოვიჩი, ვლადან გრუიჩი, ივიცა გრლიჩი, სერგეი ბარბარესი, მლადან ბარტლოვიჩი, მირკო ჰრგოვიჩი

**თავდამსხმელები:** ზვეზდან მისიმოვიჩი, ალენ სკორო

**რუსეთი**

**მეკარეები:** იგორ აკინფეევი, დმიტრი ბოროდინი, ვიაჩესლავ მოლოფეევი

**მცველები:** ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, სერგეი იგნაშევიჩი, დენის კოლოდინი, ალექსანდრ ანიუკოვი, ვადიმ ევსეევი

**ნახევარმცველები:** დინიარ ბილიალიატდინოვი, მარატ იზმაილოვი, დმიტრი ლოსკოვი, ევგენი ალდონინი, ვლადისლავ რადიმოვი, ალექსეი სმერტინი, იგორ სემშოვი, ეგორ ტიტოვი, იური ჟირკოვი

**თავდამსხმელები:** ანდრეი არშავინი, ალექსანდრ კერჟაკოვი, დმიტრი სიჩოვი, რომან პავლუჩენკო, პაველ პოგრებნიაკი, ივან საენკო

**დანია**

**მეკარეები:** იესპერ კრისტიანსენი, ტომას სორენსენი

**მცველები:** დანიელ აგერი, იან კრისტიანსენი, ლარს იაკობსენი, მარტინ ლაურსენი, მიხაელ გრავგაადი, ნიკლას იენსენი, ტომას ჰელვეგი

**ნახევარმცველები:** კრისტიან პოულსენი, კლაუს იენსენი, დანიელ იენსენი, რასმუს ვურცი, ტომას კალენბერგი

**თავდამსხმელები:** დენის რომედალი, იონ დალ ტომასონი, მარტინ იორგენსენი, ნიკლას ბენდტერი, პეტრ ლოვენკრანდსი

**ირლანდია**

**მეკარეები:** პადი კენი, უეინ ჰენდერსონი, ნიკ კოლანი

**მცველები:** ენდი ობრაიენი, რიჩარდ დანი, ჯონ ოში, სტივ ფინანი, შონ სტენდლერი, სტეფენ კარი, პოლ მაკშეინი

**ნახევარმცველები:** ჯონათან დუგლასი, სტივენ რიდი, კევინ კილბეინი, ეიდენ მაკგრეიდი, სტივენ ირლანდი, ლიამ მილერი, გრეჰემ კავანაჰი, ანდი რეიდი, დემიენ დაფი, ალან ობრაიენი

**თავდამსხმელები:** სტივენ ელიოტი, ალან ლი, რობი კინი, კევინ დოლი, კლინტონ მორისონი

**ლიტვა**

**მეკარეები:** ჟიდრუნას კარჩიმარსკასი, მინდაუგას მილანაუსკასი, საულიუს კლევინსკასი, ემესტას სეტკუსი

**მცველები:** მარიუს სტანკევიჩუსი, რონალდას ჯიკაუკტასი, ანდრეუს შკერლა, გერდიმანას პაულუსკასი, ტომას ჟვიჟდაუკტასი, იმანტას ზემლიკასი, ვიდას ალუნდერისი, მარიუს ზალიუკასი, არუნას კლიმავიკუსი, დარიუს ჟუტაუტასი, ნერიუს სასნაუსკასი

**ნახევარმცველები:** დევიდას ჩესნაუსკასი, დარიუს მიკელა, აიდას პრეიკსტაუტისი, სალიუს მიკოლიუნასი, ვიტალიუს კავალაუსკასი, მალტას სავენასი, ტომაშ ტამოსაუსკასი, მინდაუგას კალუნასი, აივარას ლაურიზასი, კესიუს ივასიკევიჩუსი, ლინას პილიბატისი, ენდრიუს გედგაუდასი

**თავდამსხმელები:** რობერტას პოშკუსი, ტომაშ დანილევიჩუსი, რიგარდას ბენიუსისი, ედგარას იანკაუსკასი, პოვილას ლუკსისი, ტომაშ რაძინევიჩუსი

# სამს ორი ბრინჯაო გამოაკლდა

გიგა გურასაშვილი

*ორშაბათს დაწყებული ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატი ფაქტობრივად დასრულებულია, თუ, რა თქმა უნდა, მძიმეწონოსანთა დღევანდელ ასპარეზობას არ ჩავთვლით. ჩემპიონატის მეორე დღე საქართველოს ნაკრებისთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სამჯერ იყვნენ მედალთან ახლოს და აქედან მხოლოდ ერთხელ გაუმართლათ. ერთადერთი, ვინც მედალი მოიპოვა, მანუჩარ კვირკველიაა (74 კგ) - მან ბრინჯაო მოიპოვა. ბადრი ხასაიამ (84 კგ) და რამაზ ნოზაძემ (96 კგ) კი უსახელოდ დაასრულეს ჩემპიონატი.*

შეჯიბრების პირველ დღეს, როდესაც დავით ბედინაძემ (60 კგ) ფინალში ამერიკელ ჯოზეფ უორენთან წააგო, ვწერდით, ამერიკელი ჩემპიონობას იმსახურებდაო. ბადრი ხასაიას (84 კგ) მიმართ მსაჯის აშკარა ანტიპათია რომ არა, ასეთი შესავალს არც გავაკეთებდი.

სამი შეხვედრის მოგების შემდეგ ხასაია ნახევარფინალში ეგვიპტელ მოჰამად აბდ ელ ფატაჰთან დამარცხდა. ქართველს ერთადერთ ნუგეშად ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა დარჩა. იგივე შეიძლება ითქვას ხასაიას შემდეგ მეტოქეზე, ათენის ოლიმპიური თამაშების რუს ჩემპიონ ალექსეი მიშინზე, რომელიც ქართველთან შეხვედრამდე იმავე ეგვიპტელთან მეოთხედფინალში დამარცხდა. ასე რომ, ეგვიპტელი ფინალს იმსახურებდა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ევროპის ოქროსა და ბრინჯაოს მედლების მფლობელმა ქართველმა ალექსეი მიშინთან მოგებული პირველი და წაგებული მეორე სეტის შემდეგ საქმე მესამე სეტამდე მიიყვანა. სწორედ აქ მოხდა ის, რამაც ქართველს მესამე ადგილი დააკარგვინა. მიშინმა ხასაიას მიმართ ფეხი გამოიყენა. ბავშვმაც კი იცის, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა მეტოქეზე უპირატესობის მოსაპოვებლად ფეხის გამოყენებას კრძალავს. მსაჯმა რუსის აკრძალულ მოძრაობაზე თვალი დახუჭა. ბრინჯაო მიშინს დარჩა. ასე რომ არ მომხდარიყო, კვარცხლბეკზე ხასაიას უხმობდნენ. ამ ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს მსაჯობით რუსების უკმაყოფილება - ალბათ იმიტომ, რომ რუსებს მსოფლიოს უძლიერესი ნაკრები ჰყავთ, ორი დღის განმავლობაში გათამაშებულ ექვს წონით კატეგორიაში ოქროს მედლის გარეშე დარჩნენ. რუსები იმას განიცდიან, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონმა ვარტერას სამურგაშევმა (74 კგ) პირველივე ორთაბრძოლა წააგო ბელორუსთან. ერთადერთი, ვინც მიშინისა და სამურგაშევის წაგებას კანონზომიერად მიიჩნევს, რუსეთის სპორტული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილია - ნაკრების ხელმძღვანელობას მათ ნაცვლად ჩინეთში ახალგაზრდა მოჭიდავეები უნდა წაეყვანა, ესენი კი უნდა დაესვენებინაო.



მანუჩარ კვირკველიამ მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ბრინჯაო დაისაკუთრა.

მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოსა და ოქროს მედალოსანმა რამაზ ნოზაძემ განაცხადა, 96 კგ წონითი კატეგორია დღეს უძლიერესია და მასში მოასპარეზე ყველა მოჭიდავეს კონკურენტებად მივიჩნევო.

ნოზაძისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ჩეხი მარეკ შვეცი, რომელმაც ქართველი ნახევარფინალში დაამარცხა და მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსს დააჯერა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ნოზაძეს თურქი ჰამზა ერლიქაიას სახით ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზისა და ევროპის შვიდგზის ჩემპიონი) მეტოქე ერგო. აღარაფერს ვამბობთ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების თითო ვერცხლზე. ერთადერთი, რაც თურქი ფალავნის ყულაბაში არ ჩხრიალებდა, ბრინჯაოს მედალი იყო. ერთი სიტყვით, თურქმა ნოზაძეს ბრინჯაო წაართვა. მართალი გითხრათ, ერლიქაია ნოზაძესთან გამარჯვებას იმსახურებდა. მანამდე რუსები ნოზაძეს გულშემატკივრობდნენ, რადგან თუ ქართველი ფინალში გააღწევდა, მის მიერ დამარცხებულ ასლანბეკ ხუშტოვს მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცემოდა. თუმცა, იმავე მამიაშვილის პროგნოზით, ქართველს ამის შანსი ნაკლებად ჰქონდა: "ვეჭვობ, ნოზაძემ დაამარცხოს შვედი ლიდბერგი, ეგვიპტელი გაბერი და, რაც მთავარია, ერლიქაიაო" (ნოზაძე ეგვიპტელის გარდა ორივეს შეხვდა. ჩეხ მარეკ შვეცთან დამარცხებამდე ქართველმა შვედი ჯიმი ლიდბერგი დაამარცხა, მერე კი, როდესაც შვეცთან წააგო, მესამე ადგილისთვის თურქთანაც დამარცხდა.-რედ.).

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონს და ბრინჯაოს მედლის, ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე ადგილების მფლობელ მანუჩარ კვირკველიას, მან მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ამერიკელი ტომას კურტის დანცლერი დაამარცხა.

დღეს მძიმე წონაში გათამაშდება მედლები და ქალებიც ჩაერთვებიან ასპარეზობაში, რაც ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მძიმე წონაში კი რევაზ ჭელიძე გვყავს.

# ტოპმიოლერის ოცდაშვიდი რჩეული

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც საწვრთნელ შეკრებაზე გერმანიაში გაემგზავრებიან. ჩვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშისთვის მოემზადება, რომელსაც 11 ოქტომბერს თბილისში გამართავს. "ხუთჯვაროსანთა" მეტოქე იქნება მსოფლიო ჩემპიონი იტალიის ეროვნული ნაკრები.

ტოპმიოლერმა ამ შეკრებისთვის გამოიძახა: **მეკარეები** - გიორგი ლომაია, გრიგოლ ჭანტურია, ნუკრი რევიშვილი; **მცველები** - კახა კალაძე, დავით კვირკველია, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა ალადაშვილი, გოგიტა გოგუა, მათე ღვინიანიძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით იმედაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი; **ნახევარმცველები** - ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ჯაბა კანკავა; **თავდამსხმელები** - მიხეილ აშვეთია, ალექსანდრე იაშვილი, ოთარ მარცვალაძე, შოთა არველაძე, ვასილ გიგიაძე, გიორგი დემეტრაძე, ირაკლი მოდებაძე.

გერმანიაში ჩვენი ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 5 ოქტომბერს ქალაქ როსტოკში საქართველოს B ნაკრები ბუნდესლიგის ბინადარს, ადგილობრივ "ჰანზას" გაეჯიბრება, ხოლო 7 ოქტომბერს იმავე ქალაქში მთავარი სპარინგმატჩი გაიმართება: საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე იქნება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები. სავარაუდოა, რომ კობიაშვილი, გოგუა და დემეტრაძე, რომლებიც დისკვალიფიცირებულები არიან და იტალიასთან ვერ ითამაშებენ, B ნაკრების ეგიდით "ჰანზასთან" მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

ჩვენი გუნდი სამშობლოში 8 ოქტომბერს დაბრუნდება და "სკუადრა აძურასთან" მატჩისთვის დიდ დიღომში მდებარე ბასა ღოლობერიძის სახელობის ეროვნული ნაკრები გუნდების ტექნიკურ ცენტრში გააგრძელებს მზადებას.

# ბრემენში კატალონიელ ვარსკვლავებს ელიან

გუშინ გამართული ჩემპიონთა ლიგის საკმაოდ საინტერესო მატჩების შემდეგ ჯგუფური ტურნირის მეორე ტური დღეს უნდა დასრულდეს. შედგება კიდევ რვა მატჩი და, თავადაც ხვდებით, რომ არანაკლებ საინტერესო, ვიდრე გუშინდელი.

**A ჯგუფი**

**ვერდერი - ბარსელონა**

**ლევსკი - ჩელსი**

ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჯგუფია. ლონდონელი "არისტოკრატები" ბულგარეთს ესტუმრებიან. "ბარსელონა" კი ბრემენში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში კატალონიური კლუბი ჯგუფურ ეტაპზე ორჯერ შეხვდა თომას შააფის გუნდს და იოლად ვერც ერთხელ ვერ მოიგო. იმის გათვალისწინებით, რომ "ვერდერმა" პირველ ტურში ლონდონში დათმო მატჩი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორთაბრძოლა საინტერესო იქნება. ამ წყვილში ფავორიტად "ბარსას" დასახელება ალბათ ნაადრევია. რაც შეეხება მეორე წყვილს, მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსის" ჯონ ტერი ვერ დაეხმარება და ვერც შევჩენკოა მთლად კარგ ფორმაში, წესით, მოურინიოს შეგირდებს მორიგი ორი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეთ. "ლევსკი" ხომ წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია.

**B ჯგუფი**

**სპარტაკი - სპორტინგი**

**ინტერი - ბაიერნი**

მილანურმა კლუბმა პირველ წრეში მოულოდნელი მარცხი იწვნია. ახლა მანჩინის გუნდს აუცილებლად სჭირდება სამი ქულის აღება. ეს კი გერმანული ფეხბურთის აღიარებულ გრანდთან ძალიან ძნელი იქნება. "ბაიერნი" მშვენიერ ფორმაშია და იტალიიდან, სულ მცირე, ქულის წამოღებას მაინც შეეცდება. "ინტერი" მეტოქეს სრული საბრძოლო შემადგენლობით დაუპირისპირდება. რაც შეეხება ფელიქს მაგათის გუნდს, საეჭვოა ჰარგრივზისა და პისაროს თამაში.



"ღამურები" იტალიელთა მასპინძლობისთვის ემზადებიან.

ჯგუფის მეორე მატჩში მოსკოვის "სპარტაკი" პორტუგალიურ "სპორტინგს" უმასპინძლებს. თეთრ-წითლებმა პირველი მატჩი მიუნხენში დათმეს და ალბათ ახლა შეეცდებიან ვითარების გამოსწორებას. მით უმეტეს, რომ რუსული გუნდი მეტოქეს საბრძოლო შემადგენლობით უმასპინძლებს.

**C ჯგუფი**

**ბორდო - პსვ**

**ლივერპული - გალათასარაი**

პირველი ტურის შემდეგ ამ ჯგუფში სრული თანაფარდობაა. ყველა გუნდს თითო ქულა აქვს, ბურთების გრაფაში კი ნულები წერია. მოკლედ, დღეს ჯგუფში პირველ გოლებს ველით. ცხადია, ჯგუფის ფავორიტი "ლივერპულია". მერსისაიდელებმა წლევანდელი სეზონი მთლად დამაჯერებლად ვერ დაიწყეს და გულშემატკივარი ბენიტესის გუნდისგან ახლა მაინც ელის კარგ თამაშს. ძნელია ფავორიტის გამოყოფა "ბორდოსა" და პსვ-ს შეხვედრაშიც. ფრანგებს საკუთარი მინდვრის უპირატესობა ექნებათ, ჰოლანდიელები კი ლიგის გამოცდილი მებრძოლები არიან.

**D ჯგუფი**

**შახტარი - ოლიმპიაკოსი**

**ვალენსია - რომა**

დიდ ინტერესს იწვევს მატჩი "მესტალიაზე", სადაც ესპანური "ვალენსია" იტალიურ "რომას" მიიღებს. "ღამურები" ბრწყინვალე ფორმაში არიან, რაზეც ესპანეთის ჩემპიონატიც მეტყველებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტოტის მსუბუქი ტრავმა აწუხებს. რაც შეეხება ჯგუფის მეორე მატჩს, დამარცხებული გუნდი შემდეგ ეტაპზე გასვლის ყოველგვარ შანსს დაკარგავს.

## მოკლედ

### ერიქსონი კარიერას გააგრძელებს

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ პენსიაზე გასვლას არ აპირებს და იმუშავებს ნებისმიერ ქვეყანაში, თუ ნორმალურ შეთავაზებას მიიღებს.

"თუ სამუშაო საინტერესო იქნა, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნიდან იქნება შემოთავაზება. რა თქმა უნდა, დადგება დღე, როდესაც ფეხბურთიდან წავალ, მაგრამ ჯერჯერობით პენსიაზე გასვლა ნაადრევად მიმაჩნია", - აცხადებს ერიქსონი.

### ანდრე აგასის არჩევანი

სულ რაღაც ერთი თვის წინ ანდრე აგასი "ფლეშინგ მედოუს" კორტებზე გამოდიოდა. ახლა კი სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ჩოგბურთელი დამსახურებულ პენსიაზეა. ანდრემ ჩოგბურთთან ურთიერთობა საერთოდ გაწყვიტა. ბევრს ეგონა, რომ იგი მწვრთნელობას მიჰყოფდა ხელს, ან რაიმე სხვა საჩოგბურთო საქმიანობით მოეკიდებოდა, მაგრამ ანდრემ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო.

აგასის და მის მეუღლეს შტეფი გრაფს დაარსებული აქვთ კომპანია, რომელმაც სოლიდური ინვესტიციები ჩადო საკურორტო ბიზნესში.

"ჩემი ცხოვრების ახალ თავს ვიწყებ. იმედია, ბიზნესი არანაკლებ წარმატებას მომიტანს, ვიდრე ჩოგბურთი", - აცხადებს ექსჩოგბურთელი.

### ბონდი დაითხოვეს

"ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან დაითხოვა გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე კევინ ბონდი, რომელიც ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი. ამის თაობაზე კლუბის წარმომადგენლები კომენტარს არ აკეთებენ.

### რუმინული მოტივაცია

თუ რუმინული გუნდი "სტიაუა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბარიერს გადალახავს, ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელებისგან მხოლოდ ფულად პრემიებს როდი მიიღებენ. "სტიაუას" მესვეურები ფეხბურთელებს ფეშენებელურ ვილებსაც უყიდიან. აღსანიშნავია, რომ ვილის სიდიდე იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ მატჩს გამართავს ესა თუ ის ფეხბურთელი ჯგუფურ ეტაპზე. კლუბის პრეზიდენტმა ფეხბურთელებს თითოეული მატჩის მოგებაზეც დაუწესა ფულადი პრემია. მაგალითად, თუ "სტიაუა" მადრიდის "რეალს" მოუგებს, თითოეულ ფეხბურთელს 40 ათას ევროს გადასცემენ.

### ზიდანი იტალიას სიყვარულში გამოუტყდა

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ ზინედინ ზიდანი იტალიაში ალბათ ბევრისთვის არასასიამოვნო პიროვნებად იქცა. შეიძლება თავად ზიდანსაც შესცვლოდა აზრი იტალიასა და იტალიელებზე. ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში ზუზუმ იტალიას სიყვარული აუხსნა.

"ეს არის ქვეყანა, რომელიც მე ძალიან მიყვარს. უსაზღვროდ მიყვარს იტალიელებიც. აპენინებზე უამრავი მეგობარი მყავს. ტურინში ხუთი დაუვიწყარი წელი გავატარე. მართალია, მერე წამოვედი, მაგრამ იტალიისადმი სიყვარული არ გამნელებია".

### საგანგებო კომისიის სხდომა

23 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეშვიდე ტურის მატჩი თბილისის "მერანსა" და საჩხერის "ჩიხურას" შორის.

თამაშის შემდეგ საჩხერის გუნდის წარმომადგენლებმა (მთავარი მწვრთნელის ხ. ქასრაშვილის გამოკლებით) უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მეორე ტაიმის შუაში მათ სასარგებლოდ მსაჯმა არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

სფფ-ის მსაჯებმა და დამკვირვებელთა განყოფილებამ ოპერატიულად მოიწვიეს საგანგებო კომისია, რომელმაც განიხილა მატჩის ვიდეოფირი.

კომისიამ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეროვნული კატეგორიის არბიტრმა მ. მაისურაძემ და სადავო მომენტთან ახლოს მყოფმა ფიფა-ს ასისტენტმა ზ. მენთეშაშვილმა მიიღეს სამართლიანი გადაწყვეტილება, როდესაც დანიშნეს საჯარიმო დარტყმა "მერანის" კარის მიმართულებით, რადგან ფირზე ნათლად გამოჩნდა, რომ თბილისური კლუბის ფეხბურთელმა ბურთზე ხელით საჯარიმოს გარეთ ითამაშა.

### არისტოკრატიული ფილმი

ლონდონის "ჩელსი" იქნება ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ფილმისა, რომელსაც ბოლივუდში გადაიღებენ (ინდური ჰოლივუდი). ფილმში ინდური კინოს ორი აღიარებული ვარსკვლავი ითამაშებს - აბხიშეკ ბაჩანი და პრიტი ზინტა. ფილმის დიდ ნაწილს ლონდონში გადაიღებენ. აღსანიშნავია, რომ კინოს ვარსკვლავები "ჩელსის" თავგადაკლული ფანები ყოფილან. მათ ძალიან ახარებთ ის ფაქტი, რომ ფილმის გადაღების დროს "ჩელსის" საწვრთნელ ბაზაზე მისვლის საშუალებაც ექნებათ.

### "ინტერს" ძველი ცოდვები გაუხსენეს

სკანდალურად ცნობილმა იტალიელმა არბიტრმა მასიმო დე სანქტისმა, რომელიც იტალიაში მომხდარი სკანდალის შემდეგ ფეხბურთს ოთხი წლით ჩამოაცილეს, ეტყობა, გადაწყვიტა იმ ერთადერთი გრანდის დაძირვა, რომელმაც მომხდარის შემდეგ არ იზარალა. პირიქით, სოლიდური მოგებაც ნახა. ალბათ ხვდებით - საუბარია მილანის "ინტერზე". ეს გუნდი ხომ საქმის გამოძიების შემდეგ იტალიის ჩემპიონად გამოცხადდა.

დე სანქტისის თქმით, 2002 წელს მას უთვალთვალებდნენ "ინტერის" ხელმძღვანელების მიერ დაქირავებული კერძო დეტექტივები. არადა, კლუბს ამის ოფიციალური უფლება არ ჰქონია. მილანური გრანდის დეტექტივები უთვალთვალებდნენ დე სანქტისს და მის სატელეფონო საუბრებსაც უსმენდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე სასამართლოს სანქცია გაცემული არ იყო.

### "იუვე" ფორვარდით ძლიერდება

ტურინის "იუვენტუსი" ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ შვეიცარიელი ფორვარდის იოჰან ფონლატნენის შეძენას გეგმავს. ამჟამად ეს ფეხბურთელი "ბრეშაში" თამაშობს. 20 წლის შვეიცარიელი თავის დროზე ვუნდერკინდადაც იყო შერაცხული, თუმცა ჯერჯერობით გაცემული ავანსები ვერ გაამართლა.

### მუსლინის რეკორდი

მას შემდეგ, რაც მოსკოვის "ლოკომოტივმა" ცსკას დამარცხება მოახერხა, რკინიგზელთა მწვრთნელმა სლავოლუბ მუსლინმა რუსეთში მოღვაწე უცხოელი მწვრთნელებისთვის ახალი რეკორდი დაამყარა. მუსლინის ხელმძღვანელობით "ლოკო" უკვე 17 მატჩში არ დამარცხებულა.

### შუმახერი ფრთხილობს

"ფერარის" პილოტი მიხაელ შუმახერი აცხადებს, რომ "რენოს" გუნდის შეუფასებლობა "ფერარის" საჯინიბოსთვის დამღუპველი იქნება.

"ტესტებზე კარგად ვიმუშავეთ, მაგრამ არ ღირს "რენოს" ჩამოწერა. რა თქმა უნდა, მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა ბოლო სამ რბოლაში ქულათა ის რაოდენობა დავაგროვოთ, რაც ჩემპიონის ტიტულს მოგვიტანს. თუმცა, ასეთივე განწყობით იქნებიან "რენოს" პილოტებიც. ასე რომ, ჩემპიონატის ფინიში უდავოდ საინტერესო იქნება", - აცხადებს მიხაელ შუმახერი.

### რიკელმე შესაძლოა დაბრუნდეს

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არგენტინაში მკაცრად აკრიტიკებდნენ ხუან რომან რიკელმეს. არგენტინელთა აზრით, ფეხბურთელმა მუნდიალზე ვერ შეასრულა ლიდერის ფუნქციები. გულშემატკივრებზე განაწყენებულმა რიკელმემ ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ხუან რომანმა მუნდიალის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებდა, თუმცა რამდენიმე დღის წინ აზრი შეიცვალა.

"ნაკრებიდან წასვლის საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. შესაძლოა კიდევ ვითამაშო, თუ, რა თქმა უნდა, მწვრთნელმა ნაკრებში გამომიძახა", - აცხადებს რიკელმე.

### კობი სეზონისთვის მზად იქნება

ამ ზაფხულს ლოს ანჯელეს "ლეიკერსის" ვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა აქტიურად იმოგზაურა. შეგახსენებთ, რომ აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა იგი მსოფლიო ჩემპიონატზე ტრავმის გამო არ წაიყვანა. ბრაიანტმაც დრო იხელთა და თავისუფალი დრო მოგზაურობას დაუთმო, ტრავმის მოშუშებაზე კი ბევრი არ უფიქრია. საკალათბურთო სეზონი მალე დაიწყება და კალიფორნიული გუნდის გულშემატკივარსაც ძალიან აიტერესებს შეძლებს თუ არა ბრაიანტი სეზონის დასაწყისში თამაშს.

"მუხლი თითქმის აღარ მტკივა, სეზონის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები, სანერვიულო არაფერია", - აცხადებს ბრაიანტი.

### შემონდი "ლეიკერსში" ითამაშებს

ერთ დროს საქართველოს ნაკრების კალათბურთელი შემონდ უილიამსი ევროპული ვოიაჟის შემდეგ ამერიკაში დაბრუნდა და კარიერას NBA-ში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ შემონდმა უკანასკნელი ევროპული სეზონი ესპანურ "ბარსელონაში" გაატარა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ვეტერანმა კალათბურთელმა ლოს ანჯელეს "ლეიკერსთან" გააფორმა კონტრაქტი.

### ჭორჭიული დანაკლისი

NBA-ს კლუბი "ატლანტა" ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (ამ გუნდში ზაზა ფაჩულია თამაშობს). ზაფხულში "ატლანტა" საგრძნობლად გაძლიერდა. "ჰოუკსში" გადავიდა 28 წლის შემტევი მცველი სპიდი კლექსტონი, რომელთანაც გუნდმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლექსტონს ოთხ სეზონში 25,5 მილიონ დოლარს უხდიან. სავარაუდოდ, კლექსტონი "ატლანტას" ძირითადი ხუთეულის კალათბურთელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორშაბათის ვარჯიშზე სერიოზული ტრავმა მიიღო და შესაძლოა სეზონის დასაწყისიც კი გაუცდეს.

### რაულისთვის ნაკრების კარი დაიხურა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა განაცხადა, რომ სანამ იგი სათავეში უდგას ესპანეთის ნაკრებს, რაული გუნდში არ ითამაშებს.

ძნელია იმის თქმა, თუ რით გაანაწყენა მადრიდის "რეალის" კაპიტანმა ვეტერანი მწვრთნელი, თუმცა ერთი რამ ფაქტია: არაგონესმა რაულისთვის ნაკრების კარი სამუდამოდ დახურა. შეგახსენებთ, რომ რაული ესპანეთის ნაკრების რეკორდსმენია. მას ნაკრების მაისურით 102 მატჩი აქვს გამართული (44 გოლი).

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 12 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის (მდებარე დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კილომეტრი) ლიფტის შეძენასა და მონტაჟის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ამოღებულ იქნეს საკვალიფიკაციო მონაცემების 2.1 და 2.2. პუნქტების ბოლო აბზაცები, კერძოდ: **"ტენდერში მონაწილე ფირმას საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში დამონტაჟებული უნდა ქონდეს მინიმუმ 20 ლიფტი"**.

**საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9-10 ოქტომბრის 17 საათამდე.**

**სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა იწარმოებს 2006 6 ოქტომბრის ჩათვლით.**

## ცვლილება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 11 აგვისტოს, გაზეთ "24 საათში" (N199) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხებოდა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისათვის საჭირო, 2 (ორი) ცალი კომბინირებული საგზაო მანქანის შესყიდვას:

მე - 9 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**ხელმოწერილი (იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სატენდერო წინადადების ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი ან აკრედიტივი, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით.**

*სატენდერო კომისია*

## განცხადება

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ ა.წ. 22 ივლისს ინფორმაციის დასამუშავებელი კომპიუტერული ტექნიკის, მათი ნაწილებისა და მოწყობილობების შესყიდვაზე გამოქვეყნებულ ღია ტენდერზე გამარჯვებულ ორგანიზაციასთან სს UGT-სთან 1 სექტემბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება.

## შესწორება

22 სექტემბრის გაზეთ "24 საათში" შპს "თბილქალაქგანათების" მიერ ფოლადის მილების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შევიდეს შესწორება:

**ფოლადის კონსტრუქციის გარეგანათების ბოძები - 300 ცალი.**

დანარჩენი როგორც ტექსტშია.

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება

2006 წლის 16 სექტემბრის N204 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატელიტური გადამცემის სიმძლავრის გამაძლიერებელი და მისი უწყვეტი კვების წყაროს შესყიდვა სატენდერო განცხადების ტექსტის მე-9 მუხლში მოხდა ცვლილება:

**დაფინანსების წყარო - ეკონომიკური საქმიანობა**

## განცხადება კონკურსის ფორმით ქონების გასხვისების შესახებ

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში "გამყიდველი") აცხადებს კონკურს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე.**

**გასაყიდი ქონება:**

ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა N68-ში მდებარე 1 720 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობა.

**გასაყიდი ქონების საწყისი ფასია 1 060 000 აშშ დოლარი დღგ-ს გარეშე, საიდანაც 1 720 კვ.მ. მიწის ღირებულებაა 1 008 000 აშშ დოლარი, ხოლო ერთსართულიანი დაუმთავრებელი შენობის ღირებულებაა 52 000 აშშ დოლარი.**

**განაცხადების მიღება**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა (შემდგომში "კონკურსანტი") განაცხადები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 სექტემბრიდან 2006 წლის 26 ოქტომბრის 18:00 საათამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები და საკონკურსო წინადადებები აღარ მიიღება.

განაცხადები და საკონკურსო წინადადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N68.

კონკურსის "რეგისტრატორი"
**ელენე ქავთარაძე**

საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 8 77 46 01 45
ფაქსი: 33 23 15

შენიშვნა: განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00-18:00 საათამდე.

**"ბეს" და კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის გადასახდელი თანხის გადახდა წარმოებს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:**

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები:
სს "ბანკი რესპუბლიკა"
ანგარიშის N 000 700 499
ბანკის კოდი: 220 101 757

კონკურსანტების წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 27 ოქტომბერს 18:00 საათზე ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N68-ში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხდომათა დარბაზში.

კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კონვერტების გახსნის დღიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

**საკონკურსო პირობები**

1. გასაყიდი ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხის დაფარვა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.
2. რვა მეტრი სიგანის ასფალტიანი სამანქანო გზის გაკეთება ჩიქოვანის ქუჩიდან ყოფილი "ტელეფილმების" შენობამდე. ხსენებული გზის გაკეთება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. გზის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს.
3. მყიდველი გასაყიდ ქონებასთან მისასვლელად ისარგებლებს მხოლოდ მეორე პუნქტში მითითებული გზის საშუალებით ჩიქოვანის ქუჩიდან.
4. ამ თავის მეორე პუნქტში მითითებული გასაკეთებელი გზა არ შედის გასაყიდი ობიექტის ფართში. გზის გაკეთების შემდეგ, მასზე გავრცელდება საერთო სარგებლობის უფლება და მისი გამოყენება შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი როგორც მყიდველისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე სხვა ნებისმიერი მესამე პირის მიერ.
5. გასაყიდ ობიექტზე არსებული საყრდენი კედელის გამაგრება.
6. გასაყიდი ობიექტის შემოსაზღვრა ღობით.
7. გასაყიდ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების იმგვარად წარმოება, რომ ამით ხელი არ შეეშალოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ნორმალური ფუნქციონირების განხორციელებაში.

*შენიშვნა:*

*1. კონკურსანტს შეუძლია გაეცნოს სავარაუდო გზის ესკიზს და საჭიროების შემთხვევაში გადაიღოს მისი ასლი.*

*2. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გზის გასაკეთებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა.*

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

**1.** კონკურსანტის მიერ შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის ვინაობა (იურდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება), საკონტაქტო მონაცემები, გასაყიდი ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
**2.** კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში რომელიც ილუქება მის მიერ;
**3.** "ბეს" გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ან იმავე ოდენობის თანხაზე გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს 2006 წლის 25 ნოემბრამდე.
**4.** კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისათვის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
**5.** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
**6.** ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსანტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
**7.** ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
**8.** კონკურსანტი იურიდიული პირის შემთხვევაში, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს:
   ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
   ბ) ყადაღის ცნობა გაცემული საჯარო რეესტრის მიერ;
   გ) ცნობა გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოების შესახებ სასამართლოდან;
   დ) ცნობა იმის შესახებ, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები**

საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური ფასის გადახდა.

**კონკურსის ჩატარების წესი**

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.
2. კონკურსში გამარჯვებულად ცხადება მონაწილე, რომლის წინადადებები აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს და კრიტერიუმებს და საზოგადოებრივი მაუწყებელს შესთავაზებს უკეთეს პირობებს.
3. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დადგენილ დღეს და საათზე იხსნება კონვერტები შემოსული წინადადებებით. დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება შესაბამისი აქტით.
4. კონკურსანტს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას.
5. საზოგადოებრივი მაუწყებელი იხილავს კონკურსანტების წინადადებებს მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.
6. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა რომელიმე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადების უპირატესობა დანარჩენ შემოთავაზებულ წინადადებებთან შედარებით, მაშინ, საზოგადოებრივი მაუწყებელს შეუძლია გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტების გახსნის დღესვე.
7. საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვს საუკეთესო წინადადების (წინადადებების) გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს გადაწყვეტილება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 6 სამუშაო დღის განმავლობაში.
8. თუ რამოდენიმე კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) საუკეთესო წინადადებები და შემდგომში აწარმოოს მათთან დადგენილი რიგითობის მიხედვით მოლაპარაკებები. ასეთ შემთხვევაში თითოეულ კონკურსანტთან მოლაპარაკების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს.
9. მოლაპარაკებების წარმოების შემდგომ ან კონკურსის ჩატარების წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოავლენს გამარჯვებულს, რომელთანაც გაფორმდება გასაყიდ ქონებაზე შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება.
10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით და რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   a) გასაყიდი ობიექტის დასახელებას;
   b) მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ;
   c) კონკურსში მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით;
   d) კონკურსში გამარჯვებულის დასახელებას;
   e) კონკურსის შედეგად დადგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ქონების გასაყიდ ფასს;
   f) კონკურსის შედეგად დადგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ვადები და განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობა.
11. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს. კონკურსში გამარჯვებულს კი ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.
12. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ:
   a) 2006 წლის 26 სექტემბრიდან 2006 წლის 26 ოქტომბრის 18.00 საათამდე არ იქნა შემოტანილი არც ერთი განაცხადი;
   b) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

**ხელშეკრულების გაფორმების წესი**

1. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით).
2. ხელშეკრულებაში სხვა პირობებთან ერთად აისახება მყიდველის ვალდებულება საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შესახებ, ასევე პირგასამტეხლო - აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.
3. სხვა მონაცემები კონკურსის და გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. გასაყიდი ობიექტის შეძენისას შეტანილი "ბე" მყიდველს ეთვლება ანგარიშსწორების დროს.
5. კონკურსანტების მიერ კონკურსის ორგანიზაციული ხარჯებისთვის გადახდილი 100 ლარი რჩება საზოგადოებრივ მაუწყებელს.
6. დანარჩენ მონაწილეებს "ბე" უბრუნდებათ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ მათი მოთხოვნის საფუძველზე 7 დღის განმავლობაში.
7. თუ კონკურსში გამარჯვებულის მიზეზით ამ თავის 1-ელ პუნქტში მითითებულ ვადაში არ გაფორმდა შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება, მის მიერ "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია ხსენებული თანხის გადახდა მოითხოვოს საბანკო გარანტიის გამცემისაგან.
8. მყიდველი ვალდებულია დაიცვას კონკურსის პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე ყოველ 3 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებრივ მაუწყებელს.
9. საკონკურსო პირობების სრულად შესრულებამდე მყიდველს საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება კონკურსის ფორმით გაცემული ქონება განკარგოს.
10. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება გასაყიდი ქონების საწყისი ფასის 0,05%-ის ოდენობით.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სს "აჭარგაზი" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოო საქონლის - თხევადი გაზის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავალი.

შესყიდვის ობიექტებია - თხევადი გაზი 400 ტონა (ერთ ლოტად). მიწოდების ადგილი ქ. ბათუმი, ფაღავას ქ. №11.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 31.12.2006 წ. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფაღავას ქ. №11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: სს აგროინვესტბანკი ბათუმის ფილიალი, კოდი - 220101738, ანგარიშის № 2863608, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 17 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფაღავას ქ. №11.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 ოქტომბრის 17 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ რუსუდან დუმბაძეს, ქ. ბათუმი, ფაღავას ქ. №11. ტელ.: 877 49-84-84, (+ 995 222) 5-35-00.

*სატენდერო კომისია*

## Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia Announcement

In the year 2006 the Government of Georgia has received a grant from the International Development Association (IDA) for a Georgian infrastructure Pre-Investment Facility (IPF). Under this Grant association of consulting companies "BONIFICA-RENARDET" (Italy and Switzerland) was awarded in ICB and prepared Preliminary design Environmental Impact Assessment and Resettlement Policy Framework study for reconstruction of the Agaiani-Sveneti section of (E-60) Highway. Reconstruction works on Agaiani-Sveneti section will be based on this study.

English and Georgian versions of the study carried out by "BONIFICA-RENARDET" will be available at the website of the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia www., Hard copies of the documents are available at the Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia or local authorities' offices of Agaiani, Igoeti and Sveneti

Address: Tbilisi, Gagarini street N29a

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს საქართველოს რკინიგზის კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს რვა ლოტად შპს "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

| ლოტი № | ობიექტის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 55 ერთეული | ქ. თბილისი |
| 2 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 13 ერთეული | ქ. ხაშური |
| | | უცხოური წარმოების | 1 ერთეული | |
| 3 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 21 ერთეული | |
| 4 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 24 ერთეული | ქ. სამტრედია |
| | | უცხოური წარმოების | 4 ერთეული | |
| 5 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 50 ერთეული | |
| 6 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 4 ერთეული | ქ. ბათუმი |
| | | უცხოური წარმოების | 4 ერთეული | |
| 7 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 7 ერთეული | |

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრენდენტი წარმოადგენს შესაბამის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წერილს, რის შემდგომაც მათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემათ დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **20 ოქტომბერს** 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირებისათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები.
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**4.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები.
ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**4.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;

**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა** წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ხარჯთაღრიცხვა (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში სამუშაოთა ყველა სახეობაზე.
3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51;

*სატენდერო კომისია*

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს მოწყობილობის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ელექტრო- და სალოკომოტივო მოწყობილობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიში 3407003205 (რკინიგზის საიდენტიფიკაციო კოდი - 202886010), და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავი | დიზელის უ1 დ 12-300 12-ცილინდრიანი 4-ტაქტიანი ცილინდრის დიამეტრი - 150მმ, დგუშის სვლა - 180/186, მაქსიმალური სიმძლავრე - 300 ცხ.ძ | ც | 1 |
| 2 | ძრავი | დიზელის У1Д6-250 კომპლექტში 6- ცილინდრიანი 4-ტაქტიანი მაქსიმალური ძალა 250 ცხ.ძ | ც | 2 |
| | ძრავი | დიზელის ძრავი ЯМЗ-238 | ც | 2 |
| | ძრავის თავი | უ-1 დ-6-250 6-ცილინდრიანი, 4-ტაქტიანი | ც | 1 |
| 3 | რადიატორი წყლის | კაბინის გამათბობელი 77.020-0.0000 | ც | 2 |
| | რადიატორი წყლის | დიზელის ძრავის 0866-1 | ც | 3 |
| 4 | სტარტერი | უ-1 დ-6-250 ძრავის მარცხენა ბრუნით სტ-721 | ც | 1 |
| 5 | დგუში | უ-1 დ-6-250 ძრავის 504-05-15 | ც | 6 |
| | რგოლი | უ-1 დ-6-250 ძრავის საზეთე 304-08-3 R-5 | ც | 12 |
| | რგოლი | უ-1 დ-6-250 ძრავის საკომპრესიო 304-08-3 R-5 | ც | 24 |
| | რეზინი | უ-1 დ-6-250 ძრავის ზედა 303-11 A | ც | 12 |
| | რეზინი | უ-1 დ-6-250 ძრავის ქვედა 303-12 | ც | 6 |
| | პილზი | უ-1 დ-6-250 ძრავის 150მმ 503-07-02 | ც | 6 |
| | ჭანჭიკი ქანჩით | კარდანული ღერძის 14/60 853025 | ც | 100 |
| | ჭანჭიკი ქანჩით | კომპრესორის კარდანული ღერძის 12/38 853025 | ც | 30 |
| | რეზინი | უ-1 დ-6-250 ძრავის თავის წყლის 303-10-2 | ც | 24 |
| | საფენი | უ-1 დ-6-250 ძრავის თავის ალუმინის 330308-1 | ც | 2 |
| 6 | ტურბოჰაერმბერი | TKP-14 | ც | 6 |
| 7 | ფილტრი | დიზელის 0,12 დ 41-14 | ც | 2 |
| | ფილტრი | ზეთის 0196.30.2402 | ც | 2 |
| | ჰაერის ფილტრი | დიზელის ძრავის [ციკლონი] | ც | 4 |
| | ფილტრი | ზეთის 101204012 | ც | 8 |
| | ფილტრი | ზეთის H-90 W-03 | ც | 15 |
| | ფილტრი | საწვავის 1105538 | ც | 5 |
| 8 | კომპრესორი | მარკა გგ0.8/8-720 | ც | 1 |
| 9 | კარდანი | კომპრესორის (ავტო მანქანა გაზ-52) | ც | 3 |
| | რემკომპლექტი | კომპრესორის BB0,8/8-720 | კომპ | 3 |
| | დოლი | კომპრესორის ამძრავი BB0,8/8-720 | ც | 1 |
| | ქურო | კომპრესორის მოჭიდების BB0,8/8-720 | ც | 1 |
| 10 | დისკი | ფრიქციული მექანიზმის 273X5 | ც | 48 |
| | ღერძი | ჰიდროგადამცემის აღმძვრელი 77.020-34-01-001 | ც | 4 |
| | ქურო | ჰიდროტრანსფორმატორის აღმძვრელ-გამთიშველი მთავარი გადამცემის დიამეტრით 535 მმ | ც | 3 |
| | ჩანგალი | ჰიდროგადაცემის გადამრთველი | ც | 6 |
| 11 | მანჟეტი | ზეთის 155X165 | ც | 59 |
| | მანჟეტი | ზეთის 50X60 | ც | 9 |
| | მანჟეტი | ზეთის 42X32 | ც | 24 |
| | მანჟეტი | ზეთის 115X125 | ც | 28 |
| | მანჟეტი | პნევმო 1-100-3 | ც | 20 |
| 12 | სარქველი | პნევმო (კლაპნები) ელექტრო ვვ-32 | ც | 36 |
| | აკუმულატორი | 6 CT-132 | ც | 16 |
| | რელე | აკუმულატორის დამტენი რრტ-32 | ც | 6 |
| | ტრანსფორმატორი | ბკტს. 91--4 | ც | 2 |
| | ელ.კონტაქტორი | ტკდ-601 | ც | 6 |
| | ავტომატი | ელ.მართვის აე-2006 100ა 660ვ | ც | 7 |
| | ტრანსფორმატორი | დაბალი ძაბვის ოსო-04უ3 | ც | 4 |
| | ვოლტმეტრი | ე-8023 450ვ 50გც | ც | 4 |
| | ამპერმეტრი | ე-8030 100ა 50გც | ც | 4 |
| | ვოლტამპერმეტრი | ვა-240 ША-240мпса | ც | 4 |
| 13 | სიხშირმზომი | B81 ГОСТ 7590-78 | ც | 4 |
| | კონტაქტორი | ელ.მაგნიტური უ-4-1რ 380ვ. | ც | 4 |
| | მაჩვენებელი | საწვავის რაოდენობის უბ-10 | ც | 4 |
| | მასის ელ.გამთიშველი | ГОСТ 3940-84 | ც | 4 |
| | ჩამრთველი | ТВ 1-2 ГОСТ НИ,0360,606 | ც | 40 |
| | მაჩვენებელი | მოტორსაათების 228 4П | ც | 4 |
| | ვენტილატორი | ვენტილატორი 24ვ. BA-4 ГОСТ 74,02-74 | ც | 2 |
| | ელ.ღილაკი | კმე 11-14 | ც | 60 |
| | მაჩვენებელი | ტემპერატურის 078 м | ც | 17 |
| | მაჩვენებელი | წნევის ГОСТ 2405-72 | ც | 16 |
| | ელ.კონტაქტორი | პმე-211 | ც | 4 |
| | ელექტროძრავი | 4კვტ 380ვ, AC-100 L 6y-2-350-750ბრ/წმ | ც | 2 |
| | ღვედი | 50კვტ გენერატორის ამძრავის 2240-A-12-82 | ც | 20 |
| | გვარლი | ფოლადის 5 მმ-იანი | მ | 60 |
| | გვარლი | ფოლადის 16 მმ.-იანი | მ | 130 |
| | ბაგირი | მოქნილი ფოლადის, ∅ 12მმ ---2688 | მ | 30 |
| | ბაგირი | მოქნილი ფოლადის, ∅ 15მმ ---2688 | მ | 30 |
| 14 | ტუმბო | მზნ-2 ТУОС-90 | ც | 3 |
| | ტუმბო | იმპულსური ჰიდრო გადამცემის | ც | 4 |
| | ტუმბო | ზეთის გნ-60 (ჰიდრავლიკური) | ც | 4 |
| | ტუმბო | ზეთის ნშ-50 (ჰიდრავლიკური) მარცხენა ბრუნით | ც | 3 |
| | სახელო | სამუხრუჭე (პნევმო) 720მმ დ-28 | ც | 8 |
| | ძრავი | მინის საწმენდი (პნევმო) 440-Д | ც | 6 |
| 15 | კარდანი (მოკლე) | გოგორწყვილის რედუქტორის 126 სმ | ც | 2 |
| | ხუნდი | სალოკომოტივო ქიმიანი (თუჯის) | ც | 16 |
| | კრესტავინა | გოგორწყვილის კარდანის 165X62 | ც | 20 |
| 16 | პარანიტი | 1მმ.-იანი | კგ | 15 |
| | პარანიტი | 2მმ.-იანი | კგ | 15 |
| | ჰერმეტიკი | წებო 85 გრ. ტევადობის შეფუთვით | ც | 94 |
| | ბაბთა | საიზოლაციო 18 X 50 X 90 | კგ | 25 |
| | ბაბთა | გაფისული 85მმ სიგანის | კგ | 10 |
| | სალესი ქვა | (პაბედიტის) 300X77X30 მმ | ც | 4 |
| | ღრუბელი | 50მმ.-იანი | $მ^2$ | 18 |
| | წებო | N 88 | კგ | 5 |
| | დერმატინი | 1200მმ განით | $მ^2$ | 25 |
| | კალა | სარჩილავი | კგ | 5 |
| | კანიფოლი | სარჩილავი | კგ | 0.5 |
| | საჭრელი ქვა | 150X3X22 მმ | ც | 20 |
| | ხერხის პირი | ლითონის საჭრელი | ც | 20 |
| 17 | მინა | სისქე 4მმ-იანი | $მ^2$ | 6 |
| | მინა | „ტრიპლექსი" (სხვადასხვა) | $მ^2$ | 45 |
| | რეზინა | მინის სამაგრი 6 X 2100 მმ | მ | 70 |
| 18 | ავტომობილის ფარები | ФГ-122B 24B ГОСТ 2023-75 | ც | 16 |
| | გაბარიტის მინები | ФП-101Г ГОСТ 2023-75 | ც | 16 |
| | ნათურა | სამკონტაქტიანი 24ვ. | ც | 25 |
| | ნათურა | ერთკონტაქტიანი 24ვ. | ც | 25 |
| | ნათურა | ერთკონტაქტიანი პატარა 24ვ. | ც | 70 |
| | პროჟექტორი | 77.020-14.00.010 | ც | 4 |
| | პროჟექტორი | ფარი (მაძებარი) | ც | 1 |
| 19 | ბუნიკი | ბუნიკი 3 მმ | ც | 45 |
| | ბუნიკი | ბუნიკი 5 მმ | ც | 85 |
| | ბუნიკი | ბუნიკი 8 მმ | ც | 85 |
| | ბუნიკი | ბუნიკი 10 მმ | ც | 45 |
| | ელ.გამტარი | პ-ვ 1.5 მმ ერთწვერა სპილენძისმრავ.ჟილიანი | მ | 200 |
| | ელ.გამტარი | პ-ვ 2,5 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 2000 |
| | ელ.გამტარი | პ-ვ 4 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 700 |
| | ელ.გამტარი | პ-ვ 6 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 400 |
| | ელ.გამტარი | 10 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 240 |
| | ელ.გამტარი | ელ.კაბელი 16 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 385 |
| | ელ.გამტარი | ელ.კაბელი 20 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 70 |
| | ელ.გამტარი | ელ.კაბელი 50 კვ.მმ.-იანი ერთწვერა მრავძარღვიანი სპილენძის | მ | 70 |
| 20 | საყვირი | ელექტრო 24ვ. C-313 | ც | 4 |
| | რადიოგადამცემი | 42-PTM-A2-4M | ც | 2 |
| | საყვირი | პნევმო (ავტომატრისისათვის) | ც | 8 |
| 21 | ქსოვილი | აზბესტის 1.36 მ სიგანის | მ2 | 20 |
| 22 | რედუქტორი | ისრის ДГК-06,16,000 | ც | 2 |
| | ტელფერი | ამწის 3.5ტ | ც | 2 |
| | კბილანა | ისრის რედუქტორის ДГК-06,16,000 | ც | 1 |
| | რედუქტორი კბილანით | სამონტაჟო ბაქნის ЧЕ-125 | ც | 2 |
| | გადამცემი კბილანა | სამონტაჟო ბაქნის რედუქტორის | ც | 2 |
| 23 | ქაღალდი | სიგანე 550 მმ | მ | 100 |
| | სკოჩი | (ქაღალდის) სიგანე 25 მმ | ც | 30 |
| | სკოჩი | (უბრალო) სიგანე 47 მმ | ც | 10 |
| | ფუნჯი | დიდი N3 | ც | 5 |
| | ფუნჯი | პატარა N1 | ც | 5 |
| | სარეცხი საშუალება | (ჟელე) | ც | 20 |
| 24 | შლანგი | ჰიდრავლიკის მაღალი წნევის 1000X30 მმ | ც | 8 |
| | დიურიტი | 21X10მმ. | მ | 3 |
| | დიურიტი | 35X20მმ. | მ | 3 |
| | დიურიტი | 32X42მმ. | მ | 4 |
| | ცალუღი | 14-20მმ. | ც | 25 |
| | ცალუღი | 20-50მმ. | ც | 25 |
| | შუასადები | ალუმინის და სპილენძის შუასადები 10-40 მმ | ც | 40 |
| 25 | საკეტი | კარების ДГК კაბინისათვის | ც | 4 |

მოწოდების პირობა და ადგილი - DDP, ქ. თბილისი.

მოწოდების ვადა - 2006 წლის IV კვარტალი.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **20 ოქტომბრის** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირისთვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში დღგ-ის გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ.: 56-33-51, 56-40-26.

*სატენდერო კომისია*

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება განმეორებითი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "სანდასუფთავება" აცხადებს განმეორებით ღია ტენდერს ტრანსპორტის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტებია:**
**ლოტი N1 ზილ -130 სათადარიგო ნაწილები**
1. სამაგრი ფუტორკა, "გაიკა" - 20 კომპლექტი.
2. "სტუპიცის" სალნიკი - 50 ცალი
3. სამუხრუჭე მილი - 50 ცალი
4. მუხრუჭის "ტრეშორკა" - 10 ცალი
5. საჭის კალონკის მაღალი წნევის მილი-10 ცალი
6. მაღალი წნევის მილი 27-იანი "ნაკანეჩნიკებით"-20 ცალი
7. მაღალი წნევის მილი 24-იანი "ნაკანეჩნიკებით"-30 ცალი
8. მაღალი წნევის მილი 32-იანი "ნაკანეჩნიკებით"-10 ცალი
9. მაღალი წნევის მილი 0.5მ-10 ცალი
10. მაღალი წნევის მილი 1მ-20 ცალი
11. ენჯა მარჯვენა - 10 ცალი
12. ენჯა მარცხენა- 10 ცალი
13. ცეპლენიის ფერადო-20 ცალი
14. "სტუპიცის საკისარი" (წინა უკანა)-10 კომპლექტი
15. საჭის "კალონკა", გამაძლიერებელი - 5 ცალი
16. "კრესტავინა" - 10 ცალი
17. ბენზინის ნასოსი - 5 ცალი
18. კარბურატორი 5 ცალი
19. მწყვეტარა გამანაწილებელი - 5 ცალი
20. ღვედი 1250 (ა) პროფილი - 10 ცალი
21. აკუმლატორი 100 ამპერიანი - 10 ცალი
22. დინამო - 5 ცალი
23. ფარის ნათურა 12 ვ - 50 ცალი
24. "პოდვესნო" საკისარი - 5 კომპლექტი

**მიწოდების ადგილი: ხელვაჩაურის რაიონი სოფელი ადლია**

**ლოტი N2 სუპერმაზის სათადარიგო ნაწილები**
1. მუხრუჭის ნაკლადკები - 5 კომპლექტი
2. მუხრუჭის "ნაკანეჩნიკების ზაპლოპკები" - 5 შეკვრა
3. ღვედი - 10 კომპლექტი
4. მუხრუჭის დიაფრაგმა 24-იანი - 20 ცალი
5. მუხრუჭის დიაფრაგმა 30-იანი - 20 ცალი
6. "ტრეშორკა" - 10 ცალი
7. "კრესტავინა" - 10 ცალი
8. სამუხრუჭე კრანის რემ.კომპლექტი - 10 ცალი
9. ხელის მუხრუჭის კრანის რემ.კომფლექტი - 10 ცალი
10. კარდანის ჭანჭიკი - 50 ცალი
11. დიზელის ფილტრი - 50 ცალი
12. ზეთის ფილტრი - 50 ცალი
13. ცეპლენიის ფერადო - 20 ცალი

**მიწოდების ადგილი : ხელვაჩაურის რაიონი სოფელი ადლია**

**ლოტი N3 ნაგავმზიდი მერსედესის სათადარიგო ნაწილები**
1. სამუხრუჭე "ნაკლატკა" - 5 კომპლექტი
2. ცეპლენიის "ნაკლატკა" - 5 კომპლექტი
3. ზეთის ფილტრი - 20 ცალი
4. რესორი - 8 ცალი

მიწოდების ადგილი: ხელვაჩაურის რაიონი სოფელი ადლია

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 27 სექტემბრის 10:00 საათიდან 2006 წლის 18 ოქტომბრის 17:30 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. N 46. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: სს ბანკი "რესპუბლიკას" ბათუმის ფილიალი, მფო 220101794, ა/ა 5000360200224, ს/კ 245548153

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 19 ოქტომბრის 10 საათიდან 20 ოქტომბრის 17:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. N 46

სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 20 ოქტომბრის 17:30 სთ-ზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**
1. ცნობას საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

**ფიზიკური პირისათვის:**
1. ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

**როგორც, იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**
ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოცუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შპს "სანდასუფთავების" აღმასრულებელ მენეჯერს რაულ კაკაბაძეს, ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. N 46, ტელ: 74824, 877 584040

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება

საქართველოს მთავრობამ 2006 წელს მსოფლიო ბანკისაგან მიიღო გრანტი "ინფრასტრუქტურის წინასაინვესტიციო პროექტისათვის". გრანტის ფარგლებში საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა იტალიური და შვეიცარული კომპანიების კონსორციუმმა "BONIFICA-RENARDET" მოამზადა E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ალაიანი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის "წინასაპროექტო გამოკვლევა, გარემოზე ზემოქმედების ანალიზი და განსახლების გეგმა". ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედება E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ალაიანი-სვენეთის მონაკვეთის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და განსახლების ღონისძიებების განხორციელებას.

დაინტერესებულ პირებს აღნიშნული დოკუმენტის ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე wgeoroad.ge ან მიიღონ ამ დოკუმენტების ასლები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ან ალაიანის, იგოეთისა და სვენეთის საკრებულოებში

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს*
*საავტომობილო გზების დეპარტამენტი*

მისამართი: თბილისი, გაგარინის 29ა

# ცვლილება

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 13 სექტემბერს, გაზეთ "24 საათში" (N201) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხებოდა**

**ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:**

ლოტი-1: ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 35-ე კმ.-ში (მდინარე ფშავის არაგვი) მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

ლოტი-2: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-17 კმ.-ზე ფერდიდან ქვების ჩამოსუფთავების პერიოდული შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: ამბროლაურის რაიონში, ჭრებალო-ნიკორწმინდის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე დაზიანებული მიწის ვაკისის და სავალი ნაწილის აღდგენითი სამუშაოები;

ლოტი-4: ლანჩხუთის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის სოფელ ღვინვალაში მისასვლელი საავტომობილო გზის პირველ კილომეტრზე მიწის ვაკისის აღდგენითი სამუშაოები.

ლოტი-5: ქუთაისი-გეგუთი-საყულია-იანეთის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.20 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-6: ოზურგეთი-ლესას საავტომობილო გზის 24-ე კმ.-ში ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები

აღნიშნულ შესყიდვაზე, ოზურეგეთი-ლესას (მე-6 ლოტი) ს/გზის 24-ე კმ-ში ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოების წარმოებისათვის ვერ ხერხდება ტერიტორიის გამოყოფა, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სამუშაოების დაწყებას დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ ვადებში. აქედან გამომდინარე დეპარტამენტი მიზანშეწონილად თვლის ზემოაღნიშნული სამუშაოების განხორციელება გადაიდოს შემდგომი პერიოდისათვის.

**შესაბამისად განცხადების ტექსტის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილი ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 35-ე კმ.-ში (მდინარე ფშავის არაგვი) მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

ლოტი-2: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-17 კმ.-ზე ფერდიდან ქვების ჩამოსუფთავების პერიოდული შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: ამბროლაურის რაიონში, ჭრებალო-ნიკორწმინდის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე დაზიანებული მიწის ვაკისის და სავალი ნაწილის აღდგენითი სამუშაოები;

ლოტი-4: ლანჩხუთის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის სოფელ ღვინვალაში მისასვლელი საავტომობილო გზის პირველ კილომეტრზე მიწის ვაკისის აღდგენითი სამუშაოები.

ლოტი-5: ქუთაისი-გეგუთი-საყულია-იანეთის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.20 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოებ

ამას გარდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 13 სექტემბერს, გაზეთ "24 საათში" (N201) გამოქვეყნებულ შემდეგ სატენდერო განცხადებებში, რომელიც შეეხებოდა

**ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:**

ლოტი-1: ჟინვალი-ბარისახო-შატილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 35-ე კმ.-ში (მდინარე ფშავის არაგვი) მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

ლოტი-2: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-17 კმ.-ზე ფერდიდან ქვების ჩამოსუფთავების პერიოდული შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: ამბროლაურის რაიონში, ჭრებალო-ნიკორწმინდის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე დაზიანებული მიწის ვაკისის და სავალი ნაწილის აღდგენითი სამუშაოები;

ლოტი-4: ლანჩხუთის რაიონში, ადგილობრივი მნიშვნელობის სოფელ ღვინვალაში მისასვლელი საავტომობილო გზის პირველ კილომეტრზე მიწის ვაკისის აღდგენითი სამუშაოები.

ლოტი-5: ქუთაისი-გეგუთი-საყულია-იანეთის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.20 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

**ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:**

ლოტი-1: ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 76-ე კმ.-ზე არსებული აივნის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-2: ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-16 კმ.-ზე, მდინარე წიფაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-3: აბესი-აბანოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-6 კმ.-ზე, მდინარე ლოპინისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-4: მარტვილის რაიონში, დიდი ჭყონი-კიწია-ნოღას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-13 კმ.-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-5: საგაბეჩაო-სადადიანო-საცხომარიოს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის პირველ კილომეტრზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-6: კოტიანეთი-ზემო სორტას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-2 კმ.-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მე - 4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 4 ოქტომბრის 9:00 საათიდან 18:00 საათამდე და 2006 წლის 6 ოქტომბრის 9:00 საათიდან 12:00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული და ფიზიკური სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

დეპარტამენტის სატენდერო კომისია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით 2006 წელს დისკვალიფიცირებულ იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სატენდერო წინადადებებს არ განიხილავს.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის შესახებ

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს ხორბლის მარცვლის დასაწყობება /შენახვაზე და იწვევს ყველა კვალიფიცირებულ კომპანიას მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებული კომპანიები უნდა იყვნენ იურიდიულად რეგისტრირებულნი და ჰქონდეთ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის სათანადო გამოცდილება.

ტვირთის საქართველოში (ფოთი) შემოტანის სავარაუდო თარიღია 2006 წლის 23 ოქტომბერი.

**პროდუქციის აღწერილობა:**
პროდუქცია: ხორბლის მარცვალი;
რაოდენობა: 8000 ტონა;
შეფუთვა: დაუფასოებელი;
კლასი/ხარისხი: ზამთრის მაგარი წითელი;

**აუცილებელი პირობები**:
- სილოსთან უნდა ჰქონდეს სარკინიგზო მისასვლელი;
- შესანახი პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს;
- საწყობი უნდა იყოს უზრუნველყოფილი 24 საათიანი დაცვით;

**დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი:**

1. ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სატენდერო წინადადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   - თანხმობას ტენდერში მონაწილეობაზე;
   - კომპანიის დასახელება;
   - საკონტაქტო ინფორმაცია;
   - იურიდიული სტატუსი;
   - საბანკო რეკვიზიტები;
   - საგადასახადო კოდი;
   - შემოთავაზებული ფასი 1 ტონა ხორბლის მარცვლის შესანახად, აშშ დოლარი;
   - სასაწყობო მეურნეობის და შენახვის პირობების დეტალური აღწერა;
   - ზოგადი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ.
2. ბეჭდის ასლი;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობა სასამართლოდან რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
5. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ კომპანიის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
6. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
7. შესაბამისი სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზია ან სერტიფიკატი ხორბლის მარცვლის შენახვის უფლებამოსილებაზე;
8. დადასტურებული ინფორმაციას ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ.

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.**

* ბიდები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
* ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ ბიდი მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
* ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი ბიდი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;
* ამქორ/საქართველოს იტოვებს უფლებას გადაამოწმოს და შეაფასოს შესაძლო გამარჯვებული კომპანია.

**ბიდების წარდგენის პროცედურა:**
- დაინტერესებული კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია კომპანიის დასახელება შემდეგ მისამართზე: ი. აბაშიძის ქ. N75, თბილისი, საქართველო, ამქორ/საქართველოს ოფისი. ტელ.: (99532) 227068, 250845, 941581; ფაქსი: (99532) 231366;
- ბიდების წარდგენის ბოლო ვადაა 17:00 საათი, 2006 წლის 6 ოქტომბერი;
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი ბიდები არ განიხილება;

ბიდების მიღებაზე უფლებამოსილი პირია ამქორ/საქართველოს ოფისის მენეჯერი..

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ამქორ/საქართველოს მონეტიზაციის განყოფილებას.